ეკონომიკის სამინისტრო თვეში 100-150 ობიექტის გაყიდვას გეგმავს A4

სტეპფორდელი ცოლები თბილისის ქუჩებშიც დადიან B3

"ხალხის პირისპირ" ანკეტა B6

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

სამშაბათი, 17 აგვისტო, 2004 წელი. №194 (743)

ფასი 50 თეთრი

პოლიტიკა

## ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხთა კომისია პირველად შეიკრიბა

კომისიის თავმჯდომარედ პარლამენტის სესიამ ცოტა ხნის წინ ვასილ მაღლაფერიძე დაამტკიცა. გუშინდელ სხდომაზე კომისიის თავმჯდომარის მოადგილეებად ბეჟან ხურციძე და რომან კუსიანი აირჩიეს.

A2

ეკონომიკა

## არეულობა ბათუმის აეროპორტში



ბათუმი-მოსკოვი-ბათუმის რეისი, რომელიც 15 აგვისტოს "საქართველოს ნაციონალურ ავიახაზებს" უნდა შეესრულებინა, გადაიდო. მოსკოვში გასაფრენად ბათუმის აეროპორტში მისულმა 120-მა უკმაყოფილო მგზავრმა საპროტესტო აქცია გამართა და გაუგებრობაზე პასუხისმგებლობა ხელისუფლებას დააკისრა.

A4

უცხოეთი

## დიქტატორთან მეგობრობა კერძო ინტერესების სანაცვლოდ



აშშ-ს უზბეკ დიქტატორთან მეგობრული ურთიერთობები აკავშირებს.

A5

სამართალი

## შრომით ტრეფიკინგს ლაგოდეხის ყოფილი პროკურორი შეეწირა



შრომითი ტრეფიკინგი - ასე შეიძლება ვუწოდოთ იმ ფაქტს, რომელმაც ფესვები სამი თვის წინ გურჯაანის რაიონში გაიდგა.

A7

# არაოლიმპიური ცეცხლი ცხინვალში

*რამდენიმე დღეა, რაც ათენში ოლიმპიური ცეცხლი გიზგიზებს, მსოფლიოს სპორტული სამყაროს წარმომადგენლები კი ერთმანეთს სპორტულ არენაზე ეჯიბრებიან. ოდითგანვე იყო ტრადიცია, რომ ოლიმპიური თამაშების დროს, მანამდე, სანამ ოლიმპიური ცეცხლი ენთო, ომი წყდებოდა. სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო ხელისუფლების წარმომადგენლებმა ცეცხლი დაანთეს ცხინვალის რეგიონშიც, მაგრამ არა მშვიდობის, არამედ ომის ნიშნად.*

გაგრძელება A2 გვერდზე



გოგიტა ბუხაიძის ფოტო

## კისრული და მისი ჯანი

კახა ფარუაშვილი
*ათენიდან*

გიკვდებით, იაპონელებო! უნდა გაგიკვირდეთ, დავით ქევხიშვილი ქართულ ჭიდაობაზეა გაზრდილი - მამაპაპურ, ლაზათიან შუაკაურზე, მოგვერდსა თუ კისრულზე. უკვირთ იაპონელებს, - საიდან გაქვთ ილეთების ამხელა არსენალიო? უკვირთ და ამიტომაც ჩამოდიან ყოველ წელს საქართველოში სავარჯიშოდ. ეგებ ქართველებისგან რაიმე ახალი შევისწავლოთო, და სწავლობენ ჩვენგან ნაირნაირებს; სწავლობენ და სკოლასაც ამდიდრებენ; იმდენად გაამდიდრეს, რომ იაპონია დღეს ყველა წონაში ფავორიტია. პირველი ორი დღის შემდეგ კი სამი ოქრო და ერთი ვერცხლი მოინადირეს; ორი - ქალებმა, ერთიც - ნომურამ, ხერგიანი რომ დაამარცხა.

...სწავლობენ იაპონელები და არ იციან, რომ ყველა ილეთი მტერთან ბრძოლაში შეგვისწავლია და ახლა 300-მდე შემოგვრჩენია, რომელთაგან ერთ-ერთით სწორედ იაპონელი დაამარცხა ქევხიშვილმა.

გაგრძელება B4 გვერდზე

## ლარი კვლავ ქვეყნის ფინანსური სტაბილურობის გარანტად რჩება

ეკა ლეჟავა

*ეროვნული ვალუტის გამყარებამ არერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია საზოგადოებაში. თუ რით არის განპირობებული ლარის სიმყარე და რა გავლენას ახდენს ის საქართველოს ეკონომიკაზე, ამის შესახებ ნომრის სტუმარი - ეროვნული ბანკის პრეზიდენტი ირაკლი მანაგაძე გვესაუბრება.*

**- ბატონო ირაკლი, რით ახსნით ლარის ბოლოდროინდელ გამყარებას?**

- დავიწყოთ იმით, რომ წელს ჩვენს ქვეყანაში მეტად მნიშვნელოვანი და საინტერესო პროცესები მიმდინარეობს. არსებითად შეიცვალა ეკონომიკის ფუნქციონირების წლების განმავლობაში ჩამოყალიბებული კანონზომიერებები. ბუნებრივია, ამას არ შეიძლება საფინანსო-სავალუტო ბაზრებისათვის უკვალოდ ჩაევლო. აღნიშნული ცვლილებების ერთ-ერთი თვალსაჩინო შედეგი, რაც თითოეული მოქალაქის განსაკუთრებული ინტერესის საგანს წარმოადგენს, აშშ დოლარის მიმართ ლარის საგრძნობი გამყარებაა. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ სავალუტო კურსის ამა თუ იმ მიმართულებით ცვლილებების გარშემო გადაჭარბებული და ხშირ შემთხვევაში, გაუმართლებელი აჟიოტაჟი იქმნება. მხედველობაში მაქვს ზოგჯერ ერთმანეთის გამომრიცხავი ცალკეული შეფასებები, რომელთა უმრავლესობას არაფერი აქვს საერთო რეალობასთან და სავალუტო ბაზარზე მხოლოდ არასასურველი დისონანსი შემოაქვს. სამწუხაროდ, უკანასკნელ ხანს ასეთი განცხადებები სჭარბობს პროფესიონალთა მიერ გაკეთებულ ანალიზს და საზოგადოებას მცდარ წარმოდგენას უქმნის ფულად-საკრედიტო სფეროში მიმდინარე პროცესებზე.

გაგრძელება B1 გვერდზე

## კანცელარიაში საბედისწერო წერილი მიიღეს

### შეუშლის თუ არა ხელს "იდიოტური" სავალუტო ფონდი კახა ბენდუქიძეს ეკონომიკის აღორძინებაში

მაია ურუშაძე

*სავალუტო ფონდი საგადასახადო კოდექსის ახალ პროექტს არ იწონებს. ამის თაობაზე ოფიციალური შეტყობინება სახელმწიფო კანცელარიაში გუშინ ნაშუადღევს მიიღეს. სავალუტო ფონდის ექსპერტთა შეფასებები იმდენად მკაცრი აღმოჩნდა, რომ გუშინ დილას "ნაბრიფინგალ" ეკონომიკის მინისტრს კახა ბენდუქიძეს ჟურნალისტებისთვის სავალუტო ფონდის, "ამ იდიოტური ორგანიზაციის(!)" საქართველოში საქმიანობასთან დაკავშირებით საკუთარი "სუბიექტური მოსაზრებების" გასაზიარებლად მეორე ბრიფინგის მოწვევა მოუხდა.*

გუშინ ეკონომიკის მინისტრს მძიმე დღე ჰქონდა: შესაძლოა, საბედისწერო წერილი კახა ბენდუქიძის თანამდებობიდან წასვლის მიზეზადაც კი იქცეს. საქმე ისაა, რომ მის მიერ ქვეყნის ეკონომიკის აღორძინების წინაპირობად მიჩნეული ახალი საგადასახადო კოდექსის მთავარი იდეა - საგადასახადო განაკვეთების შემცირება - სავალუტო ფონდის ექსპერტებმა, უბრალოდ, დაიწუნეს და საქართველოს მთავრობის ამ ნალოლიავებ პირმშოს მკაცრი შეფასებები მისცეს.

ჯერ კიდევ გუშინ დილით, ანუ წერილის მიღებამდე, საგადასახადო კოდექსის შეფასებისას მთავრობის ეკონომიკური ბლოკი ერთსულოვანი იყო. პრემიერ-მინისტრი ზურაბ ჟვანია კი იმედოვნებდა, რომ ახალი საგადასახადო კოდექსი მთელ რეგიონში ყველაზე ლიბერალური იქნებოდა, მისი მთავარი ამოცანა კი ქვეყანაში არსებული ჩრდილოვანი ეკონომიკის ლეგალიზაცია და ინვესტიციების მოზიდვა გახდებოდა.

გაგრძელება A4 გვერდზე

## ეკონომიკური პრიორიტეტები აჭარაში

### უახლოესი სამოქმედო გეგმა

აჭარაში უცხოური ინვესტიციების მოზიდვა რომ ქვეყნის ხელისუფლების უმთავრესი პრიორიტეტია, ამას ბოლო დროს ბათუმში ბიზნესმენების გახშირებული ვიზიტებიც მოწმობს. მაგალითად თუნდაც ამ დღეებში თურქულ-ქართული ბიზნესშეხვედრებიც კმარა, როცა ძირითადი საუბრები სწორედ აჭარაში ასაშენებელ ავტობანს, რკინიგზას თუ სხვა ერთობლივ პროექტებს შეეხო.

რეგიონში უცხოური ინვესტიციების მოზიდვის თვალსაზრისით, მინისტრთა კაბინეტი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ბათუმის პორტის ინფრასტრუქტურის განვითარებას და გაუმჯობესებას ანიჭებს, ასევე საზორნე მისადგომის, საბაჟო საწყობების და ტერმინალების განვითარებას. საქართველოს რკინიგზის ხელმძღვანელობა, რუმინელ კოლეგებთან ერთად, აჭარაში ევროსტანდარტების შესაბამისი სარკინიგზო ტერმინალის მშენებლობას გეგმავს.

რაც შეეხება საზღვაო-სანაოსნოსთან დაკავშირებულ გეგმებს - მთავრობის ეკონომიკური გუნდის წინასწარი განცხადებებით, ეს გამოუყენებელი შენობა-ნაგებობების რეალიზებას და მიღებული თანხებით ხომალდების შეძენას, გემების მშენებლობის ან შეძენაში სახელმწიფო ინვესტიციების ჩადებას გულისხმობს. საზღვაო სანაოსნოში ინვესტიციების განხორციელება და მისი განვითარების საკითხი თევზსაჭერ ფლოტსა და თევზის გადამამუშავებელ მრეწველობასთან ერთად განიხილება.

გაგრძელება A3 გვერდზე

ამინდი

| | 17/8 | 18/8 |
|---|---|---|
| თბილისი | 35 | 37 |
| ქუთაისი | 40 | 40 |
| ბათუმი | 38 | 38 |
| სოხუმი | 37 | 37 |
| ფოთი | 38 | 38 |
| თელავი | 33 | 36 |
| ზუგდიდი | 41 | 39 |
| გორი | 32 | 34 |

უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.8300 |
| ევრო | 2.2584 |
| გირვანქა სტერლ. | 3.3698 |
| რუბლი | 0.0626 |

A2 ამბები | A3 მთავარი თემა | A4 ეკონომიკა | A5 უცხოეთი | A6 საზოგადოება | A7 სამართალი | A8 ბიზნესი

B2 რევიუ | B3 რევიუ | B4 სპორტი | B5 სპორტი | B6 ანკეტა | B7 სხვადასხვა | B8 სხვადასხვა

# პრეზიდენტის ახალი ინიციატივა



ზურაბ ჟვანიასთან შეხვედრის სურვილი გამოთქვეს შერეული საკონტროლო კომისიის წევრებმა, რომლებიც თბილისში, სავარაუდოდ, დღეს ჩამოვლენ.

გოგიტა ბუხაიძის ფოტო

სოფო ბუკია

**"სამწუხაროდ, ომის საშიშროება რეალურია, რადგან მიუხედავად ცეცხლის შეწყვეტის შესახებ მიღწეული შეთანხმებისა, სეპარატისტები კვლავ ჯიუტად ცდილობენ, ჩვენი ურთიერთობა სამხედრო კონფრონტაციის სიბრტყეში გადაიყვანონ,"** - 16 აგვისტოს ღამეს სამაჩაბლოში, წვერიახოსა და სარაბუკის მიდამოებთან განვითარებულ მოვლენებზე პირველი ოფიციალური კომენტარი გუშინ თავდაცვის მინისტრმა გიორგი ბარამიძემ გააკეთა. ბარამიძემ სახელმწიფო კანცელარიაში საგანგებო ბრიფინგი მოიწვია და დაადასტურა ინფორმაცია ორი ქართველი სამხედრო მოსამსახურის დაღუპვის შესახებ.

თავდაცვის მინისტრის განცხადებით, სეპარატისტების მიერ წამოწყებულ შეტევას და ქართველ ჯარისკაცთა დაღუპვას "საკადრისი პასუხი" გაეცა - ქართულმა მხარემ სეპარატისტებს საპასუხო ცეცხლი გაუხსნა და როგორც ბარამიძე აცხადებს, სერიოზული ზარალიც მიაყენა. **"როგორი პასუხიც დღეს გაეცათ სეპარატისტებს, ასევე გაეცემათ მომავალშიც,"** - აღნიშნავს მინისტრი.

ბარამიძის თქმით, სეპარატისტები განსაკუთრებით ცდილობენ შეუტიონ იმ მონაკვეთს, რომელიც ე.წ. შემოვლით გზას უზრუნველყოფს და რომელიც ქართულ სოფლებთან დაკავშირებისა და ჰუმანიტარული დახმარებებისა თუ მედიკამენტების გადაადგილების ერთადერთი საშუალებაა. **"ჩვენ უფლება არა გვაქვს, ბედის ანაბარა დავტოვოთ ჩვენი მოსახლეობა და ამ წუთში კონფლიქტის ზონაში იმდენი შენაერთია, რამდენიც საჭიროა ქართული სოფლების დასაცავად. ჩვენ შეტევას არ ვაპირებთ, ამას მთელი მსოფლიო ხედავს,"** - აღნიშნა ბარამიძემ. მისივე თქმით, სეპარატისტების სამხედრო ოპერაციებს დაქირავებული ადამიანები ხელმძღვანელობენ, მათ შორის - ძირითადად, რუსეთიდან, რომელთაც რუსი სამხედროებისგან დიდი მხარდაჭერა აქვთ.

**"ჩვენ უკან დასახევი გზა არ გვაქვს. არა გვაქვს უფლება, უკან დავიხიოთ - ასე იყო მანამდე და ასე იქნება მომავალშიც. კიდევ ერთხელ მინდა გავიმეორო, რომ ჩვენ საქმე გვაქვს არა ოს ხალხთან, არამედ ოს სეპარატისტებთან. პრეზიდენტის მიერ არის გაცემული შესაბამისი განკარგულებები და საქართველოს სამხედრო ძალები, მათ შორის - შეიარაღებული ძალები, ნებისმიერი შესაძლო მოვლენების განვითარებისთვის მზადყოფნაში არიან. ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ ომი არ დავიწყოთ,"** - აღნიშნა ბარამიძემ.

რაც შეეხება რუსეთის, როგორც მესამე მხარის კონფლიქტში მონაწილეობას, ამასთან დაკავშირებით ბარამიძემ აღნიშნა: **"თუ ომი გარდაუვალი იქნება, ჩვენთვის სულ ერთია, რამდენი მხარე დაიწყებს ჩვენს წინააღმდეგ ომს. ჩვენ უკან დასახევი გზა არც ერთ შემთხვევაში არ გვაქვს, რადგან საქმე ჩვენს სამშობლოს ეხება."**

გიორგი ბარამიძის თქმით, კონფლიქტის ზონაში დამატებითი ძალების შეყვანა არ იგეგმება.

■ ■ ■

გუშინვე საგანგებო ბრიფინგს იწვევს პრემიერ-მინისტრი და ჟურნალისტებს პრეზიდენტის ახალ ინიციატივას აცნობს: პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი გამოდის საგანგებო ინიციატივით და მსოფლიოს ლიდერებს სპეციალური წერილით მიმართავს, რათა უახლოეს დღეებში ცხინვალის რეგიონში მოწვეულ იქნას სპეციალური საგანგებო საერთაშორისო კონფერენცია, რომელიც კონფლიქტის ზონაში მშვიდობის დამყარებას მიეძღვნება.

როგორც ზურაბ ჟვანიამ აღნიშნა, კონფერენციასთან დაკავშირებით ქართულ მხარეს უკვე გამოეხმაურა ეუთო-ს მოქმედი თავმჯდომარე სოლომონ პასი.

**"ეს კონფერენცია უახლოეს დღეებში აუცილებლად უნდა გაიმართოს. ქვეყნების წარმომადგენლები უნდა დასხდნენ და უმაღლეს დონეზე მოილაპარაკონ, რათა კონფლიქტის რეგიონში ცეცხლის შეწყვეტის საქმეში დახმარება გაგვიწიონ. ჩვენ ასევე ვითხოვთ, რომ უახლოეს დღეებში გაიმართოს ეუთო-ს საბჭოს საგანგებო სხდომა, რომელიც იქ შექმნილ ვითარებას მიეძღვნება,"** - განაცხადა პრემიერმა.

მისივე თქმით, მასთან შეხვედრის სურვილი გამოთქვეს შერეული საკონტროლო კომისიის წევრებმა, რომლებიც თბილისში, სავარაუდოდ, დღეს ჩამოვლენ.

**"მზად ვარ მათთან შესახვედრად. ჩემთან შეხვედრის შემდეგ ისინი კოკოითთან ჩასვლასაც აპირებენ, რათა ჩვენი შეხვედრა მოამზადონ,"** - აღნიშნა პრემიერ-მინისტრმა.

# არაოლიმპიური ცეცხლი ცხინვალში



ქართული მხარე აღარ აპირებს, ცხინვალის ხელისუფლების პროვოკაციებს შეეგუოს.

REUTERS

პირველი გვერდიდან

ნინო გომართელი

თვითგამოცხადებული რესპუბლიკის სეპარატისტთა სამხედრო დაჯგუფებებმა კვირას საღამოს აგერ უკვე მესამედ დაარღვიეს შეთანხმება ცეცხლის შეწყვეტის შესახებ და დაახლოებით საღამოს 9.00 საათზე ქართული პოზიციების მიმართულებით ცეცხლი გახსნეს ყველა სახის იარაღიდან, მათ შორის, მსხვილკალიბრიანი ტყვიამფრქვევებიდან. შედეგად, ორი ქართველი სამხედრო მოსამსახურე დაიღუპა და რამდენიმე დაიჭრა სოფელ ერედვთან ოსების მხრიდან წარმოებული ინტენსიური ცეცხლის შედეგად.

ქართული მხრიდან საპასუხო ცეცხლი მხოლოდ დილის 4 საათზე გაიხსნა, მას შემდეგ, რაც ქართული სოფლების და მშვიდობიანი მოსახლეობის დაბომბვა დაიწყო. შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობით, სეპარატისტების მხრიდან, სავარაუდოდ, 15 ბოევიკია მოკლული, მაგრამ ამ ფაქტს ოსეთის დე ფაქტო მთავრობა უარყოფს.

სამხრეთ ოსეთის ინფორმაციისა და ბეჭდვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის ირინა გაგლოევას განცხადებით, ოსური მხრიდან მსხვერპლი არ არის, მხოლოდ სამი ადამიანია დაჭრილი.

სროლის განახლებისთანავე, ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში შინაგან საქმეთა მინისტრი ირაკლი ოქრუაშვილი ჩავიდა, რომელმაც მაშინვე განაცხადა, რომ ქართული მხარე აღარ აპირებს, ცხინვალის ხელისუფლების პროვოკაციებს შეეგუოს.

მისი თქმით, ორშაბათს, ღამით, ქართულმა საჯარისო ნაწილებმა "სერიოზული საპასუხო ცეცხლი გახსნეს" მას შემდეგ, რაც ცხინვალის შეიარაღებულმა ფორმირებებმა პირველმა ისროლეს ქართული პოზიციების მისამართით. ოსურ მხარეს ცეცხლი გაუხსნეს თითქმის ყველა მიმართულებით სხვადასხვა ტიპის იარაღიდან. ირაკლი ოქრუაშვილის განცხადებით, ქართული მხარე ნებისმიერ მსგავს ფაქტს საპასუხო დარტყმით უპასუხებს.

და კიდევ ერთი, საქართველოს თავდაცვის მინისტრმა გიორგი ბარამიძემ გუშინ განაცხადა, რომ ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში რუსეთის ტერიტორიიდან შემოსულნი არიან დიდი რაოდენობით დაქირავებული კაზაკი მებრძოლები, რომლებიც უშუალოდ აწარმოებენ საბრძოლო მოქმედებებს საქართველოს შინაგანი ჯარების ქვედანაყოფების წინააღმდეგ. კაზაკთა ფორმირებები, ძირითადად, განლაგებული არიან სოფლების სარაბუკისა და დმენისის მიდამოებში, საიდანაც ქართული სოფლების მიმართულებით ყოველ ღამით ინტენსიური სროლები მიმდინარეობს.

გიორგი ბარამიძის თქმით, არსებობს ინფორმაცია, რომ ეს ფორმირებები არ ემორჩილება სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო პრეზიდენტს ედუარდ კოკოითის და ცეცხლს თვითნებურად ხსნიან.

ასევე, მათ საყოფაცხოვრებო ნიადაგზე უთანხმოება აქვთ ადგილობრივ ოსურ მოსახლეობასთან, საკვების ნაკლებობის გამო ხოცავენ საქონელს, - აღნიშნა თავდაცვის მინისტრმა.

მაგრამ, სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის ზონაში მოქმედი შერეული სამშვიდობო ძალების სარდალი სვიატოსლავ ნაბზდოროვი სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე კაზაკთა შენაერთების შემოსვლის ფაქტს უარყოფს. მისი მტკიცებით, იგი, როგორც სამშვიდობო ძალების სარდალი, კონფლიქტის ზონაში კაზაკთა ძალების შემოსვლისა და მათი საომარ მოქმედებებში მონაწილეობის შესახებ ინფორმაციას არ ფლობს. **"თუ ისინი სადმე კონფლიქტის ზონის მიღმა არიან, ეს ჩემი საქმე არ არის,"** - აღნიშნა ნაბზდოროვმა.

ამასთანავე, 13 აგვისტოს ცეცხლის შეწყვეტის შესახებ ცხინვალში მიღებული გადაწყვეტილების დარღვევასა და საომარი მოქმედებების დაწყების მცდელობაში ნაბზდოროვი ქართული და ოსური მხარის თავდაცვის უწყებებს თანაბრად ადანაშაულებს.

**"ჩემთვის ძნელია იმის თქმა, თუ ვინ დაარღვია პირველმა ღამით შეთანხმება ცეცხლის შეწყვეტის შესახებ, ვინაიდან საარტილერიო დანადგარები, რომლითაც მხარეებმა ერთმანეთს ცეცხლი გაუხსნეს, კონფლიქტის ზონაში არ არის განლაგებული და, შესაბამისად, დამკვირვებლებს შეთანხმების დამრღვევთა ადგილზე დაფიქსირების საშუალება არ ჰქონდათ,"** - განაცხადა სარდალმა.

ამავე დროს, რუსეთის თავდაცვის მინისტრი აშშ-ს მიერ საქართველოსთვის გაწეული სამხედრო დახმარების გამო შეშფოთებას გამოთქვამს.

როგორც სერგეი ივანოვმა პეტერბურგში აშშ-ს თავდაცვის მინისტრ დონალდ რამსფელდთან შეხვედრაზე განაცხადა, სიტუაცია საქართველოში ძალიან სახიფათო სცენარით ვითარდება, ხოლო რუსეთის პოზიცია ქართულ-ოსური კონფლიქტის დარეგულირებაში, რომელიც, პირველი რიგში, კონფლიქტის ზონიდან ყველა უკანონო შეიარაღებული ფორმირების გაყვანას ითვალისწინებს, არ შეცვლილა.

რუსეთის თავდაცვის უწყების ხელმძღვანელმა უარყო რუს სამშვიდობოთა მიმართ ოფიციალური თბილისის ბრალდება, რომ ისინი არაობიექტურნი არიან და სეპარატისტების მხარე უჭირავთ.

ქართველ სამხედრო მოსამსახურეთა მომზადების პენტაგონის "წვრთნისა და აღჭურვის" პროგრამა 64 მილიონი დოლარით ფასდება.

ყველა ქვედანაყოფი, რომელიც აღნიშნული პროგრამის ფარგლებში გაივლის მომზადებას, ერთ ბრიგადაში იქნება გაერთიანებული. ესენია - ოთხი ბატალიონი და ერთი მექანიზებული ასეული. ივლისის დასაწყისში, პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა და აშშ-ს თავდაცვის მინისტრმა დონალდ რამსფელდმა, პენტაგონში შეხვედრაზე, ორი ქვეყნის სამხედრო თანამშრომლობის პერსპექტივები განიხილეს.

როგორც შეხვედრის შემდეგ დონალდ რამსფელდმა ჟურნალისტებს განუცხადა, ამერიკელი ინსტრუქტორების მიერ ქართველი ჯარისკაცების მომზადების "წვრთნისა და აღჭურვის" პროგრამა წარმატებით მიმდინარეობს და მომავალში კვლავაც გაგრძელდება.

ცხინვალის კონფლიქტის უცხოურ ანალიზს რაც შეეხება, უნდა აღინიშნოს, რომ სამხრეთ ოსეთში განვითარებული მოვლენები ყველა ქვეყნის მედიისათვის კვლავ აქტუალურ თემად რჩება.

ზოგი მიკერძოებით, ზოგიც ობიექტურობით ცდილობს საკუთარი მოსაზრების განმტკიცებასა და საზოგადოებაში დანერგვას.

ამჯერად განსასჯელად მინდა "ნეზავისიმაია გაზეტას" ანალიტიკური სტატია წარმოგიდგინოთ, სახელწოდებით ***"მოსკოვი მზადაა, "დსთ-ში თავისი განსაკუთრებული ინტერესები" ვაშინგტონს გაუნაწილოს"***.

მასალის ავტორი ვლადიმირ მუხინი აქცენტს, უპირველეს ყოვლისა, ამერიკის შეერთებულ შტატებზე აკეთებს:

"ბოლო დროს სამხრეთ კავკასიაში განვითარებული მოვლენები იმაზე მიუთითებს, რომ უკვე რამდენიმე თვის შემდეგ მსოფლიო ამ მოუსვენარ რეგიონში აბსოლუტურად ახალი სიტუაციის მოწმე გახდება. სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში ვითარების გამწვავება, ყარაბაღის პრობლემების მოუგვარებლობა, კასპიის რეგიონში ირან-აზერბაიჯანისა და ირან-რუსეთის ურთიერთობების გააქტიურება, საქართველოს ტერიტორიაზე ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობასთან დაკავშირებით წარმოქმნილი სირთულეები, აფეთქებები ირანში და საკმაოდ დიდი რაოდენობის ნავთობის დაღვრა და სხვა, როგორც ჩანს, აიძულებს ვაშინგტონს, აქ საკუთარი გავლენის გასამტკიცებლად ახალი, არატრადიციული სცენარი ეძებოს."

ამავე დროს, იგი ცდილობს, ბოლო დროს ამერიკის მხრიდან რუსეთისადმი ვითომდა შერბილებულ და შეცვლილ პოზიციას გაუსვას ხაზი: "დამკვირვებლებს თვალთახედვიდან არ გამორჩენიათ ის ფაქტი, რომ აშშ-ს თავდაცვის მინისტრი ბოლო დროს უკვე აღარ აკეთებს განცხადებებს საქართველოს ტერიტორიიდან რუსეთის სამხედრო ძალების სასწრაფოდ გაყვანის აუცილებლობის შესახებ".

საქართველოსთან მიმართებაში ამერიკის ინტერესების ძიება მთელ სტატიას ლაიტმოტივად გასდევს. ვლადიმირ მუხინი რუსეთის გარეშე საქართველოს ვითომდა უუნარობის დამტკიცებისა და მოსკოვის რეპუტაციის ამაღლების მიზნით, მასალაში ამერიკელი მკვლევარის მიერ რამდენიმე დღის წინ "IN THE NATIONAL INTEREST"- ში გამოქვეყნებულ საკმაოდ საინტერესო, თუმცა, ამავე დროს, ტენდენციურ მასალას იყენებს.

"ქართულ-რუსული ურთიერთობების შესახებ გულახდილ და ამერიკის მხრიდან არატრადიციულ განცხადებას აკეთებს აღმოსავლეთ ევროპასა და რუსეთში ნატო-ს კომიტეტის კოორდინატორი აირა სტროსი. რამდენიმე დღის წინ გამოქვეყნებულ ანალიტიკურ სტატიაში "საქართველო, უკრაინა და რუსეთი", იგი წერს, რომ "სააკაშვილი თავის დემოკრატიულ რევოლუციას უფსკრულისკენ მიაქანებს, როდესაც სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში კონტროლის აღდგენისთვის სამხედრო მოქმედებებს ირჩევს". სტროსი მიიჩნევს, რომ ამ ორი რეგიონის საქართველოსთან მშვიდობიანი გზით შეერთება "მხოლოდ მოსკოვის დახმარებით არის შესაძლებელი". ამასთან, იგი, რასაკვირველია, არ ივიწყებს რეგიონში ამერიკის ინტერესსაც და ამის გათვალისწინებით, საქართველოში კონფლიქტის დარეგულირების რამდენიმე ვარიანტს ასახელებს. აირა სტროსი, უპირველესად, ასეთ სცენარს განიხილავს: ვაშინგტონი "აღარ იქნება საქართველოში რუსეთის სამხედრო ბაზების წინააღმდეგი და რუსეთი არ იქნება წინააღმდეგი აშშ-ს ბაზებისა". შემდეგ - ორი სახელმწიფოს ბაზებს შორის თანამშრომლობა, შესაძლოა, "ერთობლივი ბაზის შექმნა რუსეთი-ნატო-ს კავშირის ეგიდით".

საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის მეორე შესაძლო ვარიანტს კი სტროსი "სამმხრივ შეთანხმებაში" ხედავს: "რუსეთი ეხმარება საქართველოს სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში სუვერენიტეტის აღდგენაში, საქართველო თანხმდება, ამ ტერიტორიებს სამუდამო ავტონომიის სტატუსი მიანიჭოს და ამ სტატუსის გარანტად იქ რუსეთის ბაზებს განათავსებს, რუსეთი კი, თავის მხრივ, ნებას დართავს საქართველოს, რუსეთის ბაზებთან ერთად თავის ტერიტორიაზე განალაგოს აშშ-სა და ნატო-ს სამხედრო ბაზებიც".

ბოლოს კი რუსი ჟურნალისტი მუქარასაც არ ერიდება:

"როგორც ჩანს, მოსკოვს პოსტსაბჭოთა სივრცეში თავისი ინტერესების დათმობა ჯერჯერობით ან არ შეუძლია ან არ სურს. თუმცა, გარედან ისე ჩანს, ყველაფერი თითქოს თავის ადგილზეა. მომავალ წელს რუსეთის სამხედრო ბიუჯეტი 40 პროცენტით გაიზრდება. ეს საკმაოდ სოლიდური თანხაა. მაგრამ ისმის კითხვა: საით წავა ეს ფული? ამერიკული რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის პროგრამების მხარდასაჭერად თუ რუსეთისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის მქონე რეგიონებში? ერთი კი ფაქტია: ეს ფული უქმად არ უნდა გადაიყაროს".

წუხელი კონფლიქტის ზონაში კვლავ ისროდნენ...

## მოკლედ

### ნათელაშვილმა კოფი ანანს წერილი მისწერა

"საქართველოს ლეიბორისტული პარტიის" თავმჯდომარე შალვა ნათელაშვილი გაერო-ს გენერალურ მდივანს კოფი ანანს ცხინვალის რეგიონში ვითარების პროვოცირებისა და დიდი და პატარა ლიახვის ხეობების ქართული მოსახლეობისგან დაცლისათვის პრეზიდენტ სააკაშვილისა და ედუარდ კოკოითის ჰააგის სასამართლოში გადასაცემად გაერო-ს უშიშროების საბჭოს წინაშე შუამდგომლობას სთხოვს.

"ლეიბორისტული პარტიის" თავმჯდომარის შეფასებით, თუ საქართველოს ხელისუფლებას კონფლიქტის მოგვარების "არც ძალით და არც მშვიდობით თავი არ ჰქონდა, ავანტურისტული პოლიტიკის წარმოებისაგან თავი უნდა შეეკავებინა."

მისივე მტკიცებით, ცხინვალის რეგიონში უკანასკნელ დღეებში განვითარებულმა მოვლენებმა იგი დაარწმუნა, რომ სააკაშვილი და კოკოითი დიდი და პატარა ლიახვის ქართული მოსახლეობის დაცლით და იქ ეთნიკური წმენდის ჩატარებით ერთნაირად დაინტერესებულნი არიან, რისთვისაც ქართველი ერის წინაშე საერთაშორისო სამართლის ძალით უნდა აგონ პასუხი.

რაც მთავარია, ნათელაშვილი ცხინვალის რეგიონში კონფლიქტის მოგვარების ერთადერთ საშუალებას რუსეთის პოლიტიკურ წრეებთან აქტიურ თანამშრომლობაში ხედავს და აცხადებს, რომ მოსკოვში მისი უკანასკნელი ვიზიტისას, "ლეიბორისტულმა პარტიამ" რუსეთის პოლიტიკურ ელიტასთან საქართველოს პრობლემების მოგვარების პრობლემებზე სერიოზული კონსულტაციები უკვე დაიწყო. **ინტერ-პრესი**

### სოლანა კონფლიქტის მხარეებს თავშეკავებისკენ მოუწოდებს

ევროკავშირის ოფიციალური წარმომადგენელი ხავიერ სოლანა ქართულ-ოსური კონფლიქტის მხარეებს მოუწოდებს, მაქსიმალური თავშეკავება გამოიჩინონ და სიმშვიდე აღადგინონ.

ხავიერ სოლანას მიერ გუშინ გავრცელებულ განცხადებაში ნათქვამია, რომ გადაწყვეტილება მიღებული უნდა იყოს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის პრინციპიდან გამომდინარე.

ევროკავშირის წარმომადგენელი მიესალმება თბილისსა და ცხინვალს შორის მიღწეულ შეთანხმებას ცეცხლის შეწყვეტის შესახებ.

მან მხარეებს მოუწოდა, გააგრძელონ მუშაობა დაძაბულობის განმუხტვის მიზნით, შემდგომი ზომების შესათანხმებლად და მათ მისაღებად.

ხავიერ სოლანამ სინანული გამოთქვა იმის გამო, რომ ძალადობის ესკალაციასა და სამხედრო კონფრონტაციას ადამიანთა მსხვერპლი მოჰყვა. **პრაიმ-ნიუსი**

## ორი სიტყვით

**თბილისი.** სამხრეთ ოსეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის ხელისუფლება საქართველოს პრემიერ-მინისტრს ზურაბ ჟვანიას თბილისში შერეული საკონტროლო კომისიის თანათავმჯდომარეებთან შეხვედრას სთავაზობს. ამის შესახებ "რია ნოვოსტის" შერეული საკონტროლო კომისიის თანათავმჯდომარემ სამხრეთ ოსეთის მხრიდან ბორის ჩოჩიევმა აცნობა.

ჩოჩიევის თქმით, შეხვედრა, რომელზეც გუშინწინ მიღწეული შეთანხმების შესრულების საკითხი განიხილება, შესაძლოა, სამშაბათს ეუთო-ს წარმომადგენელთა მონაწილეობით გაიმართოს.

"მე და ჩრდილოეთ ოსეთის მხრიდან თანათავმჯდომარე მზად ვართ, თბილისში გავემგზავროთ," - თქვა ჩოჩიევმა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** ცხინვალის რეგიონში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით, "ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის" წარმომადგენლებმა საკუთარი პოზიცია გუშინ რუსეთის საელჩოს წინ დააფიქსირეს.

საომარ დაპირისპირებამდე მისული ვითარების ფონზე ედპ-ს წევრები აცხადებენ, რომ ეს არ არის ბრძოლა ქართველ და ოს ხალხს შორის, არამედ ეს არის რუსეთსა და საქართველოს შორის ომი და ქვეყნის ხელისუფლებას მკვეთრი ნაბიჯების გადადგმისკენ მოუწოდებენ. კერძოდ, ედპ-ს წარმომადგენელთა განცხადებით, დროა, ხელისუფლებამ მიიღოს გადაწყვეტილება დაგომისის ხელშეკრულებიდან გამოსვლისა და მთლიანად საქართველოს ტერიტორიიდან რუსეთის სამშვიდობო ძალების გაყვანის შესახებ. **ინტერ-პრესი**

# ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხთა კომისია პირველად შეიკრიბა

გუშინ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხებზე მომუშავე დროებითი საპარლამენტო კომისიის პირველი სხდომა გაიმართა. ხსენებული კომისიის თავმჯდომარედ პარლამენტის სესიამ, ცოტა ხნის წინ, ვასილ მაღლაფერიძე დაამტკიცა. გუშინდელ სხდომაზე კომისიის თავმჯდომარის მოადგილეებად ბეჟან ხურციძე და რომან კუსიანი აირჩიეს.

კომისია ორი მიმართულებით იმუშავებს - აფხაზეთის და ცხინვალის კონფლიქტების მოსაგვარებლად. შესაბამისად, ორი სამუშაო ჯგუფი ჩამოყალიბდება. ცხინვალის რეგიონის კოორდინატორი გურამ ვახტანგაშვილი იქნება, ხოლო აფხაზეთის კოორდინატორად ზურაბ ჯგუბურია აირჩიეს.

ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის კომისია აქტიურად იმუშავებს დენონსაციის საკითხებზე. იგი შესაბამის ნიადაგს მოამზადებს (უშაულოდ დენონსაცია პარლამენტის კომპეტენციაში არ შედის), რათა შემდგომში ყველა იმ შეთანხმების დენონსირება მოხდეს, რომელიც დადებულია რუსეთთან აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონთან მიმართებაში.

კომისია, რასაკვირველია, პირველ რიგში, დღის წესრიგში დაგომისის საკითხს დააყენებს. პარლამენტარი ზვიად ძიძიგური აცხადებს, რომ 1992 წელს დაგომისში ხელმოწერილ დოკუმენტს, სავარაუდოდ, თან ერთვის საიდუმლო ნაწილი, რომლის მოპოვებაც ჯერჯერობით ვერ ხერხდება. კომისიამ საფუძვლიანად უნდა შეისწავლოს ხელშეკრულების სრული ტექსტი, - აცხადებს ძიძიგური და დასძენს, რომ საიდუმლო ნაწილის საშუალებით ქართული მხარე გაარკვევს, რა იურიდიულ პრობლემებთან შეიძლება გვქონდეს საქმე.

ვასილ მაღლაფერიძე გამოეხმაურა პარლამენტის თავმჯდომარის მოწოდებას, რომელმაც პარლამენტის საგანგებო სხდომაზე რამდენიმე დღის წინ განაცხადა, რომ ქართველი დეპუტატები ინტენსიურად უნდა ჩავიდნენ ცხინვალში. მაღლაფერიძის აზრით, დეპუტატების ცხინვალში გამგზავრებას მაშინ ექნება აზრი, თუ ეს აღმასრულებელ ხელისუფლებასთან იქნება შეთანხმებული და კონკრეტულ შედეგებს მოიტანს: **"ჩვენი იქ ჩასვლით სიტუაცია ოდნავ მაინც უნდა განიმუხტოს."**

თავდაპირველად, კომისიის წევრთა რაოდენობა 15 კაცით იყო განსაზღვრული, მაგრამ დეპუტატებმა ჯერ კიდევ კომისიის პირველ სხდომამდე, კომისიის შემადგენლობის გაზრდა მოითხოვეს, რის შედეგადაც კომისია ამჯერად 23 კაცს ითვლის.

დღეს კომისიის სამუშაო შეკრება გაიმართება. მომდევნო, რიგით მეორე სხდომის ჩატარება სექტემბრისთვის არის დაგეგმილი.

*24 საათი*

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - ნინო ნარჩემაშვილი, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე
კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

# ეკონომიკური პრიორიტეტები აჭარაში

პირველი გვერდიდან

რეგიონის ენერგოუზრუნველყოფის გაუმჯობესების მიზნით მთავრობა აჭარის ტერიტორიაზე მოქმედი ჰიდროელექტროსადგურების (აწჰესი, მაჭახელაჰესი, კინკიშაჰესი, აჭჰესი) რეაბილიტაციას და საპროექტო სიმძლავრეებზე გაყვანას; მცირე ჰესების მშენებლობის მხარდაჭერას, რეგიონის ელექტროქსელების რეაბილიტაციას და აღრიცხვის სისტემის დანერგვის დასრულებას, რეგიონის გაზიფიკაციის დაჩქარებას, ბათუმის წყალმომარაგების რეკონსტრუქციის დასრულებას და თურქეთის ტერიტორიაზე მდ. ჭოროხზე ჰესების კასკადის მშენებლობასთან დაკავშირებით ბათუმის ნაპირდაცვის ღონისძიებათა გაძლიერებას გეგმავს.

სერიოზული რეფორმების გატარება იგეგმება სოფლის მეურნეობაშიც. მთავრობა რეგიონში იმ დარგების აღორძინებას აპირებს, რომლებიც საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ პრაქტიკულად დავიწყებული იყო. მეჩაიეობა, მეციტრუსეობა, მეთამბაქოეობა, მეცხოველეობა, მეთევზეობა და მემცენარეობა, - ეკონომიკური პროგრამის მიხედვით, სოფლის მეურნეობის ამ დარგებში განსაკუთრებული ცვლილებებია მოსალოდნელი. მთიან აჭარაში მაღალი ხარისხის თამბაქოს წარმოების მიზნით სპეციალური სახელმწიფო პროგრამების შემუშავება იგეგმება.

ტურიზმის აყვავება უახლოეს პერიოდში საკურორტო ობიექტების პრივატიზაციით დაიწყება. ამ პროცესის პარალელურად კი, სახელმწიფო არაკომერციული რეკლამის წარმოება, შესაბამისი ინტერნეტ-გვერდის მომზადება, ადგილობრივი ტურისტული კომპანიების საერთაშორისო ტურისტულ გამოფენა-ბაზრობებში მონაწილეობა იგეგმება.

ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემა, რაც აჭარის წინა ხელისუფლებამ დატოვა, აჭარის კეთილმოწყობის - წყალმომარაგების, გაზიფიკაციისა და კანალიზაციის საკითხია. წლების მანძილზე უყურადღებობამ, ურემონტობამ და გულგრილობამ ბათუმის საკანალიზაციო სისტემა ისე დააზიანა, რომ დღეს თუ ხვალ, შესაძლოა, ქალაქი საკანალიზაციო სისტემის გარეშე დარჩეს. როგორც ირკვევა, ეს პრობლემები იმდენი ხანია არსებობს, რომ მისი გადაჭრა მარტო აჭარის ბიუჯეტის საშუალებით, პრაქტიკულად, გამორიცხულია. სწორედ ამიტომ, ამ საკითხების მოსაგვარებლად კრედიტების გამოყოფა დონორების - მსოფლიო ბანკისა და გერმანიის განვითარების საკრედიტო ბანკის მიერ მოხდება. დონორებთან უკვე შეთანხმებულია წყლის და წყლის მომარაგების სისტემის რეაბილიტაციის, აგრეთვე, საკანალიზაციო სისტემის რეაბილიტაციის პროექტები. საკანალიზაციო ქსელის ცენტრალური კოლექტორის რეაბილიტაციის პროექტს მსოფლიო ბანკი 600 ათასი ლარით დააფინანსებს. წყლის გამწმენდი მოწყობილობის რეკონსტრუქცია 900 ათასი ლარი დაჯდება, ჩაქვის წყალსადენის სათავე ნაგებობის რეკონსტრუქციას კი 2 მილიონ 600 ათასი ლარი დასჭირდება. ამ პროექტების დაფინანსებაში 40 პროცენტი - გრანტი იქნება, 40 პროცენტი - გრძელვადიანი კრედიტი, 20 პროცენტი კი - ბათუმის მერიის თანადაფინანსება. კრედიტის გასტუმრება 15 წლის შემდეგ დაიწყება და წლიურად, დაახლოებით, 15 პროცენტი იქნება გადასახდელი.

წყლისა და კანალიზაციის გარდა, დონორებთან საუბარი ურბანიზაციის პრობლემებზეც მიმდინარეობს. მსოფლიო ბანკთან საუბარია ბათუმის სანიტარული დასუფთავებისა და ნაგავსაყრელის რეაბილიტაციის საკითხებზეც. მართალია, ბათუმის ნაგავსაყრელზე მსოფლიო ბანკის დახმარებით 800-მეტრიანი კედელი უკვე აშენდა, მაგრამ დაახლოებით ამდენივე ჯერ კიდევ ასაშენებელია.

რაც შეეხება გერმანელებს, ისინი აჭარას დახმარებას გაზიფიკაციის საკითხებში გაუწევენ. თუ დონორებმა 14 მილიონი ლარი გამოძებნეს, შესაძლებელი იქნება, რომ 8000 ბათუმელმა ოჯახმა გაზი მიიღოს.

სამომავლოდ კი, როცა აჭარაში კეთილმოწყობის სამსახურების მენეჯმენტი გაუმჯობესდება, ხელისუფლება მათ თვითდაფინანსებაზე გადაყვანას, მოგვიანებით კი - განკერძოებას აპირებს.

### რას ფიქრობენ პრივატიზაციაზე აჭარაში

**ია (ყვავილების მაღაზიის მფლობელი):** ამ პროცესის სასტიკი წინააღმდეგი ვარ და ვფიქრობ, რომ აჭარლების უმრავლესობა ასევე ფიქრობს. არანაირი გარანტია არ გვაქვს, რომ დაგვასაქმებენ. შესაბამისად, ეს პრივატიზაცია ჩვენზე უარყოფითად აისახება. კარგი შედეგის არ მჯერა. პირადად მე გატარებული ცვლილებები არანაირად არ დამეხმარა, პირიქით - დიდი დარტყმა მომაყენა. საბაჟოზე ტარიფების გაზრდის გამო ახლა ისეთი მაღალი ფასებია, რომ მყიდველების მრცხვენია კიდეც.

**მიშა გრიგოლია (ისტორიკოსი):** ნამდვილად ვიზიარებ დღეს აჭარაში წამოწყებულ საპრივატიზაციო პოლიტიკას. თუმცა, კარგად ვხვდები, რომ აჭარის მოსახლეობის მხრიდან საკმაო წინააღმდეგობა იქნება, რადგან მათი უმრავლესობა სამსახურს კარგავს. ისინი დღევანდელი დღით ცხოვრობენ, შედეგიც ახლავე უნდათ, მაგრამ ეს არის გრძელვადიანი პროცესი, რომელსაც საბოლოოდ დადებითი შედეგი მოჰყვება.

**ლევანი (მძღოლი):** არ მომწონს ეს პროცესი. ნამდვილი ახირებაა. ყველაფერს ხომ არ გავყიდით? არ შეიძლება, რამე ჩვენს ხელში დარჩეს? არ იქნება ეს კარგი მოსახლეობისათვის. ჯერ ერთი, ღმერთმა იცის, ვინ იყიდის, მეორეც - დაიწყება ჩვენი უფლებების შეზღუდვა და ა.შ.

**ლიანა (სასტუმროს მფლობელი):** რა კარგ შედეგებზეა საუბარი. რაც ეს ახალი მთავრობა მოვიდა, ვერანაირ სასიკეთო ცვლილებას ვერ ვხედავ. ერთადერთი, ჩანს ის, რომ შეიცვალა სახელები, მეტი არაფერი. ისევ ის კლანური სისტემაა, რაც იყო. მოსახლეობა პრივატიზაციის პროცესების შედეგად ისევ თამაშგარე სიტუაციაში აღმოჩნდება. ამ პროცესთან დაკავშირებული დაპირებები, მგონია, რომ ისევ დაპირებებად დარჩება.

**თამარა (პენსიონერი):** ჩემთვის სულ ერთია, რას გაყიდიან და ვინ იყიდის. ისედაც ყველაფერი გაყიდულია, რაღა უნდა გაყიდონ?

**თენგიზი (მენაყინე):** რატომაც არა, ვიწონებ ამ პროცესს. მერე რა, რომ გაყიდიან, ჯიბეში ჩაიდებენ და წაიღებენ, თუ რა? კარგი საქმეა. რაც მთავარია, რეგიონში შემოსავლები გაიზრდება.

# პრივატიზაცია - რეცეპტი აჭარის ეკონომიკის განვითარებისთვის

მაია ურუშაძე

*აჭარა წლების მანძილზე ამოვარდნილი იყო საქართველოს ერთიანი ეკონომიკური სივრციდან. შესაბამისად, ხელისუფლების განცხადებები აჭარაში მოსალოდნელ პრივატიზაციასთან დაკავშირებით აჭარის მოსახლეობის ნაწილმა საკმაოდ მწვავედ აღიქვა. ალბათ იმიტომ, რომ ბოლო ათწლეულის განმავლობაში, აჭარაში პრივატიზაცია, ფაქტობრივად, არ ჩატარებულა და ქონების უდიდესი ნაწილი სახელმწიფოს, ანუ მმართველი კლანის საკუთრებაში დარჩა. ახლა კი ხელისუფლება აჭარის ეკონომიკის განვითარების სასტარტო წერტილად სწორედ პრივატიზაციის დასაწყისს მიიჩნევს, თავად პრივატიზაციის პროცესს კი ტურისტული ინფრასტრუქტურით ხსნის.*

**"პრივატიზაცია რეგიონის ეკონომიკის განვითარებას შეუწყობს ხელს. როცა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მომსახურების ობიექტები გაიყიდება, მეწარმეობას იმპულსი მიეცემა და საბიუჯეტო შემოსავლებიც იმატებს. კონკურენციაც გაიზრდება, მომსახურებაც გაუმჯობესდება და სერვისიც გაიაფდება,"** - ასეთია დღეს აჭარის და, მთლიანად, საქართველოს ხელისუფლების პოზიცია. მთავრობაში იმედოვნებენ, რომ სახელმწიფო ობიექტების გასხვისებით რეგიონი განვითარდება, ბევრი ახალი სამუშაო ადგილი შეიქმნება, რეგიონში კი დიდძალი კაპიტალი მობილიზდება.

შეიძლება ითქვას, რომ აჭარაში



სეირან ბაროიანის ფოტო

*ბათუმის "ინტურისტი" 15 სექტემბერს დაგეგმილ აუქციონზე უნდა გაიყიდოს.*

პრივატიზაცია, ფაქტობრივად, არასოდეს ჩატარებულა. შედეგად, რეგიონამდე უცხოური ინვესტიციები თითქმის ვერ აღწევდა. 1996 წლიდან დღემდე გასხვისებული ობიექტების რაოდენობა სამასს აღწევს. მათი აბსოლუტური უმრავლესობა არასაცხოვრებელი ფართი, სავაჭრო ობიექტი და სამედიცინო დაწესებულებაა. ერთადერთი მსხვილი ობიექტი, რომლის პრივატიზება უკანასკნელი წლების განმავლობაში მოესწრო, ბათუმის ნავთობტერმინალი გახლდათ.

როგორც აჭარის ეკონომიკის სამინისტროში აცხადებენ, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ობიექტების უმეტესობას სრულიად მოუწესრიგებელი აქვს იურიდიული დოკუმენტაცია. **"პრივატიზებამდე ეს ყველაფერი მოსაწესრიგებელია, რაც დიდ დროს და ინტენსიურ მუშაობას მოითხოვს,"** - აცხადებს აჭარის ეკონომიკის მინისტრი ალექსანდრე ბეჟანიძე და იმედოვნებს, რომ ამ თავსატეხის მიუხედავად, პირველ რიგში გასაყიდი ობიექტების ნუსხა დადგენილ ვადაში მომზადდება.

სახელმწიფო საკუთრებაში დღეს 150-მდე სავაჭრო და საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტი, 270 საწარმო და 400-მდე "არასაცხოვრებელ ფართად" კვალიფიცირებული შენობა-ნაგებობაა დარჩენილი. ეს ობიექტები, ხელისუფლების ვარაუდით, 2005 წლის ბოლომდე უნდა გაიყიდოს.

ამ საწარმოების შეფასებაზე მთავრობა დიდ დროს და ენერგიას არ დახარჯავს: ქალაქი ზონებად დაიყოფა. ყველაზე ძვირადღირებულ ზონაში, ბუნებრივია, ქალაქის ცენტრში განთავსებული ობიექტები მოექცევიან. ერთ კვადრატულ მეტრ ფართობს აქ თავისი ფასი ექნება - 200 დოლარიდან ზევით. გარეუბნებში მდებარე ობიექტების სასტარტო ფასი ნაკლები - 100 დოლარი იქნება.

პირველივე აუქციონზე ოთხი, საკმაოდ მიმზიდველი ლოტი გავა: ბათუმის "ინტურისტი", ქობულეთის "ინტურისტი", ჩაქვის "ოაზისი" და ქობულეთის "ივერია". არა პირველივე აუქციონზე, მაგრამ - მალე, უნდა გაიყიდოს 40-პროცენტიანი სახელმწიფო წილი ბათუმის "თანამგზავრშიც".

ბათუმის "ინტურისტის" სასტარტო ღირებულება, სავარაუდოდ, 2 მილიონი დოლარი იქნება. მთავრობაში იციან, რომ ამ სასტუმროს შესყიდვის მსურველი რამდენიმეა და, აქედან გამომდინარე, იმედოვნებენ, რომ მათ შორის კონკურენციამ, შესაძლოა, სახელმწიფო ყულაბას სასტარტო ფასზე გაცილებით მეტი თანხა მოუტანოს.

საორიენტაციოდ, 1,5 მილიონი დოლარიდან 2 მილიონამდე შეფასდება ქობულეთის "ინტურისტი". ყველაზე ძვირად კი - სავარაუდოდ, 4 მილიონად ჩაქვის "ოაზისი" შეფასდება. აჭარის ეკონომიკის სამინისტროში აცხადებენ, რომ ეს ერთადერთი ობიექტია, რომელიც ამჟამად კარგ მდგომარეობაშია. **"დანარჩენი სასტუმროები გაჩანაგებულია. მართალია, ჩვენ ამ ობიექტების ძვირად გაყიდვა გვინდა, მაგრამ ისეც არ უნდა გამოვიდეს, რომ ფასმა ინვესტორი დააფრთხოს,"** - ფრთხილობენ აჭარის მთავრობაში და არც იმას გამორიცხავენ, რომ გასაყიდ სასტუმროებზე დამაგრებული მიწის ფართი ცალკე ლოტებად გაყიდონ.

ყველაზე მეტი საპრივატიზებო ობიექტი ქობულეთშია განლაგებული. თუმცა, ხელისუფლებას ჯერ სასტუმროებში მცხოვრები ლტოლვილების პრობლემა და მიწის კადასტრის საკითხი აქვს მოსაგვარებელი, რაშიც აჭარის მთავრობას თანადგომას დონორი ორგანიზაციები ჰპირდებიან. პრივატიზაციის წინ მათი დახმარებით აჭარაში ერთიანი საჯარო რეესტრი უნდა შეიქმნას.

# აჭარიდან თანხები დაიძრა

*წლების განავლობაში აჭარაში მობილიზებული გადასახადები ბიუჯეტის ნაცვლად ასლან აბაშიძის პირად "საზღვაო ბანკში" იყრიდა თავს. ექსბაბუებს შესაშური ურთიერთგაგება ჰქონდათ - შევარდნაძის სასარგებლოდ საარჩევნო ხმების სანაცვლოდ, აბაშიძეს სრული თავისუფლება გარანტირებული ჰქონდა. შევარდნაძე-აბაშიძის მეგობრული ურთიერთობა სახელმწიფო ბიუჯეტს ყოველწლიურად 40 მილიონი ლარი უჯდებოდა. თუმცა, ამისთვის პასუხს არავინ არავის სთხოვდა.*




სოფიკო ოხანაშვილი

ახალი ხელისუფლების სათავეში მოსვლის შემდეგ შევარდნაძის "ნებაყოფლობითი" წასვლით შეშინებულმა აბაშიძემ საკუთარი ძალაუფლების გამყარებას მიჰყო ხელი და ახალი ხელისუფლებისადმი დაუმორჩილებლობის დემონსტრირება უფრო მკვეთრი ქმედებებით დაიწყო. საკუთარი სკამის შესანარჩუნებლად აბაშიძისეული მეთოდები საუბრის ცალკე თემაა.

ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ - ერთიანი სახაზინო ანგარიშის ამოქმედებამდე და "აჭარული ვარდების რევოლუციამდე" - რეგიონისა და ცენტრის ფინანსური ანგარიშგება ინერციით გრძელდებოდა. პირველ კვარტალში აჭარიდან სახელმწიფო ბიუჯეტში, გეგმით გათვალისწინებული 15 მილიონი ლარიდან, მხოლოდ ორ მილიონამდე ლარი გადმოირიცხა. ფინანსთა სამინისტროს ინფორმაციით, მარტში აჭარიდან სახელმწიფო ბიუჯეტში არც ერთი თეთრი არ გადმორიცხულა. პირველ კვარტალში აჭარიდან გადმოსარიცხი თანხების ნაწილში დანაკლისმა 10 მილიონ ლარს გადააჭარბა. გეგმის შეუსრულებლობის ერთ-ერთ მიზეზად ეკონომიკურ ბლოკადას ასახელებდნენ. თუმცა, ისიც ფაქტია, რომ აჭარიდან თანხების გადმოურიცხაობა ახალი პრობლემა არ იყო - შევარდნაძე-აბაშიძის მეგობრული ურთიერთობა სახელმწიფო ბიუჯეტს ყოველწლიურად 40 მილიონი ლარი უჯდებოდა.

მიმდინარე წლის ხუთ აპრილს, ბიუჯეტის შემოსავლების მობილიზების გაუმჯობესების მიზნით, ერთიანი სახაზინო ანგარიში ამოქმედდა. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მონაცემებით, ხუთი აპრილიდან 12 აგვისტოს ჩათვლით, აჭარიდან ხაზინის ერთიან ანგარიშზე ჩარიცხულმა მთლიანმა თანხამ 55 მილიონი 900 ათასი ლარი შეადგინა, აქედან, აჭარას მისი კუთვნილი - 23 მილიონი ლარი დაუბრუნდა.

ახალი ბერკეტების ამოქმედების მიუხედავად, ექსპერტების შეფასებით, აჭარიდან კვლავ მცირე მოცულობის თანხები მოდის. თუმცა, ხელისუფლების წარმომადგენლების განცხადებით, ეს, უბრალოდ, დროის ფაქტორია. მათი მტკიცებით, მთავარი შედეგი უკვე სახეზეა - **აჭარიდან თანხები დაიძრა.**

# მრეწველობა აჭარაში - გუშინ და დღეს

*აჭარის მრეწველობის ხვედრითი წილი ქვეყნის მრეწველობის საერთო მოცულობაში მოკრძალებულია - 2,1 პროცენტი. აჭარის სამრეწველო საწარმოების მიერ 2004 წლის პირველ კვარტალში წარმოებული სამრეწველო პროდუქციის ღირებულებამ 7,8 მლნ ლარი შეადგინა, ხოლო ზრდის ტემპებმა კი 7 პროცენტს გადააჭარბა.*

ეთერ მამულაშვილი

ეკონომიკური განვითარების სამინისტროს შეფასებით, წლების მანძილზე აჭარაში სამეწარმეო აქტივობა ძალიან დაბალი იყო, რის ძირითად მიზეზადაც რეგიონში განუხორციელებელ პრივატიზაციას ასახელებენ. შედეგად, კერძო სექტორის ხვედრითი წილი შეადგენს მხოლოდ 49,3 პროცენტს, მაშინ როდესაც მთლიანად ქვეყანაში სამრეწველო პროდუქციის ორი მესამედი არასახელმწიფო საწარმოებში იწარმოება.

დღეიდან სამრეწველო ობიექტების პრივატიზაციის პარალელურად, მთელ რიგ სახელმწიფო საწარმოებში მთავრობა სერიოზული სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარებას გეგმავს. ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა, სს ტრანსფორმატორი და ელექტროხელსაწყო, ბათუმის ქიმიურ-ფარმაცევტული ქარხანა, სს კაუჩუკი, სს ქიმიკოსი, სს საავეჯო ბამბუკის ფაბრიკა, ბათუმის სამკერვალო ფაბრიკა, ბათუმის გემთმშენებელი ქარხანა და ბათუმის ტყავის ქარხანა - ეს ის პრიორიტეტული საწარმოებია, რომელთა განვითარებისა და სრული დატვირთვით ასამუშავებლად მინისტრთა კაბინეტმა ამ ორიოდე თვის წინათ, ბათუმში აჭარის ეკონომიკური განვითარების პროგრამის პრეზენტაციაზე მხარდაჭერა და მზადყოფნა გამოხატა. რეგიონში სამრეწველო დარგის ასაღორძინებლად არანაკლები მნიშვნელობა ენიჭება ციტრუსების, თამბაქოს, ჩაისა და თევზის გადამუშავებას.

რაც შეეხება ბათუმის პორტს, ის, როგორც პრემიერ-მინისტრმა არაერთხელ აღნიშნა, განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ მოექცევა. ჟვანიას განცხადებით, მალე პორტი საჯარო სამართლის იურიდიულ პირად გადაკეთდება. უახლოეს ორ წელიწადში არა, თუმცა უფრო შორეულ პერსპექტივაში ბათუმის პორტის პრივატიზაციაც იგეგმება. აჭარისთვის შემოსავლის ამ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ობიექტის გასხვისებამდე კი საქართველოს მთავრობა ამჯერად მისი განვითარების რამდენიმე ვარიანტს განიხილავს.

მათ შორის: საქართველოში არსებული ფოთისა და ბათუმის პორტების ერთიან ადმინისტრირებას დაექვემდებარება; ან, ბათუმისა და ფოთის პორტების დამოუკიდებლად განვითარება და მათ შორის კონკურენციის გაჩაღება.

ამჟამად აჭარაში რამდენიმე სამრეწველო ობიექტი მეტ-ნაკლები ინტენსიურობით მუშაობს, რომელთა პრივატიზაცია წელს არა, მაგრამ უახლოეს ორ წელიწადში აუცილებლად მოხდება. მათ საბოლოო გასხვისებამდე, მთავრობამ ორიოდე თვის წინათ ამ მსხვილ საწარმოთა განვითარების სპეციალური პროგრამების შემუშავება-განხორციელებისთვის სრული მხარდაჭერა გამოხატა.

ქვემოთ გთავაზობთ ხსენებულ საწარმოთა მოკლე დახასიათებას და მათი შემდგომი განვითარების პოტენციალს:

**ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის** ტერიტორიაზე მცირეტონაჟიანი (500 ათ.ტნ/წელიწადში) ნავთობგადამამუშავებელი საწარმოს მშენებლობა, რომელიც უზრუნველყოფს ფართო პროფილის ნავთობპროდუქტების (ბენზინი, დიზელის საწვავი, რეაქტიული ნავთი, მინერალური ზეთები, მაზუთი, ბითუმი) გამოშვებას თანამედროვე მაღალრენტაბელური ტექნოლოგიების გამოყენებით.

**ბათუმის გემთმშენებელი ქარხანა** აშენებს საზღვაო და სამდინარო დანიშნულების სხვადასხვა სახის 100 ტონამდე წყალწყვის კატარღებს. ქარხანაში აშენებულია გემის წყალში ჩასაშვები და ამომღები ნაგებობა, რომელიც გემებზე სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების ჩატარების საშუალებას იძლევა. პერსპექტივაში გათვალისწინებულია თანამედროვე მაღალი კლასის წყალქვეშა-ფრთიანი 100-120-კაციანი 80-100 ტონამდე წყალწყვის სასეირნო კატარღის ათვისება. თურქმენეთთან გაფორმებულია ხელშეკრულება ერთი "გრიფისა" და ოთხი "აისტის" დამზადებაზე. ქარხანაში ამჟამად მიმდინარეობს სამუშაოები სანკტ-პეტერბურგისათვის ორი "სტრიჟის", ხოლო შპს "ბათუმის საზღვაო ნავსადგურისათვის" ნავთობნარჩენების შემგროვებელი მცურავი საშუალების დამზადებაზე. ჩატარებულია მარკეტინგული გამოკვლევა შიდა და საგარეო ბაზარზე, გამოვლენილია საბუქსირო და სახანძრო კატარღებზე მოთხოვნილების პერსპექტივა.

**სს "ტრანსფორმატორი და ელექტროხელსაწყო"** 23 დასახელების პროდუქციას აწარმოებს: სხვადასხვა სიმძლავრის (დაბალი ძაბვის, ძალოვანი) ტრანსფორმატორებს, დენის ტრანსფორმატორებს, მაღალი ძაბვის აპარატურას და სხვა. პროდუქცია თავისი ტექნიკური მაჩვენებლებით კონკურენტუნარიანია. საწარმოს გაფორმებული აქვს გრძელვადიანი ხელშეკრულება რუსეთის ფირმებთან, რომლებსაც ყოველწლიურად 1 მლნ ლარის პროდუქცია მიეწოდება. ქარხანაში შემუშავებულია ბიზნეს-გეგმა და საწარმოს მიერ განიხილება საკითხი გრძელვადიანი სესხის აღების თაობაზე.

| საქმიანობის სახეების მიხედვით: | აჭარის ა.რ. საწარმოთა რაოდენობა | წილი საქმიანობის მიხედვით |
|---|---|---|
| სულ | 2256 | 100.0 |
| სოფლის მეურნეობა, ნადირობა და მეტყევეობა | 10 | 0.4 |
| თევზჭერა | 2 | 0.1 |
| სამთომოპოვებითი მრეწველობა და კარიერების დამუშავება | 7 | 0.3 |
| გადამამუშავებელი მრეწველობა | 136 | 6.0 |
| ელექტროენერგია, გაზი და წყალმომარაგება | 7 | 0.3 |
| მშენებლობა | 39 | 1.7 |
| ავტომობილების, საყოფაცხოვრებო საქონლის და პირადი სარგებლობის ნივთების რემონტი | 1563 | 69.3 |
| სასტუმროები და რესტორნები | 194 | 8.6 |
| ტრანსპორტი, სასაწყობო მეურნეობა და კავშირგაბმულობა | 64 | 2.8 |
| საფინანსო შუამავლობა | 13 | 0.6 |
| ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და კომერციული საქმიანობა | 93 | 4.1 |
| განათლება | 34 | 1.5 |
| ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური მომსახურება | 67 | 3.0 |
| სხვა კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურება | 27 | 1.2 |

აჭარის საწარმოთა რაოდენობის სტრუქტურა საქმიანობის მიხედვით 2003 წელს

**შპს "ელექტრომექანიკური და ლითონკონსტრუქციების საწარმოო გაერთიანება"** სპეციალიზებული იყო ელექტროურიკების წარმოებაზე, რომელიც დღეისათვის არაკონკურენტუნარიანია. პერსპექტივაში გათვალისწინებულია საბავშვო თვითმაგორის, ატრაქციონების და სპორტული ტრენაჟორების წარმოება. ამჟამად მიმდინარეობს მოლაპარაკება მოსკოვის შპს "ელექტრომომარაგების" ხელმძღვანელობასთან ელექტროდებისა და ინდივიდუალური გათბობის სისტემის ასათვისებლად.

**სს "ბათუმის ქიმიურ-ფარმაცევტული ქარხანა"** ადგილობრივი ნედლეულის გამოყენებით აწარმოებს სხვადასხვა სამკურნალო საშუალებებს. საწარმოს გაფორმებული აქვს ხელშეკრულება ბრინცალოვის ფარმაცევტულ ფირმასთან, რომელსაც მიეწოდება პლატიფილინის ფხვნილი. პერსპექტივაში შესაძლებელია ალოეს რკინიანი სიროფისა და სპირტიანი ხსნარის წარმოება. აგრეთვე შესაძლებელია ათვისებულ იქნას ახალი სახის პროდუქცია ნავთობგადამუშავების შედეგად მიღებული ზეთების გამოყენებით.

**სს "კაუჩუკი"** სპეციალიზირებული იყო რეზინის ფეხსაცმლისა და სხვა ნაკეთობების წარმოებაზე. ქარხანაში შენარჩუნებულია რეზინის მწარმოებელი ტექნოლოგიური დანადგარები და მოთხოვნილების არსებობის შემთხვევაში შესაძლებელია, დამზადდეს სხვადასხვა შემადგენლობისა და დანიშნულების რეზინის ნაკეთობები.

**სს "ქიმიკოსი"** აწარმოებს სხვადასხვა სახის სალებავებისა და სოფლის მეურნეობისათვის საჭირო შხამქიმიკატებს. ქარხანას გააჩნია მაღალტექნოლოგიური დანადგარები ხარისხიანი სალებავებისა და მინერალურ-ზეთოვანი ემულსიის, კალიუმის პოლისულფიდის წარმოებისათვის, რომელზედაც მოთხოვნილებაა შიდა ბაზარზე.

**სს "საავეჯო ბამბუკის ფაბრიკა"** სპეციალიზირებულია ბამბუკის საზაფხულო ავეჯის, ფანჩატურის, საოფისე ავეჯისა და სხვა სახის პროდუქციის წარმოებაზე.

**სს "ბათუმის ხის დამამუშავებელი კომბინატი"** ძირითადად, აწარმოებს სხვადასხვა ავეჯს და ახდილ შპონს. ამჟამად ამოქმედდა შეწებილი ფანერის წარმოება.

**შპს "ბათუმის სამკერვალო ფაბრიკა"**, რომელიც 10 წლის ვადით გაცემულია იჯარით, აწარმოებს სხვადასხვა სახის კონკურენტუნარიან სამკერვალო ნაწარმს. საწარმო აღჭურვილია თანამედროვე მანქანა-დანადგარებით. შეკვეთების არსებობის შემთხვევაში, საწარმოს შეუძლია გაზარდოს წარმოების მოცულობა.

**შპს "ბათუმის ტყავის ქარხანა"** მუშაობს მცირე დატვირთვით. შეკვეთების არსებობის შემთხვევაში ქარხანას გააჩნია წარმოების ზრდის შესაძლებლობა.

# როგორი იყო და იქნება აჭარის 2004 წლის ბიუჯეტი?

*წინასწარი მონაცემებით, აჭარის კონსოლიდირებული ბიუჯეტის პირველი შვიდი თვის შემოსავლებმა 66 მილიონ ლარს გადააჭარბა და, როგორც ადგილობრივ ხელისუფლებაში ირწმუნებიან, წლის ბოლომდე ეს მაჩვენებელი, სულ მცირე, გაორმაგდება. ამგვარი "საბიუჯეტო ოპტიმიზმის" საფუძველს აჭარის ფინანსთა სამინისტროს საბაჟოდან ბოლო ორ თვეში ამოღებული გადასახადები აძლევს, რაც, მათი თქმით, გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, თითქმის გაორმაგებულია. სამაგიეროდ, აჭარის ბიუჯეტი საგადასახადო შემოსავლების ნაწილში გასულ შვიდ თვეში ხუთ მილიონამდე გაირღვა.*

ეთერ მამულაშვილი

2004 წლის აჭარის ბიუჯეტი ჯერჯერობით დამტკიცებული არ არის. ამჟამად მასზე საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან ერთად ადგილობრივი ხელისუფლება მუშაობს და, როგორც ირწმუნებიან, აგვისტოს ბოლოს რეგიონს სრულიად ახალ პარამეტრებზე აგებული ბიუჯეტი ექნება.

წლის ბოლომდე აჭარაში 130-135 მილიონი ლარის შემოსავლების მობილიზებას ვარაუდობენ, საიდანაც ცენტრალური ბიუჯეტი კუთვნილ ორმოცდაათ მილიონამდე ლარს მიიღებს. საკუთარი შემოსავლები, ანუ ის, რაც აჭარაში დარჩება და მთლიანად რეგიონის განვითარებას მოხმარდება, წელს 80-85 მილიონი ლარი იქნება. რაც შეეხება აჭარის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილს, ეს უშუალოდ ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლებისა და პარლამენტის პრეროგატივაა, რაზეც დღეს აჭარაში აქტიურად მუშაობენ.

## შემოსავლები

გასულ ექვს თვეში აჭარის საგადასახადო დეპარტამენტის ხაზით, რეგიონის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრომ 25 მილიონზე მეტი ლარის მობილიზება შეძლო. აქედან თითქმის 5.700.000 ლარი ცენტრალურ ბიუჯეტში ჩაირიცხა. 39 მილიონზე მეტი ლარი მოაგროვა რეგიონის საბაჟო დეპარტამენტმა, საიდანაც თითქმის ნახევარი ცენტრალური ბიუჯეტში გადაირიცხა. რაც შეეხება არასაგადასახადო შემოსავლებს, აჭარის ხელისუფლების შესაბამისმა უწყებებმა, ამ კუთხით, 1 მილიონ 600 ათასზე ოდნავ მეტის ამოღება მოახერხეს.

სერიოზული გარღვევაა კაპიტალური შემოსავლების ნაწილში. ბიუჯეტის დანაკლისმა ამ ნაწილში თითქმის 75 პროცენტი შეადგინა. ფინანსთა სამინისტროში თავს იმით იმართლებენ, რომ რეგიონში აბაშიძის რეჟიმის წასვლიდან ჯერ მხოლოდ ორი თვეა გასული.

## ხარჯები

რაც შეეხება ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილს. აჭარის ფინანსთა სამინისტროში აცხადებენ, რომ ამ მხრივ აბაშიძისგან მათ ყველაზე მძიმე მემკვიდრეობა ერგოთ. გასულ შვიდ თვეში აჭარაში გაწეულმა ხარჯებმა თითქმის 38 მილიონი ლარი შეადგინა. მათ შორის, აჭარის უზენაესმა საბჭომ და მასთან არსებულმა ორგანიზაციებმა მილიონ 300 ათასზე ცოტა მეტი დახარჯეს, ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს ხარჯები 11.365.000 ლარით დაფინანსდა, საარჩევნო ადმინისტრაციაზე გაწეულმა ხარჯებმა ნახევარ მილიონს გადააჭარბა, თითქმის ორი მილიონი დახარჯა აჭარის ჯანდაცვისა და სოცუზრუნველყოფის სამინისტრომ, განათლების სამინისტროს გასულ შვიდ თვეში 5 მილიონზე ცოტა მეტი ერგო, 2.250.000 შინაგან საქმეთა სამინისტროს, უშიშროების სამინისტროს მიერ შვიდ თვეში გაწეულმა ხარჯებმა თითქმის 5 მილიონი ლარი შეადგინა. 400 ათასით დაფინანსდა სოფლის მეურნეობის სამინისტრო, ცოტა უფრო მეტით - აჭარის ინფრასტრუქტურა.

კახა შავაძემ ჩვენთან საუბარში აღნიშნა, რომ აპრილის თვის ჩათვლით ყოფილმა ხელისუფლებამ საბიუჯეტო თანხების მნიშვნელოვანი ნაწილი არამიზნობრივად გახარჯა.

თუ როგორ განკარგავდა საბიუჯეტო თანხებს და რას თვლიდა აბაშიძე და მისი გარემოცვა პრიორიტეტულად, ამას შემდეგი რამდენიმე ციფრიც მოწმობს. დასვენების ორგანიზებასა და სპორტულ ღონისძიებებზე აჭარაში ყოფილმა ხელისუფლებამ წელს თითქმის 5 მილიონის დახარჯვა მოასწრო, მაშინ, როცა აჭარლების ჯანმრთელობის დასაცავად ადგილობრივმა ბიუჯეტმა მხოლოდ 1 მილიონ 200 ათასი, ხოლო მათი სოციალური უზრუნველყოფისთვის მხოლოდ 400 ათასი ლარი გაიმეტა.

# კანცელარიაში საბედისწერო წერილი მიიღეს

პირველი გვერდიდან

ახალი კოდექსი სოციალური გადასახადების 33 პროცენტიდან 20 პროცენტამდე, ხოლო საშემოსავლო გადასახადის 18-დან 12 პროცენტამდე შემცირებას ითვალისწინებს. უნდა ამოქმედდეს საგადასახადო ომბუდსმენის პოსტი და საგადასახადო არბიტრაჟი, რომელიც გადასახადების გადამხდელთა და სახელმწიფო უწყებას შორის არსებულ დავებს დაარეგულირებს. არბიტრაჟის ინსტიტუტის შექმნას ეკონომიკის მინისტრმა "ფანტასტიკური ინსტიტუტი" და "რევოლუციური იდეა" უწოდა. ბენდუქიძის თქმით, **"არბიტრაჟის შემოღება თანასწორ მდგომარეობაში ჩააყენებს გადამხდელსა და საგადასახადო ადმინისტრაციას. არბიტრაჟში დავების გადაწყვეტა არაუმეტეს ორ თვეში განხორციელდება, რაც გაუგებრობების მოგვარების სწრაფ და მარტივ წესს უზრუნველყოფს."** კოდექსის საკვანძო იდეად კი ბენდუქიძე დაჩქარებული ამორტიზების ინიციატივას მიიჩნევს, **"რაც ყველა სახის განვითარებად ბიზნესს წაახალისებს. ეს რეჟიმი არგადამხდელებისთვის სხვადასხვა საბაბით გადასახადის გადავადებას შეზღუდავს. შესაბამისად, მოიხსნება საგადასახადო შეღავათები დარგების მიხედვით, რაც მეწარმეებს არათანაბარ პირობებში აყენებდა."**

წერილში, რომელიც კანცელარიაში გუშინ მიიღეს, ნათქვამია, რომ ფონდი, მართალია, იწონებს კოდექსის შეცვლის იდეას, მაგრამ ხელისუფლების ინიციატივას საგადასახადო განაკვეთების შემცირების თაობაზე არ იზიარებს. მინიმუმ სამი წლის განმავლობაში ფონდის ექსპერტები ქვეყნის ხელისუფალთ ამ ნაბიჯის გადადგმას "არ ურჩევენ", რადგან, მათი შეფასებით, საგადასახადო განაკვეთების შემცირება საბიუჯეტო შემოსავლების მნიშვნელოვან კარგვას გამოიწვევს.

**"სავალუტო ფონდში სულელები არიან,** - დაასკვნა ბენდუქიძემ, - **გაუგებარია ფონდის პოზიცია, როცა ქვეყანაში ეროვნული კონსენსუსია მიღწეული და ყველა კოდექსის შეცვლის აუცილებლობაზე საუბრობს, ფონდი ჩემთვის მიუღებელ პოზიციას აფიქსირებს. დროა, რეალურად შეფასდეს მისი როლი საქართველოს ეკონომიკის განვითარებაში. კარგი იქნება, საერთაშორისო სავალუტო ფონდის პროექტები საქართველოში საერთოდ გაჩერდეს."**

ერთი სიტყვით, ბენდუქიძე იმდენად განრისხებულია, რომ არც თავის ფინანსისტ კოლეგებს ერიდება, რომლებმაც სავალუტო ფონდთან "თბილი ურთიერთობების" აღდგენას "ვარდების რევოლუციის" შემდეგ საკმაოდ დიდი დრო და ძალისხმევა მოახმარეს. სწორედ ამიტომ, მინისტრი არ გამორიცხავს, რომ ხელისუფლებაში აზრთა სხვადასხვაობა იქნება, თუმცა, თუ მთავრობა მის პოზიციას არ გაიზიარებს, ბენდუქიძე თანამდებობას დატოვებს.

იქცევა თუ არა ფონდის წერილი განხეთქილების ვაშლად, ჯერჯერობით უცნობია. ასეა თუ ისე, მთავრობის მიერ შემუშავებული ახალი საგადასახადო კოდექსი ფართო საზოგადოებისათვის ოთხშაბათს გახდება ცნობილი. მის პრეზენტაციას კი, მთავრობის წევრების გარდა, ექსპერტები და ბიზნესმენებიც დაესწრებიან.

# არეულობა ბათუმის აეროპორტში

*ბათუმი-მოსკოვი-ბათუმის რეისი, რომელიც 15 აგვისტოს "საქართველოს ნაციონალურ ავიახაზებს" უნდა შეესრულებინა, გადაიდო. მოსკოვში გასაფრენად ბათუმის აეროპორტში მისულმა 120-მა უკმაყოფილო მგზავრმა საპროტესტო აქცია გამართა და გაუგებრობაზე პასუხისმგებლობა ხელისუფლებას დააკისრა. ამ ფაქტს გუშინ საქართველოს სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციის თავმჯდომარე გიორგი მჟავანაძეც გამოეხმაურა. ადმინისტრაცია "გაუგებრობის მთავარ დამნაშავედ" რუსეთის "დომოდედოვოს ავიახაზებს" ასახელებს.*

დიანა ჩაჩუა

ყველაფერი იმით დაიწყო, რომ მოსკოვში გასაფრენად ბათუმის აეროპორტში მისულ 120 მგზავრს ბათუმი-მოსკოვის რეისის გაუქმების შესახებ აცნობეს. როგორც გაირკვა, სააგენტო "კონიმ", რომელსაც საავიაციო დეპარტამენტისგან ბილეთების გაყიდვის ლიცენზია ჩამორთმეული ჰქონდა, ბათუმის აეროპორტის სალაროებში ბილეთები წინასწარ უნებართვოდ გაყიდა. სააგენტო "კონის" წარმომადგენლები აცხადებენ, რომ როცა საავიაციო დეპარტამენტისგან ლიცენზიის ჩამორთმევის შესახებ ცნობა მიიღეს, ბილეთები უკვე გაყიდული ჰქონდათ. პარალელურად კი, ამავე რეისზე უნებართვოდ გაყიდეს ბილეთები მოსკოვის სააგენტოებმაც. როგორც საქართველოს სამოქალაქო ადმინისტრაციის თავმჯდომარემ გიორგი მჟავანაძემ განაცხადა, **"მოსკოველმა და ბათუმელმა რეალიზატორმა სააგენტოებმა შეცდომაში შეიყვანეს მგზავრები და ავიაბილეთები ბათუმი-მოსკოვი-ბათუმის მიმართულებით არარსებულ რეისზე გაყიდეს."**

საქართველო-რუსეთის მთავრობათაშორისი შეთანხმების მიხედვით, ბათუმი-მოსკოვი-ბათუმის ავიარეისის განხორციელების უფლება საქართველოს მხრიდან ავიაკომპანია "საქართველოს ნაციონალურ ავიახაზებს", ხოლო რუსეთის მხრიდან ავიაკომპანია "სიბირს" გააჩნია. მჟავანაძის განცხადებით, "სიბირმა" აღნიშნული რეისის განხორციელება, გარკვეული მიზეზების გამო, ვერ შეძლო და რუსეთმა გადამზიდავად "დომოდედოვოს ავიახაზები" დანიშნა. ფრენის განრიგი ამ ორ კომპანიას თავად უნდა დაედგინა, მაგრამ შეთანხმება არ მოხერხდა. სწორედ ამიტომ, რუსეთის და საქართველოს სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციებმა ავიაკომპანიებს ავიარეისების განხორციელების განრიგი თავად დაუწესეს. მოსკოვის მხრიდან ფორმალობების მოუგვარებლობის გამო, მხოლოდ ჩარტერული რეისები ტარდებოდა. **"ჩვენ რუსეთის მხარესთან შევთანხმდით, რომ 15 აგვისტოს ფრენას "საქართველოს ნაციონალური ავიახაზები" განახორციელებდა, ხოლო მომდევნო - 18 აგვისტოს რეისი იმ შემთხვევაში შედგებოდა, თუ რუსეთის მხარესთან შეთანხმებას მიაღწევდნენ,"** - განაცხადა ადმინისტრაციის თავმჯდომარემ. მისი ცნობით, იყო მცდელობა, ხსენებული ფაქტისთვის პოლიტიკური ახსნა მოეძებნათ, თუმცა მისი განცხადებით, ვარაუდები საფუძველს მოკლებულია.

მოკლედ, მოტყუებულმა მგზავრებმა გუშინ ბათუმის აეროპორტში აქცია გამართეს. მათ ბათუმი-სარფის მიმართულებით ავტომაგისტრალის გადაკეტვაც სცადეს, მაგრამ მოგვიანებით, როცა სალაროებში ბილეთების დაბრუნების საშუალება მიეცათ, აქცია შეწყდა. ბათუმი-მოსკოვი-ბათუმის ავიარეისზე ბილეთების გაყიდვისას დაშვებული შეცდომების შესასწავლად და დამნაშავის გამოსავლენად კი საქართველოს სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციაში სპეციალური სამუშაო ჯგუფი შეიქმნა.

# პრივატიზაცია ერთ თვეში დაიწყება

## ეკონომიკის სამინისტრო თვეში 100-150 ობიექტის გაყიდვას გეგმავს

ეთერ მამულაშვილი

*ქვეყანაში მასობრივ პრივატიზაციასთან დაკავშირებით, ეკონომიკური განვითარების მინისტრმა კახა ბენდუქიძემ გუშინ საგანგებო ბრიფინგი გამართა, სადაც შეუზღუდავ პრივატიზაციაზე ისაუბრა და ამ ცოტა ხნის წინათ მისი მისამართით გამოთქმულ ბრალდებებსაც გამოეხმაურა.*



ლევან ხერხეულიძის ფოტო

*ცხინვალში მიმდინარე მოვლენები პრივატიზაციის პროცესს და ქვეყანაში ინვესტიციების შემოდინებას ვერ შეაფერხებს.*

საქართველოში პრივატიზაციის ახალი ტალღა ოფიციალურად 15 სექტემბერს, ბათუმში მდებარე სასტუმრო "ინტურისტის" გაყიდვით დაიწყება. სასტუმრო, რომლის აქციათა ასივე პროცენტი სახელმწიფო საკუთრებაშია, აუქციონის წესით გაიყიდება, ანუ ერთ დროს პრესტიჟული სასტუმრო მისი გახდება, ვინც ყველაზე ბევრს გადაიხდის. საწყისი ფასი 3 მილიონი ამერიკული დოლარია. ბენდუქიძის თქმით, "ინტურისტით" უკვე რამდენიმე სერიოზული ბიზნეს-კომპანია დაინტერესდა, მათ შორის არიან თურქი ბიზნესმენებიც. აუქციონში მონაწილეობის მისაღებად განაცხადების მიღება ეკონომიკის სამინისტროში ოთხი დღის წინათ დაიწყო და 14 სექტემბრამდე გასტანს.

აუქციონში მონაწილეობა შეუძლიათ საქართველოს ან უცხო ქვეყნის ფიზიკურ ან იურიდიულ პირებს, რომელთა ქონებაშიც საქართველოს სახელმწიფოს ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების წილი 25 პროცენტზე ნაკლებია. "ინტურისტის" კრედიტორული დავალიანება 2004 წლის 1 აგვისტოს მდგომარეობით 377 249 ლარს შეადგენს, ხოლო დებიტორული დავალიანება 2352 ლარია. სასტუმროს საწესდებო კაპიტალი 370 ათას ლარს აჭარბებს, წლიური მოგება კი 3 ათას ლარზე ოდნავ მეტია.

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად გადასახდელი ბე - 50 ათასი დოლარია, ხოლო აუქციონზე დასასწრები ბილეთის შესაძენი ფასი - 10 ლარი. ბიჯის ოდენობა 10 ათას დოლარს შეადგენს, რაც ნიშნავს, რომ აუქციონში მონაწილეს ფასის გაზრდა 10 ათასზე ნაკლები თანხით არ შეუძლია. მყიდველი ვალდებულია, აუქციონზე მის მიერ დასახელებული საბოლოო გასაყიდი ფასი აუქციონის შედეგების ოქმის გაფორმებიდან 30 დღეში გადაიხადოს, წინააღმდეგ შემთხვევაში მას ობიექტზე საკუთრების უფლება არ მიეცემა და არც ბე დაუბრუნდება უკან.

ბენდუქიძის თქმით, უახლოეს ერთ კვირაში საჯარო აუქციონი კიდევ 22 უმნიშვნელო ობიექტზე გამოცხადდება. **"უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში საქართველოში მხოლოდ რამდენიმე ობიექტი გაიყიდა, ამიტომ მოშლილია პრივატიზების სტრუქტურა. შესამუშავებელი გვაქვს პრივატიზების ახალი ტექნოლოგიები, რის გამოც გადავწყვიტეთ, ჯერ მცირე საწარმოები გავყიდოთ,"** - განაცხადა ბენდუქიძემ.

დღეიდან თითოეულ მოქალაქეს პრივატიზებასთან დაკავშირებულ ნებისმიერ საკითხზე ამომწურავი პასუხი სამინისტროში არსებული სპეციალური საინფორმაციო ბიუროს დახმარებით შეუძლია მიიღოს. სამინისტროში ფუნქციონირებს "ცხელი ხაზიც". **"ჩვენ დაინტერესებულები ვართ, რომ პრივატიზაციის შესახებ ინფორმაცია რაც შეიძლება ბევრმა ადამიანმა შეიტყოს. ეს, გარკვეულწილად, დიდ დროს მოითხოვს,"** - ამბობს ბენდუქიძე. შეგახსენებთ, რომ სამინისტროს მიერ დამტკიცებულ 2004-2006 წლების საპრივატიზაციო ობიექტთა ნუსხაში 372 ობიექტია შესული. ბენდუქიძეს დაგეგმილი აქვს, გასაყიდად ყოველთვიურად 100-150 ობიექტი გამოიტანოს.

გუშინდელ ბრიფინგზე კახა ბენდუქიძე "თბილავიამშენთან" დაკავშირებით მის მიმართ გამოთქმულ ბრალდებებსაც გამოეხმაურა. პარლამენტართა ერთი ნაწილი ეკონომიკის მინისტრის იმ გადაწყვეტილებას აპროტესტებს, რომლის თანახმადაც 100 პროცენტით სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ეს საწარმო მის ამჟამინდელ ხელმძღვანელს პირდაპირი მიყიდვის წესით გადაეცემა. ბენდუქიძის ოპონენტები მინისტრს "თბილავიამშენით" პირად დაინტერესებაში ადანაშაულებენ. **"დღემდე, ჩემი მოწინააღმდეგეებისგან ვერც ერთი სერიოზული არგუმენტი ვერ მოვისმინე. ნებისმიერ დროს მზად ვარ, დაინტერესებულ პირებს საწარმოს ამჟამინდელი ფინანსური მდგომარეობა წარვუდგინო,"** - ამბობს მინისტრი და დასძენს, რომ "თბილავიამშენის" უფრო ძვირად გაყიდვა, ვიდრე მასში საწარმოს დღევანდელი ხელმძღვანელები იხდიან, შეუძლებელია.

ჯერჯერობით უცნობი რჩება, თუ რა ფორმით მოხდება სახელმწიფო საკუთრებაში მყოფი სხვა მსხვილი ობიექტების ("საქართველოს ელექტროკავშირი", "საქართველოს ტელეკომი", "თბილისის აეროპორტი", "რუსთავის მეტალურგიული კომბინატი", "ჭიათურმანგანუმი") პრივატიზაცია. ბენდუქიძის თქმით, ამ საკითხზე სამინისტროში ამჟამად ინტენსიურად მუშაობენ. **"შევეცდებით, ყველა ობიექტი, სადაც მართვის უფლებით არავინაა შესული, საჯარო წესით, აუქციონის ფორმით გავყიდოთ,"** - განმარტავს მინისტრი, რომელსაც პრივატიზაციიდან რაც შეიძლება მეტი ფულის მიღება სურს.

ბენდუქის აზრით, ცხინვალში მიმდინარე მოვლენები პრივატიზაციის პროცესს და ქვეყანაში ინვესტიციების შემოდინებას ვერ შეაფერხებს, თუმცა ზოგიერთი უცხოელი ბიზნესმენი საქართველოში ჩამოსვლის წინ გარკვეულ შიშს გამოხატავს.

ბენდუქიძე პრივატიზაციის პროცესში უცხოური სახელმწიფო კომპანიებისათვის შეზღუდვის დაწესებას გაუმართლებლად მიიჩნევს და აცხადებს, რომ სახელწიფო კომპანიებისათვის შეზღუდვის დაწესება სწორი არ იქნება. **"მსოფლიოში ბევრი დიდი კომპანია სახელმწიფო საკუთრებაშია, ამიტომ შეზღუდვის დაწესება საქართველოში მიმდინარე პრივატიზაციაში მათ მონაწილეობას ხელს შეუშლის. საქართველოში რაც შეიძლება მეტი ინვესტორი უნდა მოვიზიდოთ. თუნდაც ისინი სახელმწიფო კომპანიების წარმომადგენლები იყვნენ, მთავარია, საქართველოში კანონიერად იმუშაონ,"** - განაცხადა ბენდუქიძემ. მისი თქმით, შეზღუდვის დაწესების შემთხვევაში, საქართველოში მიმდინარე პრივატიზაციაში მონაწილეობას ვერ მიიღებენ მსოფლიოში ცნობილი დიდი ნავთობკომპანიები, ავიაკომპანიები და კავშირგაბმულობის კომპანიები. პარლამენტის წევრის გია ნაცვლიშვილის საკანონმდებლო ინიციატივა "პრივატიზაციის შესახებ კანონში" ცვლილებებისა და დამატებების შეტანას ითვალისწინებს. პროექტის მიხედვით, უცხოეთის სახელმწიფო კომპანიებს საქართველოში პრივატიზაციის პროცესში მონაწილეობის მიღება არ შეუძლიათ. მათ უნდა დააარსონ შუამავალი კომპანია, სადაც მათ აქციათა არაუმეტეს 25 პროცენტი ექნებათ. კანონპროექტის ავტორი ამ ცვლილებას იმით ხსნის, რომ დღემდე, ამგვარი შეზღუდვა ქართული სახელმწიფო კომპანიების მიმართ არსებობს.


ახალი საპროცენტო განაკვეთი ბიზნეს სესხებზე

პროკრედიტ ბანკი
ProCredit Bank

ბიზნეს სესხი დოლარში

მოკლევადიანი უკვე წლიური 13%-დან

გრძელვადიანი უკვე წლიური 14%-დან

სესხის დაფარვის მაქსიმალური პერიოდით 60 თვე

ბიზნეს სესხი ლარში

უკვე წლიური 17%-დან

სესხის დაფარვის მაქსიმალური პერიოდით 18 თვე

პროკრედიტ ბანკი – ლიდერი მცირე და საშუალო ბიზნესის დაფინანსებაში

დამატებითი ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით: | 20 16 16 თამარ მეფის გამზ. 18 | 20 17 17 ვაჟა-ფშაველას გამზ. 46 | 25 28 06 ჭავჭავაძის გამზ. 58



# დიქტატორთან მეგობრობა კერძო ინტერესების სანაცვლოდ

ლევან გელაშვილი

*დღეს ხშირად საუბრობენ იმაზე, რომ საუდის არაბეთის მმართველი რეჟიმი ისლამისტი-რადიკალების მხრიდან მომდინარე საფრთხისაგან დაუცველია. თუმცა, იგივე შეიძლება ითქვას უფრო აღმოსავლეთით მდებარე კიდევ ერთ ავტორიტარულ ხელისუფლებაზე, რომელთანაც შეერთებულ შტატებს მეგობრული ურთიერთობები აკავშირებს.*



*აშშ-ს უზბეკ დიქტატორთან მეგობრული ურთიერთობები აკავშირებს.*

უზბეკეთში ისლამ კარიმოვის ტოტალიტარული რეჟიმი კრიზისისაკენ მიექანება. ქვეყანაში აფეთქებები და საზოგადო მოღვაწეებზე თავდასხმები გრძელდება. გასული თვის ბოლოს უზბეკეთის დედაქალაქ ტაშკენტში აშშ-სა და ისრაელის საელჩოებთან ტერაქტები განხორციელდა.

არცთუ დიდი ხნის წინ, უზბეკეთში მსგავს პრობლემებს ყურადღებას თითქმის არავინ აქცევდა, რადგან აფეთქებები და უწესრიგობები შორეულ ქვეყანაში ამერიკისათვის ბევრს არაფერს წარმოადგენდა. სამაგიეროდ, 2001 წლის 11 სექტემბრის მოვლენების შემდეგ, გლობალური ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის მოტივით, უზბეკეთში ამერიკული ჯარები შევიდნენ. ამდენად, კარიმოვისა და მის მოწინააღმდეგეებს შორის ბრძოლაში, შესაძლოა, შეერთებული შტატებიც ჩაებას.

უზბეკეთში ვაშინგტონი, შესაძლოა, იმავე პრობლემას წააწყდეს, რომელიც ამერიკის ბოლო პერიოდის საგარეო პოლიტიკას მუდმივად თან ახლავს. ცივი ომის დროს ანტიამერიკული რადიკალიზმის ერთ-ერთ გამოვლინებად კომუნიზმი მიიჩნეოდა. დღეისათვის კი - ეს ტერორისტული დაჯგუფებები გახლავთ. შეერთებული შტატები დიქტატორულ რეჟიმს ფინანსურ და სამხედრო მხარდაჭერას მხოლოდ იმიტომ უწევს, რომ ამერიკის ხელმძღვანელობის აზრით, ეს უკანასკნელი გაცილებით უკეთესია, ვიდრე ის, ვისაც იგი ებრძვის. ამგვარ თანამშრომლობას იქამდე მივყავართ, რომ ამერიკა ამ რეჟიმისაგან გამიჯვნის უნარს თანდათანობით კარგავს. როდესაც მასზე გავლენის ყველა პოლიტიკური ბერკეტი დაცლილია და ეკონომიკური თვალსაზრისითაც სარგებლის მიღება შეუძლებელია, ჩვენ ვაწყდებით წინააღმდეგობის ისეთ ფორმას, რომელსაც, შესაძლოა, ძალადობა მოჰყვეს.

ამ შემთხვევაში, რეჟიმი აცხადებს, რომ თუ მას დაამხობენ, ეს ამერიკისათვის მისი ინტერესების დასაკმაყოფილებლად უკან გადადგმული ნაბიჯი იქნება. ამგვარ ურთიერთობებში სამხედრო ბაზებისა და პოლიტიკური გავლენის დაკარგვა არცთუ უმნიშვნელო ფაქტორი გახლავთ. ამდენად, ამერიკა დგამს ისეთ ნაბიჯებს, რომელთა მიხედვითაც რეჟიმის მტრები მის საკუთარ მტრებად ცხადდებიან. თუმცა, იმ დროისათვის მოქმედი მთავრობა მოსახლეობაში იმდენად პოპულარული ხდება, რომ ქვეყანასა თუ რეგიონში ამერიკის ყოფნა არათუ საჭირო, არამედ შეუძლებელიცაა.

უფრო ჭკვიანური იქნებოდა, რომ შეერთებულ შტატებს მმართველი რეჟიმისაგან პოლიტიკური პროცედურების უფრო გამჭვირვალობა თავიდანვე მოეთხოვათ. ამდენად, ეს უკანასკნელი სხვების თვალში უფრო პატივსაცემი ძალა გახდებოდა და უბრალო მოსახლეობის ეკონომიკურ კეთილდღეობასაც გააუმჯობესებდა. თუმცა, დიქტატორული რეჟიმების მენტალიტეტის შეცვლა იშვიათად ხერხდება, მით უმეტეს, როდესაც მათთვის ჰუმანიტარული და სამხედრო დახმარების გაწევას განაგრძობენ.

პირველ ყოვლისა, აშშ-ს გავლენა შემოიფარგლება იმით, რომ რეჟიმი, რომელთანაც ამერიკა მუშაობს, ხვდება, რომ ვაშინგტონი არა კეთილი ნებით, არამედ თავისი ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედებს. ამდენად, შეერთებულ შტატებსა და ამ რეჟიმს შორის ურთიერთობების გაწყვეტა საერთაშორისო დონეზე დიდ გავლენას არ მოახდენს. მეორეც, ამგვარი რეჟიმებისათვის დასავლეთისათვის მიუღებელი მმართველობის მეთოდები არა მძიმე ალტერნატივას, არამედ საკუთარი ძალაუფლების შენარჩუნებისა და განმტკიცების ინსტრუმენტს წარმოადგენს.

დემოკრატიზაცია ქვეყანაზე დიქტატორთა კონტროლს ამცირებს. დიქტატორი კი, პოლიტიკურ თვითმკვლელობას აღფრთოვანებით ნამდვილად არ განახორციელებს მხოლოდ იმიტომ, რომ ამერიკას ასიამოვნოს. ამასთან, კარიმოვმა უკვე დაამტკიცა, რომ თავის დამარცხებულ და განადგურებულ მოწინააღმდეგეებზე ტერორისტებისა და ისლამური ფუნდამენტალისტების იარლიყების მიკერებაში ბადალი არ ჰყავს.

უზბეკეთში დესტაბილიზაციის ზრდასთან ერთად, კარიმოვის ამერიკელი აპოლოგეტები დაჟინებით მოითხოვენ, რომ მმართველ რეჟიმს ზურგი არ უნდა შეაქციონ, რადგან ის ალ ქაიდასთან დაკავშირებული ისლამისტური მოძრაობების ხელისუფლებაში მოსვლას უშლის ხელს. მათი მტკიცებით, ხანაბადში განლაგებული ამერიკული სამხედრო ბაზა საერთაშორისო ტერორიზმთან საბრძოლველად უკიდურესად მნიშვნელოვანია. მათივე თქმით, კარიმოვის რეპრესიებზე საუბარი საკმაოდ გადაჭარბებულია, ხოლო უზბეკეთი მტრული ისლამისა და ცენტრალურ აზიაში რუსეთის ჰეგემონიის წინააღმდეგ ბრძოლაში ამერიკის ნამდვილი მოკავშირეა.

უზბეკეთში რადიკალური ისლამისტური მოძრაობების არსებობა სიახლეს არ წარმოადგენს. ისლამურ პოლიტიკურ დოქტრინებს ყველაზე უკეთ ღარიბი და მჭიდროდ დასახლებული ფერგანის ხეობა ითვისებს. "უზბეკეთის ისლამური მოძრაობა" კი, რომლის ლიდერებიც უკვე განადგურებული ან დაპატიმრებული არიან, ალ ქაიდასთან და თალიბანთან ნადმვილად იყო დაკავშირებული. თუმცა, მთავრობა, რომელიც სახელმწიფოს მართვის მხოლოდ ძალისმიერი მეთოდები ფლობს და ისეთ პოლიტიკურ პარტიებს ესხმის თავს, რომლებსაც ტერორიზმთან და ძალადობასთან საერთო არაფერი აქვთ, წარმოადგენს რადიკალიზმის იმ ფორმას, რომლისაც თავად ეშინია.

# უკრაინის საარჩევნო კამპანიის საგარეოპოლიტიკური ფაქტორები

ნიკა თარაშვილი

ოქტომბრის ბოლოს დაგეგმილი საპრეზიდენტო არჩევნების მოახლოება უკრაინაში, რბილად რომ ვთქვათ, დღეს უკვე აშკარად საგრძნობია. ამასთან, სულ უფრო მეტად დაძაბულ ხასიათს იღებს არა მხოლოდ შიდაპოლიტიკური დაპირისპირება. წინასაარჩევნო ბრძოლაში სულ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენენ საგარეოპოლიტიკური ფაქტორებიც.



REUTERS

*შემოდგომის ბოლოს კუჩმა ველარ გადაწყვეტს თუ საით წავა უკრაინა*

მოწინააღმდეგეები რუსეთ-უკრაინას შორის ურთიერთობის "საჩოთირო" თემასთან ერთად, საარჩევნო კამპანიის მსვლელობისას აქტიურად იყენებენ უკრაინის პოზიციას აშშ-სა და ევროკავშირთან. ასე რომ, აშკარაა, უკრაინის რყევა დასავლეთსა და რუსეთს შორის ჯერ კიდევ არ დასრულებულა.

აღსანიშნავია, რომ უკრაინა ისევ აგრძელებს ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის სურვილის აფიშირებას. გავრცელებული ხმების მიუხედავად, უკრაინა არაფრის დიდებით არ დათმობს სევასტოპოლის სამხედრო-საზღვაო ბაზას და არ გადასცემს მას რუსეთს. აშშ-ს თავდაცვის მინისტრის უკრაინელ კოლეგასთან შეხვედრით თუ ვიმსჯელებთ, შეიძლება დავასკვნათ, რომ უკრაინა არ გამოიყვანს ერაყიდან სამხედრო კონტინგენტსაც - თანამედროვე ვითარებაში აშშ-ს "მოკავშირეობის" ერთ-ერთ საზომს. დონალდ რამსფელდი უკრაინის თავდაცვის მინისტრთან, ევგენი მარჩუკთან შეხვედრის შემდეგ იმასაც უსვამს ხაზს, რომ აშშ ვერავითარ კონფლიქტს ვერ ხედავს კიევის რუსეთთან ბოლოდროინდელ დაახლოებასა და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის დეკლარირებულ სურვილს შორის.

ოფიციალურმა კიევმა უკანასკნელ პერიოდში რამდენიმე თვალსაჩინო ნაბიჯი გადადგა მოსკოვისკენ. ბოლო დროს მოსკოვსა და კიევს შორის გახშირებული ვიზიტებიც რომ არ ჩავთვალოთ, ამის დასტურად უკრაინის სამხედრო დოქტრინიდან ერთ-ერთი უმთავრესი პასაჟის ამოღებაც გამოდგება, სადაც პირდაპირ იყო დაფიქსირებული ნატოსა და ევროკავშირში გაერთიანება, როგორც უკრაინის საგარეოპოლიტიკური სტრატეგიის მიზანი. მართალია, დოქტრინაში ცვლილებები ივნისში შევიდა, მაგრამ უკრაინის ხელმძღვანელობამ მათი გახმაურება რუსეთის პრეზიდენტის ვიზიტის წინ ისურვა. სწორედ ამიტომ იყო, რომ კუჩმას ოპოზიციამ განგაში ატეხა და უკრაინის ამჟამინდელი ხელმძღვანელობა ქვეყნის ინტერესების რუსეთისათვის მიყიდვაში დაადანაშაულა. ეჭვგარეშეა, დღეს უკრაინაში ყველაფერი არჩევნების მოსაგებად კეთდება, კუჩმას ქმედებებიც და ოპოზიციის ბრალდებებიც ამ ქმედებებთან დაკავშირებით მხოლოდ და მხოლოდ ოქტომბერში გამარჯვების მოსაპოვებლად არის მიმართული.

თუმცა, მოგვიანებით უკრაინის თავდაცვის მინისტრმა ევგენი მარჩუკმა და საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ოლეგ შამშურმა განცხადებები გააკეთეს, რომ უკრაინის დასავლეთთან ინტეგრაციის კურსი უცვლელი დარჩება. სხვათა შორის, უკრაინელმა პოლიტიკოსებმა ისიც შეახსენეს საერთაშორისო საზოგადოებას, რომ დღესაც, უკრაინას უფრო მეტი წვლილი შეაქვს გლობალური მასშტაბით "დემოკრატიისათვის ბრძოლაში", ვიდრე ზოგიერთ ნატო-ელ ქვეყანას. და ეს ერთი მხრივ მართალიცაა, თუ მარტო ერაყის კამპანიაში მონაწილეობის კუთხით შევაფასებთ - უკრაინას კოალიციის ჯარების რიგებში 1600-ზე მეტი მეომარი ჰყავს მივლინებული. ისიც აღსანიშნავია, რომ ბატონმა კუჩმამაც გააკეთა განცხადება და კატეგორიულად უარყო უკრიანის გრძელვადიანი გეგმების ცვლილების შესახებ გავრცელებული ხმები. თუმცა, ამავდროულად, მან აღნიშნა, რომ უკრიანისთვის მიამიტობა იქნებოდა ყველა პრობლემის მოგვარების გზა ევროკავშირთან და ნატო-სთან ინტეგრაციაში ეძებნა. კუჩმასთვის, ალბათ, ისედაც ნათელი უნდა ყოფილიყო ბრიუსელის პოზიცია - უკრაინამ ჯერ ქვეყნის შიგნით უნდა მოაგვაროს პრობლემები და მხოლოდ ამის შემდეგ დადგება დღის წესრიგში დასავლურ სტრუქტრურებში ინტეგრაციის საკითხი. ფაქტია, უკრაინის პრეზიდენტისთვის დემოკრატიის პრინციპებისადმი ერთგულება რუსეთთან თანამშრომლობის გაღრმავების ძირითადი პირობა სულაც არ იქნება. და ეს კი შეიძლება გახდეს კუჩმას მომხრეთა არჩევანის გადამწყვეტი.

აშშ-ში შეშფოთებით აღიქვეს უკრაინის შეიარაღებული ძალების ერაყიდან შესაძლო წასვლასთან დაკავშირებული განცხადებები. მართალია, ჯერჯერობით დღემდე ამის შესახებ კონკრეტულად არავინ საუბრობს, მაგრამ ფაქტია, არჩევნების თარიღის მოახლოებასთან ერთად ეს თემაც უფრო აქტუალური გახდება. სხვათა შორის, ოპოზიციის პოპულარული კანდიდატიც ვერ გაექცა ამაზე საუბარს. მიუხედავად იმისა, რომ ვიქტორ იუშენკო გამოკვეთილ პროდასავლურ ლიდერად მიიჩნევა, მისი განცხადება ერაყიდან უკრაინული კონტინგენტის გაყვანასთან დაკავშირებით სრულიად პრაგმატული მოსაზრებით იყო ნაკარნახევი. კუჩმას ბანაკის მთავარმა ოპოზიციონერმა ეს შესაძლებლობა არ გაუშვა ხელიდან, რომ ხელისუფლებისთვის "ეკბინა" - "მმართველი პოლიტიკური ძალა კუჩმას მეთაურობით, რომელსაც საკუთარ ქვეყანში ვერ დაუმყარებია დემოკრატიული განვითარების პირობები, ვერანაირად ვერ შეძლებს ერაყში დემოკრატიის განვითარებისათვის ხელის შეწყობას," - ამბობს იგი. იუშენკოს თქმით, კუჩმამ მხოლოდ იმიტომ გაგზავნა უკრაინელი ჯარისკაცები ერაყში, რომ პირველ რიგში, ქვეყნის შიდა პრობლემებიდან ყურადღება გადაეტანა, და კიდევ ერთი, არანაკლებ მნიშვნელოვანი, ამით ამერიკის გული მოეგო.

არჩევნების დღემდე სულ უფრო მცირე დრო რჩება. ცოტა დროა დარჩენილი იმისთვისაც, რომ უკრაინამ თავისი სტრატეგიული არჩევანი გააკეთოს. თუმცა, ანალიტიკოსები დღესვე აცხადებენ, რომ ნებისმიერი კანდიდატის შემთხვევაში უკრაინაში სიტუაცია რეალურად შეიცვლება.

# ავღანეთს საარჩევნო პირობების გაუმჯობესებაში ხელს უწყობენ

გერმანია ავღანეთს არჩევნების ჩასატარებლად 5.1 მილიონ ევროს გამოუყოფს. როგორც გერმანიის ფედერალური საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა განაცხადა, აღნიშნული ფინანსური დახმარება წინასაარჩევნოდ საინფორმაციო კამპანიის დაფინანსებისა და საარჩევნო უბნების მოწყობას მოხმარდება. საარჩევნო უბნებზე რეგისტრაცია კვირას, ბოლო სარეგისტრაციო დღეს უკვე 9.9 მილიონ ავღანელს ჰქონდა გავლილი, რომელთაგან 41 პროცენტი ქალი იყო. თავისუფალი არჩევნების ჩატარებით დაინტერესებული მოსახლეობის გაზრდილი მაჩვენებელი უკვე მეტყველებს სტაბილურობაზე, დემოკრატიზაციასა და აღმშენებლობაზე, საითკენაც ავღანეთი მიისწრაფვის. "ისლამისტთა მხრიდან მუქარის მიუხედავად, ავღანელებს სქესის განურჩევლად სახელმწიფოს მეთაურის დამოუკიდებლად არჩევის უნიკალური შანსის გამოყენება სურთ, რაც მათ მშვიდობასა და თანხმობას მოუტანს," - აღნიშნა გერმანელმა მაღალჩინოსანმა.

# ჩავესმა კვლავ შეინარჩუნა პრეზიდენტის პოსტი

ვენესუელის ეროვნული საარჩევნო საბჭოს წარმომადგენელმა ფრანცისკო კარასკერომ რეფერენდუმის შედეგების შეჯამებისას განაცხადა, რომ საერთოეროვნულ რეფერენდუმზე მოსახლეობამ ქვეყნის პრეზიდენტის უგო ჩავესის სამოქმედო მანდატის გაგრძელებას დაუჭირა მხარი. რეფერენდუმი ოპოზიციური ალიანსის დაჟინებული მოთხოვნის საფუძველზე ჩატარდა.

ოფიციალური მონაცემებით, ხმათა 94 პროცენტის დათვლის შემდეგ ჩავესის მომხრეთა პროცენტული მაჩვენებელი 58-ს აღწევდა. ოპოზიციისთვის რეფერენდუმის შედეგები მოულოდნელი აღმოჩნდა, რადგან თავის გამარჯვებაში ეჭვი არ ეპარებოდა. მონაცემების გაყალბებაზე განცხადებები საარჩევნო კომისიაში მყოფმა ოპოზიციონერებმაც გააკეთეს. კომისია სულ ხუთი წევრისაგან შედგებოდა, რომელთაგან ორი ოპოზიციური ფრთის წარმომადგენელი იყო. რეფერენდუმზე მარცხის შემთხვევაში ჩავესს დაუყოვნებლივ მოუწევდა პოსტის დატოვება. გამარჯვებული ჩავესი კი კიდევ ორი წლითა და ექვსი თვით შეინარჩუნებს ქვეყნის მართვის სადავეებს.

ვენესუელის ახალ ამბებს ნავთობბაზარიც გამოეხმაურა, რაც "შავ ოქროზე" ფასების დაცემაში გამოიხატა. ნავთობკომპანიები შიშობდნენ, რომ რეფერენდუმის ჩავესისთვის არასახარბიელო შედეგებით დამთავრების შემთხვევაში, ქვეყანაში არასტაბილური გარემო შეიქმნებოდა, რაც უარყოფითად იმოქმედებდა ვენესუელიდან ნავთობის მიწოდებაზე. გამარჯვებულმა ჩავესმა დაამშვიდა შეშფოთებული ნავთობექსპორტიორები და მათ ნავთობბაზარზე სტაბილურობის შენარჩუნებას დაჰპირდა. 1998 წლის შემდეგ ჩავესი უკვე მერამდენედ ამტკიცებს, რომ პრეზიდენტის პოსტზე "შეუცვლელია".

რეფერენდუმის დასრულებისთანავე აშშ-ს ყოფილმა პრეზიდენტმა ჯიმი კარტერმა და ამერიკულ სახელმწიფოთა ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა სესარ გავირიამ (ისინი მრავალრიცხოვან საერთაშორისო დამკვირვებელთა ჯგუფს ხელმძღვანელობდნენ) განაცხადეს, რომ სერიოზულ დარღვევებს, რომლებიც რეფერენდუმის შედეგებზე გავლენას მოახდენდა, ადგილი არ ჰქონია.

*24 საათი*

# პირადობის მოწმობას დიდ ბრიტანეთში კვლავ ეწინააღმდეგებიან

დიდი ბრიტანეთის ხელისუფლების გეგმები ქვეყანაში საიდენტიფიკაციო მოწმობის ერთიანი სისტემის შემოღების შესახებ ინფორმაციულ სფეროში კანონიერების დამცველმა ორგანიზაციამ კიდევ ერთხელ გააკრიტიკა. როგორც ორგანიზაციის წარმომადგენელმა რიჩარდ თომასმა განაცხადა, პლასტიკური ბარათების შემოღებამ ბრიტანეთი, შესაძლოა, "საზედამხედველო საზოგადოებად გარდაქმნას". ისტორიული მაგალითები კი ცხადყოფს, რომ ამგვარი ნაბიჯები ხშირად სახელმწიფოსათვის მეტისმეტად სახიფათო შეიძლება აღმოჩნდეს. ამის დასადასტურებლად თომასმა ფრანკოს ესპანეთის მაგალითი მოიშველია, ხელისუფლების ხელში ადამიანების შესახებ ძალზე დიდი ინფორმაციის აკუმულირებას ტრაგიკული შედეგები შეიძლება მოჰყვეს. საფრთხეს აორმაგებს ამ ინფორმაციის სხვადასხვა სახელმწიფო და არასამთავრობო სტრუქტურების მიერ ბოროტად გამოყენების ალბათობაც. რიჩარდ თომასის მტკიცებით, თავისთავად საიდენტიფიკაციო მოწმობების შემოღებაში ცუდი არაფერია, შეშფოთებას მხოლოდ ამ სქემის ზოგიერთი დეტალი იწვევს. გარდა ამისა, ვითარებას ართულებს დამატებით ის ფაქტიც, რომ ხელისუფლებამ ამ განახლებული სისტემის შემოღების აუცილებლობა სათანადოდ ვერ დაასაბუთა. "ხელისუფლებამ უკანასკნელი ორი-სამი წლის განმავლობაში ბევრჯერ შეიცვალა პოზიცია ამ საკითხთან დაკავშირებით. ბოლოს და ბოლოს საჭიროა მეტი სიცხადის შეტანა. რამდენად აუცილებელია ტერორიზმთან საბრძოლველად და იმიგრაციულ ნაკადზე ზუსტი კონტროლის განსახორციელებლად აღნიშნული ბარათები?" - აცხადებს თომასი.

გარდა ამისა, დამაფიქრებელია ის გარემოებაც, რომელიც ბრიტანელი ბავშვების შესახებ მონაცემთა ბაზის შექმნას შეეხება. ხელისუფლების გეგმის თანახმად, ყველა ბავშვს უნდა ჰქონდეს საკუთარი საიდენტიფიკაციო ნომერი, რომლის საშუალებითაც სოციალური სამსახურები მისი პირადი ფაილის მონახვას შეძლებენ. აუცილებელია სახელმწიფო სამსახურებს შორის ინფორმაციის გაცვლის პროცესის დახვეწა. თუმცა, შემოთავაზებული სქემის ადეკვატურობა ეჭვს მაინც იწვევს.

თავის მხრივ, ქვეყნის შინაგან საქმეთა სამინისტრო აცხადებს, რომ პირადობის დამადასტურებელი ბარათების სისტემა დაეხმარება სამართალდამცველებს ხალხის ორგანიზებული დანაშაულისგან, მათ შორის თაღლითობისა და დოკუმენტების გაყალბებისაგან დაცვაში.

*ბი-ბი-სი*

# ფლორიდაში "ჩარლის" მიერ მიყენებულ ზარალს ითვლიან

აშშ-ში ქვეყნის აღმოსავლეთ სანაპიროსათვის ძლიერი ქარიშხლით მიყენებულ ზარალს ჯერ კიდევ ითვლიან. ყველაზე მეტად სტიქიამ ფლორიდის შტატი დააზარალა. უკანასკნელი მონაცემებით, ქარიშხალმა "ჩარლიმ" შტატში 16 ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა. ვარაუდობენ, რომ ეს ციფრი კიდევ გაიზრდება. უგზო-უკვლოდ დაკარგულთა ზუსტი რიცხვი ამ დრომდე დადგენილი არ არის. აშშ-ს პრეზიდენტი ჯორჯ ბუში ფლორიდაში შექმნილ ვითარებას ადგილზე გაეცნო. მან ვერტმფრენით შემოიფრინა ქარიშხლით დაზარალებული რაიონები, რის შემდეგაც განაცხადა, რომ ნგრევის მასშტაბებით გაოცებულია. შტატის ხელისუფლების მონაცემებით, სტიქიით მიყენებული ზარალი 11 მილიარდ დოლარს აღწევს. აღდგენითი სამუშაოების მიუხედავად, ფლორიდაში კვლავინდებურად რთული მდგომარეობაა. ზოგიერთ დასახლებულ პუნქტთან, მაგალითად, სენიბელთან და ფორს-მაიერს-ბიჩთან, რომელთა მოსახლეობა 6 და 7 ათას კაცს შეადგენს, სახმელეთო სატრანსპორტო მიმოსვლის აღდგენა ჯერჯერობით ვერ ხერხდება. ქარიშხალმა ყველაზე დიდი ნგრევა შარლოტის ოლქში მდებარე ორ დაბაში - პორტ-შარლოტში და პუნტა-გორდაში გამოიწვია. იქ საცხოვრებელი ფონდის 80 პროცენტია განადგურებული. სპეციალისტთა შეფასებით, ასეთი სიძლიერის ქარიშხალი ფლორიდაში ბოლო 12 წლის განმავლობაში პირველად დაფიქსირდა. 1992 წელს შტატი სერიოზულად დააზიანა ქარიშხალმა "ენდრიუმ". მაშინ 26 ადამიანი დაიღუპა, მატერიალური ზარალის რაოდენობა კი თითქმის 20 მილიარდი დოლარი იყო.

*24 საათი*


## "ეი-ი-ეს თელასის" განცხადება

**ქ. თბილისის ელექტროგამანაწილებელ ქსელში პროფილაქტიკური სარემონტო სამუშაოების მიმდინარეობის გამო ელექტროენერგიის მიწოდება დროებით შეუწყდებათ:**

18 აგვისტოს, 10.00-დან 18.00-სთ-მდე:

დიღმის მასივის I კვარტლის, ვაჟა-ფშაველას გამზირის(ნაწილობრივ), გამსახურდიას გამზირის(ნაწილობრივ), კოსტავას (ნაწილობრივ), ხვიჩიას, ბოცვაძის(ნაწილობრივ), ბროლოსანის, იოსებიძის, კანდელაკის(ნაწილობრივ), ტაშკენტის, ბულაჩაურის, შარტავას, ბენდელიანის, აკურის, ასლანიდის, ბერბუკის, კოდორის, საგარეჯოს, ტყვარჩელის, ნიკოლაძის ქუჩების მაცხოვრებლებს.

19 აგვისტოს, 09.00-დან 18.00-სთ-მდე:

აბაშელის, ირაკლი აბაშიძის(ნაწილობრივ), მემედ აბაშიძის, არაყიშვილის, არეშიძის, ატენის, ბარნოვის(ნაწილობრივ), ბაზალეთის, ბერძენიშვილის, ბურკიაშვილის, რაფიელ ერისთავის, ფალიაშვილის(ნაწილობრივ), ჯანაშვილის, კავსაძის, კეკელიძის, მარაბდის, მარუხის გმირთას, მცხეთის, ქობულეთის(ნაწილობრივ), შიო მღვიმელის, ქუთათელაძის, რადიანის, ჭავჭავაძის გამზირის(ნაწილობრივ), რაზმაძის, შატბერაშვილის, შროშის(ნაწილობრივ), ტიციან ტაბიძის, ექვთიმე თაყაიშვილის, ალექსანდრე ჭავჭავაძის, შევჩენკოს, უკრაინკას, რუსთაველის გამზირის(ნაწილობრივ), ერისთავი-ხოშტარიას, გალის, გოგებაშვილის(ნაწილობრივ), გუნიას, ჯანაშიას, პეტრიაშვილის, რჩეულიშვილის, სვანიძის, ვერის, ჭოველიძის, ზანდუკელის, ლარსის, თერგის, უმიკაშვილის, შანიძის, ტატიშვილის, ხორავას, ყაზბეგის, ანანურის, ანჯაფარიძის, ფასანაურის, კოსტავას(ნაწილობრივ), ქუჩიშვილის, მელიქიშვილის(ნაწილობრივ), შარაშიძის იაკობ ნიკოლაძის, ღამბაშიძის, როდენის, ქუჩების მაცხოვრებლებს.

# თბილისელ უნარშეზღუდულ ბავშვებს წელს გაუმართლათ

*ცერებრალური დამბლით დაავადებული ბავშვების მეორე ნაკადი გუშინ ურეკში დასასვენებლად გაემგზავრა. ქალაქ თბილისის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის საქალაქო სამსახურთან ერთად, ბავშვებისა და მათი მშობლების ურეკში გამგზავრება არასამთავრობო ორგანიზაციამ - "კავშირი პანაცეა" - უზრუნველყო.*

თამარ ჯაჯანიძე

ინვალიდ ბავშვთა სამკურნალო-სარეაბილიტაციო პროგრამა სამ ეტაპადაა დაგეგმილი. პროგრამის ფარგლებში თბილისში მცხოვრებ 18 წლამდე ინვალიდ ბავშვებს, რომელთა მშობლებმაც მერიის საქალაქო სამსახურში განცხადება შეიტანეს, ათი დღით ურეკის დასასვენებელ კომპლექს "მთის ბროლში" დასვენების შანსი გაუჩნდათ. ჯანდაცვის საქალაქო სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილის არჩილ მორჩილაძის განცხადებით, ეს კურორტი სწორედ მათი სამკურნალო პოტენციალის გამო შეირჩა.

**"ეს მეორე ნაკადია. პირველი ნაკადი კვირას დაბრუნდა. დასვენებისა და მკურნალობის კურსი სულ 620 ბავშვისთვის იყო გათვლილი, მაგრამ ბავშვების რიცხვი გაცილებით გაიზარდა, რადგან ბევრმა მშობელმა ამ ინვალიდი ბავშვების ჯანმრთელი და-ძმაც წამოიყვანა. ამის გამო პრობლემები შეგვექმნა. თუმცა ამ დროისთვის ყველაფერი წესრიგშია,"** - აღნიშნა არჩილ მორჩილაძემ.

პროექტის მიმდინარეობით, რომლის განხორციელებისთვის სულ 128 ათასი ლარია გამოყოფილი, ინვალიდი ბავშვის მშობლები კმაყოფილები არიან. **"შარშან ამ პროგრამაში ვერ მოვხვდით და ბავშვი მთელი ზაფხული თბილისში მყავდა. ისე, ადრე დავდიოდით, ურეკშიც ვიყავით და ახტალაშიც. ჩემი ბავშვი თხუთმეტი წლისაა, დამბლა სამშობიარო ტრამვის გამო დაემართა. შვიდი თვის დაიბადა და სუსტი იყო. სიმართლე გითხრათ, მისი მდგომარეობა ექიმების არაპროფესიონალიზმის ბრალიცაა,"**- აღნიშნა ულამაზესი გოგონას, თეონას დედამ ქალბატონმა გულიკო თევზაძემ. თეონას ძალიან უხაროდა ზღვაზე წასვლა. სამწუხაროდ, წყალში ის ვერ იცურავებს, მაგრამ დედა დაეხმარება და დროს მაინც კარგად გაატარებს.

ექვსი წლის ტყუპებიც, ნიკა და ანიც, შვიდი თვისანი დაიბადნენ. სამშობიარო ტრამვის გამო, პირველად დაბადებულ ნიკას მძიმე ხვედრი ერგო წილად. ანი სრულიად ჯანმრთელია. მათ განსაკუთრებით ის მცირედი საჩუქარი გაუხარდათ, მერიის საქალაქო სამსახურმა რომ მოუმზადა. ეს ძირითადად ფერადი ფურცლები, ფანქრები და სათლელები იყო.

ავტობუსებში ერთადერთი პრობლემა ბავშვების წინა სავარძელზე განთავსება გახდა. ეპილეფსიან ბავშვს უკან ხომ არ დავსვამო, - ცხარობდა ერთი ქალი. ბოლოს ყველაფერი მოგვარდა და სამი ავტობუსი ურეკისკენ გაემგზავრა. 20 აგვისტოსთვის დამსვენებელთა მესამე ნაკადის ბორჯომში გამგზავრება იგეგმება.

# გაეროს ბავშვთა ფონდის დახმარება სამაჩაბლოდან დევნილებს

გაერო-ს ბავშვთა ფონდი გეგმავს, საგანგებო დახმარება აღმოუჩინოს სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის ზონიდან გამოსულ ქალებსა და ბავშვებს, რომლებიც დროებით ბორჯომსა და წყალტუბოს სანატორიუმებსა და დასასვენებელ სახლებში არიან განთავსებულნი. 14-15 აგვისტოს ფონდის წარმომადგენლებმა ისინი უკვე მოინახულეს, მათი მდგომარეობა შეაფასეს და საგანგებო დახმარების მოცულობაც განსაზღვრეს. ეს დახმარება აუცილებელ ჰიგიენურ საშუალებებს, წამლებს, ტანსაცმელს, სპორტულ აღჭურვილობასა და საგანმანათლებლო მასალებს ითვალისწინებს. გაერო-ს ბავშვთა ფონდის მონაცემებით, 790 ადამიანი ამჟამად დროებით განთავსებულია ბორჯომის, ბაკურიანის, ცემისა და კეჩხობის შვიდ დასასვენებელ კომპლექსსა და სანატორიუმში. მათგან 550 ბავშვია, ოთხი - ფეხმძიმე ქალი, რომელთაც განსაკუთრებული მოვლა და მზრუნველობა სჭირდება. ამდენიმე ბავშვი ექიმის მზრუნველობის ქვეშაა და საგანგებო სამედიცინო მკურნალობას საჭიროებს. სამცხე-ჯავახეთის რეგიონის ადგილობრივი მთავრობა და საქართველოს ბავშვთა ფედერაცია ცდილობენ, მაქსიმალური მხარდაჭერა და დახმარება აღმოუჩინონ რეგიონში მყოფებს. 140 ქალი და ბავშვია წყალტუბოს სანატორიუმში. სამი ბავშვი უნარშეზღუდულია და ცერებრალური დამბლითაა დაავადებული. ადგილობრივი ხელისუფლება აქტიურად მუშაობს მათთვის საკვებისა და აუცილებელი სამედიცინო დახმარების მიწოდებაზე.

*24 საათი*

# ჭიაბერაშვილის სიურპრიზის შედეგები დღეს გამოჩნდება

ნანა ქადაგიშვილი

*თბილისის მთავრობის გუშინდელ ოპერატიულ თათბირზე, რომელიც მერიაში ყოველ ორშაბათს, დილის 9 საათზე ტარდება, ქალაქის მერმა ჟურნალისტებსა და მთავრობის წევრებს ისეთი სიურპრიზი მოუწყო, კოლეგებიცა და ჟურნალისტებიც გაოგნებულნი დატოვა. მასმედიის წარმომადგენლებისთვის გუშინდელი დილა ნამდვილად საინტერესოდ დაიწყო, რასაც მთავრობის წევრებზე ვერ ვიტყვით.*



ვახო ბასილიას ფოტო

*მორატორიუმი ცალკეულ უბნებში მაღალსართულიან მშენებლობას წერტილს დაუსვამს.*

ჟურნალისტებისთვის გუშინდელი თათბირი მოულოდნელი იმით იყო, რომ დასწრების უფლება მისცეს. მსგავსი პრეცედენტი ვანო ზოდელავას მერობის დროს არავის ახსოვს. როგორც ჭიაბერაშვილი აცხადებს, ეს პირველი და უკანასკნელი არ იქნება. **"ქალაქის მთავრობის საქმიანობა ჟურნალისტებისა და საზოგადოებისთვის გამჭვირვალე უნდა იყოს,"** - აცხადებს ჭიაბერაშვილი. მალე ჟურნალისტებისთვის, ქალაქის მთავრობის წევრების საქმიანობასთან ერთად, მათი ჯანმრთელობის მდგომარეობა და ცხოვრების წესიც გამჭვირვალე გახდება.

გუშინდელ თათბირზე ჭიაბერაშვილმა კოლეგებს სრულიად მოულოდნელად განუცხადა, რომ თათბირის დასრულების შემდეგ ნარკოლოგიური შემოწმების გავლა მოუწევდათ. მერმა მთავრობის წევრებს მაგალითიც მისცა და შემოწმება პირველმა გაიარა. **"ამითი მინდა გავაბათილო ეჭვი, რომელიც საზოგადოებაში კარგა ხანია, გაჩნდა,"** - საკუთარი გადაწყვეტილება ასე ახსნა ჭიაბერაშვილმა. გუშინდელი შემოწმების შედეგები, სავარაუდოდ, დღეს საღამოს გახდება ცნობილი. ხოლოდ ვინც გუშინდელ თათბირს არ ესწრებოდა, კოლეგების ბედს დღეს გაიზიარებს.

კოლეგების ჯანმრთელობაზე ზრუნვასთან ერთად, მერს არც ქალაქის პრობლემები დავიწყებია. თბილისის ავარიული გზების რეაბილიტაციის შემდეგ, ქალაქის ახალმა მთავრობამ ერთ-ერთ პრიორიტეტულ საკითხად უკანონო მშენებლობების პრობლემის მოგვარება გამოაცხადა. უკანონო მშენებლობების შემსწავლელი კომისიის ბოლო სხდომაზე, რომელსაც ქალაქის მთავრობა ყოველ ხუთშაბათს ატარებს, მერმა პარლამენტს ამ სფეროში არსებული კანონმდებლობის დახვეწა მოსთხოვა. თუმცა, ქალაქის მთავრობა არც მანამდე აპირებს გულ-ხელდაკრეფილ ჯდომას. **"ვაკის რაიონში, სადაც მშენებლობები ყველაზე აქტიურად მიმდინარეობს, ეს პროცესი ახალი გენერალური გეგმის ამოქმედებამდე შეწყდება,"** - განაცხადა მთავრობის გუშინდელ თათბირზე ჭიაბერაშვილმა.

ქალაქის მერმა თათბირზე ჰოლანდიური ავტობუსების საკითხიც გაიხსენა. ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსმა ზურაბ ჩიკვილაძემ ახლახან ჰოლანდიიდან 20 ავტობუსი ჩამოიყვანა. ეს ავტობუსები, ძირითადად, რუსთაველ სტუდენტებს მოემსახურება. **"რუსთავიდან მომავალი მიკროავტობუსები თბილისის ისედაც გადატვირთულ ქუჩებს უარესად ტვირთავს. რუსთავში მცხოვრებმა სტუდენტებმა გვთხოვეს, ეს მარშრუტები არ გავაუქმოთ, რადგან უმაღლეს სასწავლებლამდე მისვლა ძალიან გაუჭირდებათ. მათი თხოვნა გავითვალისწინეთ. რუსთავიდან მომავალი სამარშრუტო ტაქსები ორთაჭალის სადგურამდე მოვლენ, იქიდან კი ახლადჩამოყვანილი ავტობუსები ვაკისა და საბურთალოს მიმართულებით ივლიან. ეს 20 ავტობუსი თბილისში მდებარე თითქმის ყველა უმაღლეს სასწავლებელს გაივლის,"** - აცხადებს ჩიკვილაძე. წლის ბოლომდე მერია კიდევ 130 ჰოლანდიური ავტობუსის ჩამოყვანას გეგმავს.

თათბირის ბოლოს კი თბილისის მთავრობამ თანამოქალაქეთა სულიერი განწყობილების ასამაღლებელი გადაწყვეტილება მიიღო: თბილისის მაცხოვრებლებს მერია ეროვნულ დროშებს დაურიგებს და ქალაქის ქუჩები და შენობები მთლიანად წითელჯვრიანი დროშებით მოიფინება. ამ ღონისძიებას დედაქალაქის მერი ცხინვალის რეგიონში მიმდინარე მოვლენებს უკავშირებს.




საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი

ილია ჭავჭავაძე

## 2005 წლის მისაღები გამოცდები - საუკეთესო აბიტურიენტების რეალური შანსი

- 2004 წლის მისაღები გამოცდები დასრულდა.
- 2005 წლიდან მისაღები გამოცდები სრულიად ახალი სისტემით ჩატარდება.

მისაღები გამოცდების ახალი სისტემის დანერგვა უზრუნველყოფს საუკეთესოთა გამოვლენას, მაქსიმალურ ობიექტურობას, აბიტურიენტის ცოდნის უნიფიცირებული მეთოდით შეფასებას, უმაღლეს სასწავლებელთა რაოდენობისა და ხარისხის საბაზრო რეგულირებას, სტანდარტებისა და პროგრამების დახვეწას, ევროსტანდარტებთან მიახლოებას და კორუფციის აღმოფხვრას ამ სფეროში.

**საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაწყვეტილებით პროექტი "ილია ჭავჭავაძის" ფარგლებში შექმნილი შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ შემუშავებულია მისაღები გამოცდების ახალი მოდელი, რომლის მიზანია უმაღლესი სასწავლებლებისათვის საუკეთესო აბიტურიენტების შერჩევა.**

ამ მიზნის მისაღწევად ცენტრის მიერ მომზადებულია ადმინისტრირების ცენტრალიზებული მოდელი და საგამოცდო ტესტების ახალი ფორმატი.

საგამოცდო ტესტების ნიმუშების აპრობაცია მოხდა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში. ადმინისტრაციული მოდელის შესაქმნელად იმუშავეს როგორც ცენტრის, ასევე უცხოელმა ექსპერტებმა.

ერთიანი ეროვნული გამოცდების ახალი მოდელი მისაღები გამოცდების პრაქტიკულად ახალი კონსტიტუციაა, რომელშიც ყველა ნაბიჯი გაწერილია და მისი შესრულება ამ პროცესში მონაწილე ყველა სუბიექტს მოეთხოვება.

**საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო და შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი სასწავლო წლის დასაწყისში, 15 სექტემბერს, ეროვნული ბიბლიოთეკის დარბაზში ყველა დაინტერესებულ პირს ეპატიჟება პროექტის პრეზენტაციაზე.**

**საგამოცდო საგნების დამხმარე სახელმძღვანელოები და ადმინისტრირების ახალი მოდელის სქემა მიეწოდება საგანმანათლებლო ორგანიზაციებს და ხელმისაწვდომი იქნება ყველა დაინტერესებული პირისათვის სექტემბერში.**

**ინფორმაცია პროექტის შესახებ რეგულარულად განთავსდება მასმედიაში, მომზადდება სპეციალური საინფორმაციო და სარეკლამო პროდუქცია.**

**შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრში იმუშავებს ცხელი ხაზი და ყველა მასალა განთავსდება ცენტრის ვებ-გვერდზე WWW.NAEC.GE**

*საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო*

*პროექტი ილია ჭავჭავაძე*

*შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი*

# შრომით ტრეფიკინგს ლაგოდეხის ყოფილი პროკურორი შეეწირა

ზვიად რუაძე
კახეთიდან

*კახელი ძალოვანების მიერ მიღებული ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე, გუშინ უშიშროების სამინისტროს სამხედრო კონტრდაზვერვის დეპარტამენტმა ამ უწყების რეგიონული განყოფილების თანამშრომლებთან ერთად, არც მეტი, არც ნაკლები, ლაგოდეხის ყოფილი პროკურორი ჯემალ მინდორაშვილი და ამავე რაიონის სასაზღვრო რაზმის მეთაური ბესიკ ზურაბიშვილი დააკავეს. სპეცოპერაციას ინციდენტის გარეშე არ ჩაუვლია. მინდორაშვილების ოჯახის წევრებმა "24 საათის" ჟურნალისტს სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს და მისთვის ფოტოკამერის თავზე გადამტვრევა სცადეს.*


ზვიად რუაძის ფოტო

*მინდორაშვილის ოჯახის წევრების მიერ გამოვლენილი აგრესიის შედეგად "24 საათის" ჟურნალისტმა გოგრიჭიანისა და ყოჩიაშვილის ფირზე აღბეჭდვა გაჭირვებით შეძლო.*

შრომითი ტრეფიკინგი - ასე შეიძლება ვუწოდოთ იმ ფაქტს, რომელმაც ფესვები სამი თვის წინ გურჯაანის რაიონში გაიდგა. ლაგოდეხის რაიონის სასაზღვრო რაზმის მეთაურმა ბესიკ ზურაბიშვილმა თავისი ნაწილიდან ორ ახალგაზრდას: ლევან ყოჩიაშვილსა და ლევან მეგრელიშვილს სამხედრო სავალდებულო სამსახურის მოხდა ახალი მეთოდით შესთავაზა. მან რიგითები თავის მეგობარს, ამავე რაიონის პროკურორს ჯემალ მინდორაშვილს, თავდაპირველი შეთანხმების საფუძველზე, საქონლის მოსავლელად, შემდეგ კი სასოფლო სამეურნეო სავარგულების დასამუშავებლად გაუგზავნა: **"ბრძანება მინდორაშვილთან სამუშაოს შესრულების თაობაზე უშუალოდ ზურაბიშვილმა გასცა და გვითხრა, რომ პროკურორთან მუშაობა ჩვენ ჯარში სამსახურად ჩაგვეთვლებოდა,"** - ამბობენ მინდორაშვილის მოსამსახურე ჯარისკაცები. ეს ფაქტი დღემდე გაუხმაურებელი იქნებოდა, რომ არა ერთი დეტალი. ლევან მეგრელიშვილმა, ჯემალ მინდორაშვილთან ფიზიკური მუშაობის ორი თვის შემდეგ, როცა მასზე ყოფილმა პროკურორმა და მისმა მეუღლემ მალვინა კაპანაძემ ფიზიკური იერიში მიიტანეს, მინდორაშვილების ოჯახი დატოვა: **"პირველი ორი დღე კარგად გვექცეოდნენ, მესამე დღეს კი ჩვენი ტანჯვა დაიწყო. შეთანხმება იმის შესახებ, რომ მარტო საქონლისთვის უნდა მოგვევლო, ტყუილი აღმოჩნდა. მე ამ ბატონი ჯემალის სახლიდან არ წავიდოდი, რომ არა ერთი გარემოება, ბოლო დროს ცოლიც და ქმარიც უმიზეზოდ გვედავებოდნენ, თუ რაღაცა არ მოეწონებოდათ, ფიზიკურად გვისწორდებოდნენ. იმისთვის, რომ მათ კარგი მოსავალი ჰქონოდათ, წვიმაში და ქარში შუაღამისას გვაყენებდნენ და ნაკვეთებზე გვარჯილას გვაყრევინებდნენ,"** - გვიამბო ლევან მეგრელიშვილმა. ამის შემდეგ რიგითი ჯარისკაცი ნაწილში დაბრუნდა და მეთაურისგან საყვედური მიიღო, მინდორაშვილების ოჯახში კი მის ნაცვლად იმედა გოგრიჭიანი გაგზავნეს: **"მეთაურმა ასე მითხრა, ჯემალ მინდორაშვილთან ცუდად მუშაობდიო. კი მაგრამ, რანაირადღა შეიძლებოდა, ათობით ჰექტარ ნაკვეთზე ბალახის დაგლეჯვა მე და ლევან ყოჩიაშვილს ხელით გვიხდებოდა. იმის ნაცვლად, რომ ჩვენთვის მადლობა ეთქვათ, იქით დაგვემუქრა მინდორაშვილების ოჯახი, ასე გვეუბნებოდნენ, ახლა ნახეთ, თავს სად ამოყოფთო. ამ მუქარის შემდეგ იძულებული გავხდი, დახმარებისთვის უკვე ძალოვანი უწყების ხელმძღვანელებისთვის მიმემართა,"** - ამბობს მეგრელიშვილი.

ის, რომ ჯარისკაცები მეგობართან სამუშაოდ გაგზავნა, სასაზღვრო ნაწილის მეთაურმა ბესიკ ზურაბიშვილმა ჩვენთან საუბარში დაადასტურა: **"მე ჯემალმა როგორც მეგობარს მთხოვა, ჯარისკაცები გამეგზავნა და მასთან ემუშავათ, მაგრამ ის, რომ იგი ჩემს სამხედროებს ექსპლუატაციას უწევდა, ჩემთვის არავის უთქვამს."** "24 საათთან" საუბრისას ზურაბიშვილმა ისიც აღიარა, რომ მან უკანონოდ იმოქმედა: **"ჩვენი წესდებით, მე ჯარისკაცები მასთან არ უნდა გამეგზავნა, მაგრამ ბატონი ჯემალის კაცურ სიტყვას ვენდე,"** - ამბობს სასაზღვრო რაზმის მეთაური ბესიკ ზურაბიშვილი.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ლევან მეგრელიშვილმა ყოფილი პროკურორის ქმედების გამო, დახმარებისთვის უკვე ძალოვან უწყებას მიმართა. მასალების მოკვლევას უშიშროების სამინისტროს სამხედრო კონტრდაზვერვის დეპარტამენტი აწარმოებდა. გუშინ დილით კი ჯემალ მინდორაშვილი ამ უწყების თანამშრომლებმა საკუთარ სახლში, გურჯაანის რაიონის სოფელ კოლაგში აიყვანეს. მისი ბინის ჩხრეკისას კი სამართალდამცავებმა გაუფორმებელი სანადირო თოფი, სხვადასხვა სახის ცეცხლსასროლი იარაღების ვაზნები და 1400 გრამი ასაფეთქებელი ნივთიერება "ტროტილი" ამოიღეს.

როგორც ჟურნალისტებთან საუბარში ყოფილმა პროკურორმა განაცხადა, აღნიშნული მასრები მართლაც მას ეკუთვნოდა, სამხედროების მიერ წაყენებულ ბრალდებას კი იგი უსაფუძვლოს უწოდებს: **"ეს არის წმინდა პოლიტიკური შეკვეთა, ამის შესახებ კი სულ მალე ყველა გაიგებს. რაც ხდება, ჩემი პირადი შეურაცხყოფაა და არავის შერჩება,"** - იმუქრება მინდორაშვილი. რაც შეეხება ზურაბიშვილს, მისი დაკავება უშიშროებამ უწყებაში დაკითხვის დროს მოახერხა.

უნდა აღინიშნოს, რომ სპეცოპერაციას ინციდენტის გარეშე არ ჩაუვლია. ამჟამად უკვე დანაშაულში ეჭვმიტანილის სტატუსის მქონე მინდორაშვილის ოჯახის წევრებმა იერიში "24 საათის" ჟურნალისტზე მიიტანეს, სიტყვიერ შეურაცხყოფასთან ერთად, მისი ფოტოკამერის დამტვრევაც სცადეს.

მინდორაშვილის და ზურაბაშვილის დაპატიმრებასთან დაკავშირებით კომენტარისგან უშიშროების სამინისტროს ხელმძღვანელები თავს იკავებენ. მათი თქმით, ძიებას ამ დროისთვის უკვე გენერალური პროკურატურა აწარმოებს.

# მირცხულავას სარჩელს ევროსასამართლო გამოეხმაურა

სათბობ-ენერგეტიკის ყოფილი მინისტრის, ენერგეტიკის მარეგულირებელი კომისიის ყოფილი თავმჯდომარის, ამჟამად, სახელმწიფოსთვის დიდი ოდენობით ზარალის მიყენებაში ბრალდებული დავით მირცხულავას სიცოცხლე საფრთხეშია. ამის თაობაზე განცხადებას უკვე მერამდენედ აკეთებს მისი ადვოკატი ეკა ბესელია, თუმცა, ამჯერად იგი ხელისუფლებას ევროსასამართლოს რეკომენდაციის შეუსრულებლობის გამოც უყენებს პრეტენზიას.

**"ევროპის სასამართლომ დავით მირცხულავას საჩივრის მიღების შემდეგ, საქართველოს ხელისუფლებას პირველი რეკომენდაცია გამოუგზავნა, რომლითაც მირცხულავას საავადმყოფოში მოთავსებას მოითხოვს,"** - აცხადებს ადვოკატი და ირწმუნება, რომ ევროსასამართლო ორი თვის წინათ მიღებულ მირცხულავას სარჩელს, სავარაუდოდ, სექტემბერში განიხილავს, მანამდე კი, პრევენციული ღონისძიების სახით, იუსტიციის სამინისტროს მირცხულავას საავადმყოფოში გადაყვანა დაავალა და ამ რეკომენდაციის შესრულებისათვის იუსტიციის სამინისტროს ვადა 16 აგვისტომდე მისცა.

ბესელიას თქმით: **"იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტმა მირცხულავას თბილისის N7 საპყრობილედან თბილისის N1 საპყრობილეში გადაყვანა და იქ სამედიცინო ნაწილში მოთავსება შესთავაზა, რაზეც პატიმარმა უარი განაცხადა."**

ადვოკატი აცხადებს, რომ სასჯელაღსრულების დეპარტამენტი ვალდებულია, მირცხულავა, უკიდურეს შემთხვევაში, ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში მაინც გადაიყვანოს.

იუსტიციის სამინისტრო ადასტურებს ევროსასამართლოდან რეკომენდაციის მიღების ფაქტს და იმასაც, რომ მირცხულავას სამედიცინო ნაწილში გადაყვანა შესთავაზა, რაზეც უარი მიიღო, რადგანაც პატიმარს, სულ ცოტა, ციხის საავადმყოფოში მოხვედრა სურს.

**"არადა, მე-7 საპყრობილეში, სადაც ამჟამად მირცხულავა იმყოფება, გაცილებით უკეთესი პირობებია, ვიდრე მას ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში შეიძლება შეუქმნან,"** - აცხადებენ იუსტიციის სამინისტროში და ამაში დასარწმუნებლად ევროსასამართლოს წარმომადგენლებს მის მონახულებას სთავაზობენ.

რაც შეეხება უშუალოდ ევროსასამართლოში შეტანილ სარჩელს, ეკა ბესელია აღნიშნავს, რომ ევროსასამართლოდან მისგან, როგორც მოსარჩელის ადვოკატისგან, დამატებითი დოკუმენტაციის გაგზავნა მოითხოვეს. შესაბამისად, სტრასბურგში უკვე გაიგზავნა დოკუმენტაცია მირცხულავას ონკოლოგიურ ავადმყოფობასთან დაკავშირებით. გარდა ამისა, ადვოკატმა სასამართლოში წერილი გააგზავნა, სადაც ის პირობებია აღწერილი, რომელშიც დავით მირცხულავას ამჟამად ამყოფებენ. ადვოკატის თქმით, ეს პირობები ძალიან მძიმეა.

*24 საათი*

# ჩეჩნეთში ადამიანები ფედერალური ძალების ხელში ჩავარდნის შემდეგ იკარგებიან

ჩეჩნეთის ტერიტორიაზე ამჟამად 129 გატაცებული ადამიანი იძებნება. ამის თაობაზე ინფორმაციას ჩეჩნეთის პრორუსული ხელისუფლების პროკურორი ვლადიმირ კრავჩენკო ავრცელებს.

**"ეს ციფრი მნიშვნელოვნად ჩამოუვარდება 2003 წლის პირველი ნახევრის შესაბამის მაჩვენებელს - მაშინ რესპუბლიკაში 292 გატაცებული იძებნებოდა,"** - ამბობს კრავჩენკო. მისივე თქმით, იმ 129 ადამიანიდან, რომლებსაც სამართალდამცველები ეძებენ, ყველა წელს როდია გატაცებული. **"მაგალითად, წელს ჩვენ ვიძიებთ სისხლის სამართლის 93 საქმეს, რომლებიც 71 ადამიანის უგზოუკვლოდ დაკარგვის გამო აღიძრა. აქედან, 43 გასულ წლებში მომხდარი მოვლენების გამოა აღძრული და 58 ადამიანის გატაცებას ეხება."** კრავჩენკო აღნიშნავს, რომ სისხლის სამართლის საქმე ვინმეს დაკარგვის გამო მხოლოდ იმ შემთხვევაში აღიძვრება, თუ გატაცების ფაქტი პროცესუალურად დასტურდება.

**"2004 წლის პირველ ნახევარში რესპუბლიკის პროკურატურაში 288 განცხადება შემოვიდა დაკარგულთა შესახებ. ამ პერიოდში კი 159 ადამიანი, რომლებიც დაკარგულებად ითვლებოდნენ, შინ დაბრუნდნენ, 129 შემთხვევაში კი პროკურორმა სისხლის სამართლის საქმის არაღძვრის დადგენილება გამოიტანა, რადგანაც გატაცების ფაქტი არ დასტურდებოდა,"** - ამბობს კრავჩენკო.

განსხვავებულ მონაცემებს ფლობს ადამიანის უფლებათა დამცველი არასამთავრობო ორგანიზაცია "მემორიალის" მმართველობის წევრი ალექსანდრ ჩერკასოვი. მისი ინფორმაციით, 2004 წელს ჩეჩნეთში მარტო ფედერალური ძალების წარმომადგენელთა ხელში ჩავარდნის შემდეგ 82 ადამიანი გაქრა.

**"ჩვენი მონაცემების თანახმად, წელს ჩეჩნეთში 194 ადამიანი იქნა გატაცებული, მათგან გათავისუფლებული, ან ნათესავების მიერ გამოსყიდულია 97, 15 მოკლულია, 82 კი დღემდე უგზო-უკვლოდ დაკარგულად ითვლება,"** - ამბობს ჩერკასოვი.

მისივე თქმით, **"ეს ციფრები სრულად არ ასახავს რეალობას, რადგან "მემორიალი" ჩეჩნეთის მთელ ტერიტორიას ვერ მოიცავს. ამას გარდა, ადამიანები მაშინვე არ მოგვმართავენ ხოლმე. ზოგიერთი ჯერ არაოფიციალური გზებით ცდილობს საქმის მოგვარებას და ჩვენ ადამიანების გატაცების შესახებ გარკვეული პერიოდის შემდეგ ვიგებთ. ასე რომ, ჩემ მიერ დასახელებული ციფრი, სრული ინფორმაციის ფლობის შემთხვევაში, ალბათ, გაიზრდებოდა."**

რაც შეეხება საერთო კრიმინოგენულ ვითარებას ჩეჩნეთში, ამ შემთხვევაში მხოლოდ პროკურორ კრავჩენკოს მონაცემები მოიპოვება, რომლის თქმითაც, 2004 წლის პირველ ექვს თვეში ჩეჩნეთის ტერიტორიაზე 3 095 სხვადასხვა სახის დანაშაულია დაფიქსირებული, რაც 2003 წლის მაჩვენებელზე თითქმის 7 პროცენტით ნაკლებია. ამ დანაშაულთაგან 221 განზრახ მკვლელობაზე მოდის.

## მოკლედ

### დაკავებული თურქული გემები გაათავისუფლეს

ორი თურქული გემი, "კაპიტანი ანჯარ-3" და "ერთუქი", რომლებიც ქართველმა მესაზღვრეებმა ნაოსნობის წესების დარღვევის გამო, 31 ივლისსა და 12 აგვისტოს დააკავეს, უკვე გაათავისუფლეს.

საზღვრის დაცვის დეპარტამენტის სანაპირო დაცვის მთავარი სამმართველოს ცნობით, პირველი მათგანისთვის ნაოსნობის წესების დარღვევა, ანუ სარფთან, ნაოსნობისთვის დახურულ 119-ე რაიონში შესვლა პირველი შემთხვევა იყო, რის გამოც მის ეკიპაჟს მხოლოდ გაფრთხილება მიეცა და 50-ათასლარიანი ჯარიმის გადახდისგან გათავისუფლდა.

რაც შეეხება ტვირთმზიდ გემს "ერთუქს", მან ფოთის პორტიდან გასვლის შემდეგ კურსი შეიცვალა და, ნოვორისიისკის ნაცვლად, ოჩამჩირის მიმართულებით გაემართა. გემის კაპიტნის განმარტებით, ეს მან ზღვაზე ცუდი ხილვადობის გამო გააკეთა, რათა ავარიული სიტუაცია ან გემის დაზიანება თავიდან აეცილებინა. "ერთუქის" კაპიტნისთვის საქართველოს ტერიტორიული წყლების დარღვევა პირველი შემთხვევა არ გახლავთ, თუმცა, ქართულმა მხარემ მოკვლევის შემდეგ ეს არგუმენტი მიზანშეწონილად მიიჩნია და გემის გათავისუფლების გადაწყვეტილება მიიღო.

*მედია-ნიუსი*

### თბილისის შემდეგ ბათუმში

საპატრულო მანქანების პრეზენტაცია თბილისის შემდეგ ბათუმში შედგა. აჭარის საპატრულო სამსახურს "ფოლკსვაგენ პასატის" ტიპის 11 მანქანა გადაეცა, რომელთაგან ცხრა - ბათუმს, ორი კი ქობულეთს მოემსახურება. საპატრულო მანქანების პრეზენტაციის პირველი ეტაპი აჭარაში, დაახლოებით, ორი თვის წინ გაიმართა. ცხრა მანქანა აღნიშნულ სამსახურს მაშინ თავად პრეზიდენტმა გადასცა და ამით საქართველოში საპატრულო სამსახურის პირველი პრეცედენტი შეიქმნა. პრეზენტაციას აჭარის მთავრობის თავმჯდომარე ლევან ვარშალომიძე და შინაგან საქმეთა სამინისტროს აჭარის რეგიონული სამმართველოს უფროსი დავით ღლონტი ესწრებოდნენ. ლევან ვარშალომიძე აღნიშნავს, რომ პირველმა პრეცედენტმა აღნიშნული სამსახურის ეფექტურობა აჩვენა და სამომავლოდ აჭარის მთავრობა ამ სამსახურის გაძლიერებაზე ფიქრობს.

*ინტერ-პრესი*

### საპატრულო პოლიციას შეურაცხყოფა მიაყენეს

16 აგვისტოს, 01.00 საათზე, თბილისში, გულიას ქუჩაზე სახელმწიფო დაცვის სპეცსამსახურისა და პრეზიდენტის გადაადგილების სვლაგეზის დაცვის განყოფილების რიგითს, 18 წლის დიმიტრი პაპუაშვილს სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულების დროს სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფმა, შინაგანი ჯარის კაპიტანმა, 28 წლის უჩა ჭკუასელმა. ამ დროს მასთან მივიდნენ თბილისის საპატრულო პოლიციის უფროსი ლეიტენანტი თამარ ბაიაშვილი და პოლიციის კაპიტანი შოთა ბორაშვილი, რომლებსაც ჭკუასელმა სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა და მიიმალა. მოკვლევას პროკურატურა ატარებს.

*მედია-ნიუსი*

## ორი სიტყვით

**ხონი.** ხონის რაიონში ყაჩაღობა მოხდა. ცენტრალურ ავტომაგისტრალზე სოფელ გელავერის გზის მონაკვეთზე ოთხი შეიარაღებული ნიღბიანი პირი თავს დაესხა სამგზავრო მიკროავტობუსს "ფორდ ტრანზიტს", სახელმწიფო ნომრით MMM-124, მათ მგზავრებისგან ფული და სხვადასხვა ძვირფასეულობა გაიტაცეს. მომხდარ ფაქტზე ხონის პოლიციამ სისხლის სამართლის საქმე ყაჩაღობის მუხლით აღძრა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**ქუთაისი.** ქუთაისში ოთხი ნიღბიანი პირი, რომლებიც ავტომატებითა და პისტოლეტებით იყვნენ შეიარაღებულები, მესხიშვილის ქუჩაზე, სერგო ბარბაქაძის ოჯახს თავს ყაჩაღურად დაესხა. ოჯახის უფროსმა და მისმა მეუღლემ თავდამსხმელებს წინააღმდეგობა გაუწიეს, რა დროსაც ბარბაქაძემ და მისმა მეუღლემ ნინო კვირიკაშვილმა ჯანმრთელობის მსუბუქი დაზიანება მიიღეს. ქუთაისის პოლიციის განცხადებით, ბოროტმოქმედები შემთხვევის ადგილიდან ისე გაიქცნენ, რომ გაქურდვა ვერ მოახერხეს. მომხდარზე სისხლის სამართლის საქმე 179-ე მუხლის მეორე ნაწილით არის აღძრული. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** სამართალდამცავებმა დააკავეს ხაშურის რაიონის დაბა სურამში მცხოვრები, 33 წლის ვეფხია კაკიაშვილი, რომლის დროებით საცხოვრებელი ბინიდან ამოიღეს ავტომატი "აკმ" მჭიდით და 5 ვაზნით. საქმეს საგამოძიებო დეპარტამენტი იძიებს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** სამართალდამცავებმა დააკავეს ბათუმელი, 45 წლის ამირან აბულაძე, რომლისგანაც ამოიღეს 0.1 გრამი ჰეროინი. საქმეს იძიებს საგამოძიებო დეპარტამენტის ბათუმის განყოფილება. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** სამართალდამცავებმა კუს ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე დააკავეს თბილისში მოქმედი ავტომანქანების გამტაცებელთა განსაკუთრებით საშიში დანაშაულებრივი დაჯგუფების ლიდერები, 21 წლის ბაჩანა რამიშვილი, 22 წლის დავით სუნჯოევი, მეტსახელად "კურო", რომლისგანაც ამოიღეს ავტომატი "აკმ" მჭიდითა და 10 ვაზნით, ხელყუმბარა "რგდ" დეტონატორით, 0.15 გრამი სუბოტექსი და ე.წ. ატმიჩკები; და 22 წლის გიორგი გავრილიდი, რომლისგანაც ამოიღეს ხელყუმბარა "რგდ" დეტონატორით, 0.16 გრამი სუბოტექსი და ე.წ. ატმიჩკები. საქმეს იძიებს საგამოძიებო დეპარტამენტის თბილისის ვაკე-საბურთალოს სამსახური. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** პოლიციამ დააკავა კერძო დაცვის თანამშრომელი, გლდანის რაიონში მცხოვრები, 25 წლის დავით კოზმავა, რომლისგანაც ამოიღეს პისტოლეტი "ვოლტრა" 5 ვაზნით. მოკვლეული მასალები შემდგომი გამოძიებისთვის გადაეგზავნა საგამოძიებო დეპარტამენტის თბილისის გლდანი-ნაძალადევის სამსახურს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** სამართალდამცავებმა დააკავეს ქურდული ტრადიციების მიმდევარი, მრავალჯერ ნასამართლევი, 48 წლის ნოდარ შაროევი, რომლის ბინიდან ამოიღეს ასაფეთქებელი მოწყობილობა, ხელყუმბარა "ფ-1" დეტონატორით და ავტომატ "აკს"-ის 8 ვაზნა. საქმეს იძიებს საგამოძიებო დეპარტამენტის თბილისის გლდანი-ნაძალადევის სამსახური. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** სამართალდამცავებმა დააკავეს დედაქალაქში მოქმედ მძარცველთა ჯგუფის აქტიური წევრები, 19 წლის მალხაზ ბელოევი და 16 წლის ჯემალ იბოიანი, რომლებმაც სხვა პირთან ერთად გლდანში მცხოვრებ, 21 წლის მაია კუჭაშვილს ფიზიკური ძალის გამოყენებისა და სიცოცხლისთვის საშიში ძალადობის მუქარით გასტაცეს ოქროს ნივთები, ხელჩანთა და მობილური ტელეფონი. საქმეს პროკურატურა იძიებს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** სამართალდამცავებმა წყნეთში მშენებარე სახლიდან ამოიღეს პოლიეთილენის პარკში შეფუთული ორი ტანკსაწინააღმდეგო ხელყუმბარა, ორი სასიგნალო მაშხალა და 5.45 კალიბრის ავტომატის 97 დაჟანგული ვაზნა. მიმდინარეობს მოკვლევა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** სამართალდამცავებმა დააკავეს გარდაბნის რაიონის სოფელ დიდ ლილოში მცხოვრებნი, ნასამართლევი, 29 წლის ნუგზარ და 23 წლის აკაკი გურგულიანები და დაადგინეს, 26 წლის ტარიელ იოსელიანი და ლილოს დასახლებაში, სამთო აკადემიის პოლიგონის საერთო საცხოვრებელში მცხოვრები, 31 წლის ზვიად ლუბლიანი, რომლებმაც კახეთის გზატკეცილზე მდებარე "ლუკოილის" ბენზინგასამართ სადგურზე ურთიერთშელაპარაკებისას, დანით გულმკერდის არეში დაჭრეს გარდაბნის რაიონის სოფელ მარტყოფში მცხოვრებნი, 30 წლის მალხაზ ეპიტაშვილი და 19 წლის გოდერძი მარუშაშვილი. დანა ამოღებულია. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** სამართალდამცავებმა დააკავეს 30 წლის პაატა ლაღვიშვილი, 54 წლის გურამ ჩხარტიშვილი და 42 წლის როსტომ გაბრიელაშვილი, რომლებმაც სს "ბინათმშენის" ტერიტორიიდან სამშენებლო მასალები მოიპარეს. ნივთმტკიცება ამოღებულია. **მედია-ნიუსი**

# საქართველოში 300-400 მილიონი ლარის სახელმწიფო შესყიდვები ხორციელდება

## დღემდე სახელმწიფო თანხების 25-30 პროცენტი, პრაქტიკულად, იკარგებოდა...

*საქართველოში წელიწადში, მინიმუმ, 300-400 მილიონი ლარის სახელმწიფო შესყიდვები ხორციელდება. შესაბამისად, ეს არის სფერო, სადაც სერიოზული კორუფციული რისკები არსებობს, მით უმეტეს - საქართველოში, სადაც შესყიდვების პროცესი, ტრადიციულად, არაგამჭვირვალეა. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ახალი ხელმძღვანელი გიორგი მელაძე ამბობს, რომ, პირველ რიგში, ინფორმაციის ღიაობას უზრუნველყოფს. პირველი მესიჯი კი, რომელიც მან ჟურნალისტებთან საუბრისას გააჟღერა, ე.წ. "შავი სიის" გამოქვეყნების შეპირება გახლდათ. დღეს, ამ პოსტზე ყოფნის რამდენიმე კვირის თავზე, გიორგი მელაძე "24 საათს" უკვე განხორციელებულ და განსახორციელებელ საქმეებზე ესაუბრება.*

თამარ ხორბალაძე

**- ვინ შევა თქვენს "შავ სიაში"?**

- პირველ რიგში, ამ სიაში შევლენ მეწარმეები, რომლებმაც უკვე მიიღეს მონაწილეობა ტენდერებში, მაგრამ, რაღაც პირობების შეუსრულებლობის გამო - საბუთების წარმოუდგენლობის, ან არასწორი და არასათანადო დოკუმენტაციის წარმოდგენის გამო - დისკვალიფიცირებული იყვნენ ტენდერიდან. კანონით არის გათვალისწინებული, რომ ეს ფირმები ეგრეთ წოდებულ შავ სიაში განთავსდებიან.

მეორე ჯგუფი არის ის ფირმები, რომლებმაც გააფორმეს ხელშეკრულება სახელმწიფო სტრუქტურასთან, გაიმარჯვეს ტენდერში, მაგრამ შემდეგ უკვე თავისი მოვალეობა აღარ შეასრულეს.

**- ასეთი ფირმა ბევრია? მათ სახელწოდებებს როდის გამოაქვეყნებთ?**

- პირველი ჯგუფის წარმომადგენლების სახელწოდებები დაუყოვნებლივ განთავსდება საიტზე. თუმცა, რაც შეეხება მეორე ჯგუფს - სანამ სასამართლო დადგენილება არ იქნება, რომ ეს ფირმაა დამნაშავე და არა სახელმწიფო, რომელმაც, თავის მხრივ, პირობა არ შეასრულა, მანამ ჩვენ ამ ფირმების სახელწოდებების გამოცხადების უფლება არ გვაქვს.

**- სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებით ყოველთვის იყო ეჭვი, არცთუ უსაფუძვლო, რომ ეს პროცესი გამჭვირვალე არ იყო, ტენდერში მონაწილეობის საშუალება ყველას არ გააჩნდა და კონკურსში მონაწილეობას აზრიც არ ჰქონდა. რას აკეთებთ, რომ ეს ეჭვები მოიხსნას და პროცესი გამჭვირვალე გახდეს?**

- დაგეთანხმებით, რომ ეს ტენდერები მართლაც არაგამჭვირვალედ მიმდინარეობდა და კორუფციის ძალიან სერიოზული წყარო იყო. სხვადასხვა გათვლებით, სახელმწიფო თანხების 25-30 პროცენტი, პრაქტიკულად, იკარგებოდა...

**- იკარგებოდა რას ნიშნავს - სამუშაო არ სრულდებოდა?**

- იკარგებოდა, ანუ... რეალურად, ეს თანხა, პირდაპირ შეიძლება ითქვას - კორუფციაში მიდიოდა. არც ამ თანხის სამუშაო ჩანდა და შედეგიც, შესაბამისად, ნაკლები იყო. ამიტომ, პირველი ნაბიჯი, რაც შეიძლება გავაკეთოთ, ეს არის ის, რომ ეს პროცესი მაქსიმალურად გამჭვირვალედ ვაქციოთ. დღეს მეწარმეს არ აქვს იმის რწმენა, რომ ჯერ ტენდერის ჩატარებას გაიგებს, მერე კი - ტენდერში მონაწილეობის მიღების შემთხვევაში - გაიმარჯვებს. ამის მიზეზია საკმაოდ მანკიერი პრაქტიკა. ადრე რეალურად ასე იყო - ან ბიძაშვილი უნდა ყოფილიყავი, ან დეიდაშვილი, ან - მეზობელი, ან - კიდევ უფრო ცუდი რაც იყო - ფული უნდა დაგეტოვებინა, რომ გაგემარჯვა და შეკვეთა მიგეღო. ამის წინააღმდეგ ბრძოლის მსოფლიოში აპრობირებული პრაქტიკა კონკურენტული გარემოს შექმნაა. მე ანტიმონოპოლიურში ვმუშაობდი, მოადგილე ვიყავი და კარგად ვიცი, რას ნიშნავს კონკურენტული გარემოს ფორმირება - როცა კონკურენტული გარემოა, როცა კონკურსი ღიაა და მიდის ლაპარაკი როგორც ხარისხზე, ისე ფასზე, ერთ რომელიმე ფირმასთან გარიგების საშუალება მაქსიმალურად იზღუდება.

**- ვინ ატარებს ტენდერს?**

- ტენდერს ატარებს თავად შემსყიდველი ორგანიზაცია. თუ ტენდერის მონაწილე რომელიმე მხარეს ტენდერის ჩატარების სამართლიანობასთან დაკავშირებით პრეტენზია ან ეჭვები უჩნდება, ამ შემთხვევაში პროცესში შესყიდვების სააგენტო ერთვება. სააგენტოს ძირითადი ფუნქცია არაკორუფციული გარემოს შექმნაა, გამჭვირვალობის უზრუნველყოფა და, შესაბამისად, თანხის გადაცემის შემდეგ - მისი მიზნობრივად დახარჯვის წინაპირობების და გარანტიების შექმნა.



*სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ახალი ხელმძღვანელი გიორგი მელაძე ამბობს, რომ, პირველ რიგში, ინფორმაციის ღიაობას უზრუნველყოფს.*

მარიკა ამურველაშვილის ფოტო

**- კონტროლი რა ფორმით და ხერხებით ხორციელდება?**

- პირველ რიგში, შესაცვლელია კანონი, რადგან დღეს არსებულ კანონში კორუფციული ელემენტები დევს. ამიტომ, ჩვენი მიზანია, მოვამზადოთ საკანონმდებლო ბაზა, რომელიც ხელს შეუშლის როგორც შემსყიდველს, ისე მიმწოდებელს, რომ ერთმანეთთან გარიგებაში შევიდნენ. რეალურად, ამაზე ჩვენ ძალიან სერიოზული მუშაობა ჩავატარეთ. გარდა იმისა, რომ პროექტი მომზადებულია სოროსის ფონდის მხარდაჭერით, ეკონომიკის მინისტრის კახა ბენდუქიძის მიდგომა ასეთია - ტენდერი უნდა იყოს რაც შეიძლება მარტივი და გამჭვირვალე, ლიბერალური, როგორც თვითონ ამბობს. ანუ მაქსიმალურად უნდა მოიხსნას ის ხელოვნური ბარიერები, რომელიც ორგანიზაციას ტენდერში მონაწილეობის გზაზე ხვდებოდა.

**- რა სახის ბარიერების მოხსნაზეა საუბარი?**

- ტენდერში მონაწილეობისთვის პროცედურები იყო ძალიან გართულებული. ამასთან, მეწარმეს არ ჰქონდა ინფორმაცია ტენდერის შესახებ. ამის თაობაზე ინფორმაცია მხოლოდ "საქართველოს რესპუბლიკაში" იბეჭდებოდა. პირველ რიგში, ჩვენ ამის შეცვლას ვაპირებთ. ინფორმაციის გავრცელების რამდენიმე ვარიანტი განიხილება - ან სპეციალური ბიულეტენები გამოვა, ან ბეჭდვითი მედიისთვის ტენდერი გამოცხადდება. ვინც უფრო ტირაჟიანი იქნება და ვინც მთელი საქართველოს მოიცავს, ის გაიმარჯვებს. გარდა ამისა, ჩვენს საიტზე დაიდება ინფორმაცია ნებისმიერი ტენდერის შესახებ. რაც შეეხება კანონოპროექტს - სავარაუდოდ, სექტემბერში, ალბათ, კანონპროექტი შევა პარლამენტში და მე ვთვლი, რომ ამ მიმართულებით საკმაოდ პროგრესული კანონმდებლობა გვექნება.

ამასთან, ჩვენთან მიმდინარეობს მეწარმეთა რეესტრის ფორმირება. სამი კვირის განმავლობაში სააგენტომ გაუშვა სოციალური რეკლამა, რომელიც ყველა ტელევიზიის ეთერში იქნა განთავსებული. რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, რეკლამა კერძო ტელეკომპანიებმაც, მათ შორის - "რუსთავი 2"-მაც გაუშვა, სრულიად უსასყიდლოდ. გვინდოდა აგვეხსნა, რომ ნებისმიერ მეწარმეს შეუძლია, მოვიდეს და ტენდერში მონაწილეობა მიიღოს.

**- მოდიან მეწარმეები?**

- დიახ, ისინიც კი, ვისაც ამ სფეროსთან არასოდეს შეხება არ ჰქონია. გვეკითხებიან, ეს შესყიდვები რა არისო. ძალიან სერიოზული ეჭვითაც მოდიან და ამბობენ: მე ტენდერს ვინ მომაგებინებს? ჩვენ ვცდილობთ, ავუხსნათ, რომ თუ შენ კარგი პროდუქცია კარგ ფასად გექნება და თუ იგრძნობ, რომ ტენდერში პრობლემა გაქვს, მოგვმართე და ჩვენ მეწარმის უფლებებს მაქსიმალურად დავიცავთ.

**- გარდა იმისა, რომ ტენდერში გამარჯვება რთული იყო, ხშირი იყო შემთხვევები, როცა ორგანიზაცია სამუშაოს არ ასრულებდა, არცთუ იშვიათად იყო შემთხვევა, როცა სახელმწიფო არ ასრულებდა თავის მოვალეობას და საკმაოდ ბევრი ფირმა იყო, რომლებიც, როგორც იტყვიან, სახელმწიფომ "გადააგდო". ახლა როგორი სიტუაციაა?**

- ამასთან მიმართებაში უნდა ითქვას, რომ დღეს ბიუჯეტი სრულდება, ამიტომ ასეთი პრობლემები ნაკლებად არის. რაც მე მოვედი, მას შემდეგ ასეთი პრობლემები არ გვქონია, თუმცა, არის ადრეული პერიოდის შემთხვევები, როცა ხშირად საქმეები სასამართლოშია.

**- ციფრების თანახმად, სახელმწიფო ყოველწლიურად 250-300 მილიონი ლარის შესყიდვებს აწარმოებს. ანუ ბიუჯეტი ამის დაფინანსებას ახერხებს?**

- ახლა ბიუჯეტი იზრდება და, სავარაუდოდ, ეს ციფრებიც გაიზრდება. საკმაოდ დიდი თანხები მიდის ჯარის შესაქმნელად, სამხედრო ხარჯებზე. რეალურად შემიძლია გითხრათ, რომ როცა ბიუჯეტი გვიან მტკიცდება და წინასწარ დაგეგმილი ბიუჯეტი არ არსებობს, ეს შესყიდვების პროცესს, ტენდერების ჩატარების პროცესს საკმაოდ ართულებს.

**- დავაზუსტებ - შესყიდვები ეხება როგორც პროდუქციის შესყიდვას, ისე მომსახურებას?**

- რა თქმა უნდა.

**- რაც შეეხება თქვენს კონტროლის ფუნქციას. უკვე გაქვთ თუ არა შესყიდვების სფეროში უხეში დარღვევის შემთხვევები?**

- იყო შემთხვევა აგრარულ უნივერსიტეტში, სადაც საკმაოდ უხეშ დარღვევასთან გვქონდა საქმე - გაფორმდა ხელშეკრულება ფირმასთან, რომელიც უფრო ცუდ პირობებს სთავაზობდა. ეს საქმე ჩვენ პროკურატურაში გადავაგზავნეთ. იყო მეწარმის საჩივარი ტელევიზიაში განხორციელებულ შესყიდვებთან დაკავშირებით.

**- რეაგირება მხოლოდ საჩივრების საფუძველზე ხდება?**

- ჩვენთან ყოველკვარტალურად შემოდის ინფორმაცია, თუ რა შესყიდვები განხორციელდა ქვეყანაში, შემოდის კონტროლის პალატის დასკვნებიც. თუ რამე საეჭვოა, ჩვენ ვალდებულნი ვართ, რეაგირება მოვახდინოთ. ახლა მეორე კვარტლის ანგარიშებია შემოსული. ჩვენს მიერ ამ ინფორმაციის გადამოწმება ხდება. ძალიან შრომატევადი საქმიანობაა, რადგან აღმოჩნდა, რომ ქვეყანაში 8000-მდე შემსყიდველია.

**- რა გადაწყვეტილების მიღება შეუძლია სააგენტოს?**

- თუ ხელშეკრულება დადებული არ არის, სააგენტოს შეუძლია ტენდერი შეაჩეროს, 10 დღის ვადაში გამოითხოვოს მასალები, საერთოდ გააუქმოს შედეგები, ან შემსყიდველის პასუხისმგებლობის საკითხი დასვას და ტენდერი ახლიდან დანიშნოს.

საბანკო მონიტორინგი

საქართველოს ახალგაზრდა ბანკირთა ასოციაცია

# თანამედროვე თამაშის წესები საბანკო საქმეში

აკაკი ჩხაიძე

ადრე თუ გვიან, ყველა ბანკი, განურჩევლად ზომისა და წარმომავლობისა, ერთი და იგივე კითხვის წინაშე დგება: როგორ შესთავაზოს კლიენტს ისეთი მომსახურება, რომელიც ორივე მხარისთვის უფრო სარგებლიანი იქნება, ვიდრე ეს დღემდე იყო. ამ კითხვაში ახალი არც არაფერია და არც ის წარმოადგენს დიდ სიახლეს, რომ ყველა საბანკო ინსტიტუტის წარმატებას სწორედ ამ კითხვაზე ეფექტური პასუხის გაცემა განაპირობებს.

ეს საკითხი განსაკუთრებით აქტუალური ხდება მაშინ, როცა კონკურენცია ბაზარზე მწვავდება და როცა ბრძოლა მიდის არა კლიენტთა ან პოტენციურ კლიენტთა ჯგუფებისათვის, არამედ თითოეული კლიენტისათვის. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ქართული საბანკო სექტორი სწორედ ამ მიმართულებით ვითარდება, რაც ბანკების მხრიდან კლიენტებისათვის უფრო მოსახერხებელი და მოქნილი მომსახურების შეთავაზებას განაპირობებს.

თუმცა, ეს მედლის ერთი მხარეა, რომელიც იმათ წისქვილზე ასხამს წყალს, ვინც ბანკის მომსახურებით სარგებლობს. მედლის მეორე მხარეს კი, როგორც წესი, ბანკის გაუარესებული ფინანსური მდგომარეობა აისახება, რამდენადაც მოსახერხებელი და მოქნილი მომსახურება, არცთუ იშვიათად, დიდ ინვესტიციებთან ან ხარჯებთან არის დაკავშირებული.

ბოლო წლების ტენდენცია ცხადყოფს, რომ კლიენტი ბანკების მიმართ უფრო მომთხოვნი ხდება და უჩნდება სურვილი, რომ თავად განსაზღვროს, თუ სად, რა საბანკო სერვისით და როდის ისარგებლოს.

თუ ზემოთქმულს შევაჯამებთ, შეგვიძლია იმ დასკვნამდე მივიდეთ, რომ საქმე გვაქვს მიზნების კონფლიქტთან ბანკსა და კლიენტს შორის, ანუ კლიენტს აქვს სურვილი, უკეთესი ხარისხის და ხელმისაწვდომი მომსახურება მიიღოს. ეს კი ბანკებისათვის გარკვეულ დათმობებზე წასვლას ნიშნავს.

თუმცა, რამდენად აუცილებელია ამ დათმობებზე წასვლა, რამდენად აუცილებელია ძვირადღირებული პროექტების განხორციელება? იქნებ არსებობს ისეთი გზაც, რომელიც ამ პრობლემას უფრო რაციონალურად და ეფექტურად გადაჭრის?

მოდით, მოკლედ გადავხედოთ საერთაშორისო საბანკო გამოცდილებას და შევაფასოთ, თუ რამდენად შესაბამისობაში მოდის მასთან ქართული რეალობა.

ბევრი წამყვანი ბანკი იყენებს ე.წ. Multi Channel Banking-ს. ეს სტრატეგია კლიენტებისათვის საბანკო მომსახურების შეთავაზების არა ერთ, არამედ რამდენიმე ფიზიკურ გზას გულისხმობს.

ტრადიციულად, საბანკო მომსახურებით სარგებლობა ხდება ბანკის ფილიალებში, რომლებიც, თავისთავად გასაგებია, განთავსებულნი არიან კონკრეტულ ადგილზე და მომსახურებას, ძირითადად, სამუშაო დღეებში და დღის განსაზღვრულ მონაკვეთებში სთავაზობენ. ასე რომ, კლიენტს ფილიალში საბანკო მომსახურებით სარგებლობა ტერიტორიულ და დროსთან დაკავშირებულ სირთულეს უქმნის. ტექნიკურმა პროგრესმა შესაძლებელი გახადა ამ სირთულეების (ან, მოდით, ნუ დავარქმევთ სირთულეებს, ვუწოდოთ მას დისკომფორტი) განეიტრალება (ნაწილობრივ მაინც) და საბანკო მომსახურებით სარგებლობის სხვა გზების შეთავაზებაც, მაგალითად, ინტერნეტის მეშვეობით, რომლის დროსაც ტერიტორიული და დროის მიხედვით განპირობებული დაბრკოლება არ ჩნდება.

განსაკუთრებულ და აღსანიშნავ პროგრესს ამ მიმართულებით სიტიბანკმა მიაღწია. ის თავის კლიენტებს საბანკო მომსახურების სრულ ან ნაწილობრივი სარგებლობის შვიდ გზას სთავაზობს (იხილეთ სქემა). აქაც და ქვემოთ საუბარი გვაქვს Citibank Privatkunden AG-ზე.




საბანკო მომსახურების ისეთ გზებზე, როგორებიც არიან ფილიალები, საბანკო ტერმინალები, ბანკომატები, სატელეფონო საბანკო მომსახურება და ონლაინ საბანკო მომსახურება, თქვენს ყურადღებას არ გავამახვილებ, რამდენადაც ეს გზები საქართველოშიც უკვე გამოიყენება (რა თქმა უნდა, მეტ-ნაკლებად).

ალბათ, უფრო საინტერესო იქნება საბანკო მომსახურების ის ინოვაციური გზები, რომლებიც მხოლოდ ბოლო წლებში დაინერგა, კერძოდ კი, ე.წ. "მობილური კონსულტანტები" და ე.წ. სატელევიზიო "Finanzshop"-ი.

2000 წლიდან სიტიბანკის მობილური კონსულტანტები კლიენტებს (ძირითადად, VIP კატეგორიას) ემსახურებიან როგორც სახლებში, ასევე ოფისებში და სთავაზობენ ზუსტად იგივე საბანკო სერვისს, რაც კლიენტს ბანკის ფილიალში შეუძლია მიიღოს. გამონაკლისს, რა თქმა უნდა, ფულის განაღდების ოპერაციები წარმოადგენს. 2003 წელს მობილური კონსულტანტების რაოდენობა სიტიბანკში 70-დან 120-მდე გაიზარდა, რაც იმის მანიშნებელია, რომ ეს სიახლე საბანკო სფეროში ადგილს წარმატებით იმკვიდრებს.

მეორე სიახლე, რომელიც 2003 წლის თებერვალში დაინერგა, არის ე.წ. სიტიბანკ ფინანსშოპი (Citibank Finanzshop), რომელიც თვის განმავლობაში 10-ჯერ გადის პირდაპირ სატელევიზიო ეთერში და ერთ საათს გრძელდება. გადაცემის მსვლელობისას მაყურებლებსა და მონაწილეებს შესაძლებლობა ეძლევათ, არამარტო მიიღონ კონსულტაციები საბანკო მომსახურებებზე და სიახლეებზე, არამედ საბანკო სერვისით ისარგებლონ კიდეც.

მსგავსი სიახლეების დანერგვისას აუცილებელია პროექტებთან დაკავშირებული ხარჯების გათვალისწინება. გარკვევით უნდა იყოს გაანალიზებული, თუ მომსახურების რა ტიპის გზას ვნერგავთ, არის ეს კომპლემენტარული მომსახურების გზა თუ სუბსტიტუციური.

კომპლემენტარული გზა გულისხმობს საბანკო პროდუქტების გაყიდვის კლიენტისათვის განსხვავებული და უფრო კომფორტული სიტუაციის შექმნას. მაგალითად, კლიენტისათვის უფრო მოსახერხებელია, მასთან "მობილური კონსულტანტი" მივიდეს და საბანკო მომსახურება გაუწიოს, ვიდრე ის მივიდეს ფილიალში. საბანკო მომსახურება ასეთ შემთხვევაში იდენტურია იმისა, რასაც მიიღებდა კლიენტი ბანკის ფილიალში, რა თქმა უნდა, როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, ფულის განაღდების ოპერაციების გარდა.

სუბსტიტუციური გზები უკვე არსებული საბანკო მომსახურების გზების განტვირთვას ემსახურება და კლიენტებსა და პოტენციურ კლიენტებს სტანდარტული ტრანსაქციების უკეთეს ხარისხს სთავაზობს. მაგალითად, 1998 წლიდან 2002 წლამდე სიტიბანკში გადარიცხვების რაოდენობა 75 პროცენტით გაიზარდა გასულ ოთხწლიან პერიოდთან შედარებით და, რაც ძალიან მნიშვნელოვანია, ბანკის ფილიალების სალაროებიდან გადარიცხვების მხოლოდ 50 პროცენტი განხორციელდა, რადგანაც ყოველი მეორე გადარიცხვა ინტერნეტის ან საბანკო ტერმინალების მეშვეობით (სადაც კლიენტი ბანკის მომსახურე პერსონალის გარეშე, თავად აწარმოებს საბანკო ტრანსაქციებს, მაგალითად - გადარიცხვებს, თანხის სხვა ვალუტაში გადაცვლას და ა.შ.) შედგა. ყოველივე ეს კი იმას ნიშნავს, რომ ონლაინ ბანკინგმა და საბანკო ტერმინალებმა ფილიალებში არსებული საბანკო მომსახურების ტრადიციული გზები 50 პროცენტით ჩაანაცვლეს და განტვირთეს.

თუმცა, ასევე დაინერგა მომსახურების ისეთი გზები, რომლებსაც ხშირად როგორც კომპლემენტარულ, ასევე სუბსტიტუციურ გზებად განიხილავენ. მაგალითად, სატელეფონო ბანკინგი ემსახურება როგორც პირდაპირ საბანკო მომსახურების ტელეფონის მეშვეობით განხორციელებას, ასევე ხელს უწყობს ფილიალებში კლიენტებთან მომუშავე პერსონალისათვის დროის დაზოგვას, რადგან სატელეფონო საუბრებზე და შეხვედრების ორგანიზებაზე მათ დროის კარგვა აღარ უწევთ.

საინფორმაციო ტექნოლოგიებზე დაფუძნებული მომსახურების გზები არა მარტო ხელს უწყობენ სერვისის გაუმჯობესებას (ნაკლები ლოდინი რიგებში, კლიენტი უკვე აღარ არის დამოკიდებული ბანკის სამუშაო დღეებზე/საათებზე, ასევე ტერიტორიულ ადგილმდებარეობაზე და ა.შ.), არამედ განაპირობებენ იმასაც, რომ ბანკის პერსონალს უფრო მეტი დრო რჩება იმ კლიენტებისათვის მომსახურებისა და კონსულტაციების გასაწევად, რომლებიც თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებასთან შედარებით უპირატესობას ბანკის ფილიალებში ტრადიციულ ვიზიტს ანიჭებენ.

ისიც ცხადია, რომ ახალი სერვისები და საბანკო პროდუქტები ჰაერიდან არ ჩნდება და მათი გენერირება ინტენსიური და მიზანმიმართული ბაზრის კვლევის შედეგად მიიღწევა, თუმცა კვლევების ის მეთოდოლოგია, რაც სიტიბანკში არის დანერგილი, ტრადიციულისაგან საკმაოდ განსხვავდება - აქ არ ხდება კარგი იდეების წლების განმავლობაში ანალიზი და გამოცდა, ისინი ძალიან სწრაფად ჩნდება ბაზარზე სატესტო პროექტების სახით და, როგორც წესი, ეს პროექტები წარმატებულია, ამა თუ იმ ახალ სერვისზე თუ საბანკო პროდუქტზე მოთხოვნილება საკმაოდ სწრაფად იზრდება.

კიდევ ბევრი ფაქტორი არსებობს, რომლებიც სიტიბანკის წარმატებას განაპირობებს, მაგრამ ამაზე საუბარი შორს წაგვიყვანს და ეს საგაზეთო სტატიის ჩარჩოებში ნამდვილად ვერ მოთავსდება. უმჯობესია, პასუხი გავცეთ იმ კითხვას, რომელიც კრიტიკულად განწყობილ მკითხველს, ალბათ, უკვე უტრიალებს თავში: კი, ყველაფერი ეს კარგია - "მობილური კონსულტანტები", საბანკო ტერმინალები, ინტერნეტ-ბანკინგი, მაგრამ ჩვენ ამით რა? რამდენად იქნება ყოველივე ეს ჩვენთვის რეალური და ხელმისაწვდომი და როდის?

ვერაფერს იტყვი, მართებული კითხვაა. საბედნიეროდ, საქართველოში ამ მიმართულებით სასიკეთო ძვრები შეიმჩნევა და ქართული ბანკები მნიშვნელოვან ნაბიჯებს დგამენ თანამედროვე საბანკო მომსახურების დასანერგად, მაგალითად, საქართველოში ინტერნეტ-ბანკინგით სარგებლობა უკვე შესაძლებელია. თუმცა, არსებობს მეორე მხარეც - რამდენად არის ქვეყანაში ინფრასტრუქტურა მზად ამისათვის. აქაც შეიძლება აღინიშნოს, რომ საქართველოში პერსონალური კომპიუტერების რიცხვი და ასევე, ინტერნეტის მომხმარებელთა რაოდენობა წლიდან წლამდე იზრდება და დაუზუსტებელი მონაცემებით, რამდენიმე ასეულ ათასსაც კი შეიძლება აღწევდეს.

შეიძლება, ეს დაახლოებითი მონაცემები არცთუ ისე შთამბეჭდავია, მაგრამ თუ ქვეყნის დღევანდელ ეკონომიკურ და სოციალურ მდგომარეობას გავითვალისწინებთ, მაშინ ნამდვილად არ არის ცუდი მაჩვენებელი. ასე რომ, საინფორმაციო ტექნოლოგიების პროგრესი ჩვენთანაც იგრძნობა.

საბანკო მომსახურების განსხვავებული გზების დანერგვას (მულტი ჩანნელ ბანკინგ) მხოლოდ მაშინ აქვს აზრი, როცა საინფორმაციო ტექნოლოგიებში ინვესტირების პარალელურად ხდება თანამშრომლების შესაბამისი წვრთნა და მომზადება, რათა მათ კლიენტებისათვის ამ სიახლეების შეთავაზება ადვილად და ეფექტურად შეძლონ. ლოგიკა აქ მარტივია - შეიძლება საინფორმაციო ტექნოლოგიებში დიდი ინვესტიცია გააკეთო, მაგრამ თუ არ ვიცით, როგორ გამოვიყენოთ ის და როგორ შევთავაზოთ კლიენტებს, მაშინ თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს ინვესტიცია წყალში გადაყრილი ფულია.

თანამშრომლების მხოლოდ მომზადება არ არის საკმარისი, ძალიან მნიშვნელოვანია შესაბამისი კორპორაციული კულტურის დანერგვა. თანამშრომელმა ესა თუ ის სიახლე მექანიკურად კი არ უნდა შეისწავლოს და შეითვისოს, არამედ მან ბანკისათვის ამ სიახლეების მნიშვნელობა უნდა გაითავისოს. სწორედ ეს მხარეა დღეისათვის პრობლემატური და არა საინფორმაციო ტექნოლოგიების ფაქტორი.

საქართველოში ხშირად აქცენტი სწორედ ამ უკანასკნელ ფაქტორზე კეთდება და არა პერსონალის შესაბამის მომზადებაზე. მართალია, ამ სფეროში ხდება ბანკების მიერ როგორც თანამშრომლების წვრთნებში, ასევე რეკრუტმენტში გარკვეული თანხის ინვესტირება, თუმცა ეს ინვესტიციები მიზერულია საინფორმაციო ტექნოლოგიებში განხორციელებულ ინვესტიციებთან შედარებით. ბანკისათვის წარმატების მთავარი ფაქტორი იყო და არის ადამიანი და არა HP-ს ან Oracle-ს რაიმე ძვირადღირებული პლატფორმა, ბოლოს და ბოლოს, ისიც ხომ ადამიანის შექმნილია...

სტეპფორდელი ცოლები თბილისის ქუჩებშიც დადიან



B3

„საუკუნის გაცურვა"



B4

ბუდარეხის მონასტერი შველას ითხოვს



B7

# ლარი კვლავ ქვეყნის ფინანსური სტაბილურობის გარანტად რჩება

პირველი გვერდიდან

რაც შეეხება ლარის კურსის ზრდას აშშ დოლარის მიმართ, მას არა ერთი, არამედ ერთდროულად რამდენიმე ფაქტორი განაპირობებს. მარტის დასაწყისიდან მეტ-ნაკლები ინტენსივობით თითოეული მათგანი ახდენდა გავლენას შიდა სავალუტო ბაზრის დინამიკაზე.

პირველ რიგში, მხედველობაში მაქვს ჩრდილოვანი ეკონომიკის შეზღუდვით საქმიანი აქტივობის ლეგალიზაციის პროცესი, რაც ავტომატურად ნიშნავს ეროვნული ვალუტის გამოყენების არეალის გაფართოებას და, შესაბამისად, მასზე მოთხოვნის ზრდას.

ამასვე უწყობს ხელს სახელმწიფო ბიუჯეტი, რომლის ბრუნვაც მნიშვნელოვნად აღემატება გასულ წლებში არსებულს. თუკი იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ბიუჯეტში მობილიზდება რეალური ფულადი სახსრები, მაშინ, როდესაც გასულ წელს ქვეყნის საფინანსო გეგმის დიდი ნაწილი მხოლოდ ქაღალდზე სრულდებოდა, ფაქტობრივად, ბიუჯეტის მხრიდან მოთხოვნა ლარზე ორ-სამჯერ უფრო მეტია.

მიმდინარე წელს ერთ საინტერესო ფაქტთანაც გვაქვს საქმე. ბიუჯეტის მომატებული შემოსავლების სრულად ხარჯვა, მათ შორის ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ბიუჯეტის დაუმტკიცებლობის მიზეზით, წლის განმავლობაში ვერ ხერხდებოდა, რის გამოც მიმოქცევაში ვეღარ ბრუნდებოდა ფულადი მასის სოლიდური ნაწილი. ეს კი შიდა სავალუტო ბაზარზე ლარის დროებით დეფიციტს ქმნიდა. თუმცა, სავარაუდოდ, ბიუჯეტის ზრდის მიმართულებით კორექტირების შემდგომ დაიწყება ამ რესურსების უფრო ინტენსიური ხარჯვა, რაც ფულის მიწოდებას საგრძნობლად გაზრდის.

ლარზე მოთხოვნის პარალელურად შიდა სავალუტო ბაზარზე იზრდება უცხოური ვალუტის მიწოდებაც. მისი წყარო არის როგორც ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობისათვის განკუთვნილი თანხები, ისე სხვადასხვა სახის შედარებით მცირე მოცულობის ინვესტიციები. გასული წლის პირველ ექვს თვესთან შედარებით 64 პროცენტით გაიზარდა ქვეყნის საექსპორტო შემოსავლები და 22 პროცენტით უცხოეთიდან მიღებული ტრანსფერტების მოცულობაც. ეს, საერთო ჯამში, უცხოური ვალუტის შემოდინების მნიშვნელოვანი წყაროა.

დაბოლოს, არ უნდა დაგვავიწყდეს ფსიქოლოგიური ფაქტორები, რომლებიც მოკლევადიან პერიოდში მნიშვნელოვან გავლენას ახდენს კურსის ფორმირების დინამიკაზე. ახალი ხელისუფლების მოსვლასთან ერთად მოსახლეობის ნდობა მთავრობის მიმართ მკვეთრად გაიზარდა. შესაბამისად, მეტია ნდობა მისი ეკონომიკური პოლიტიკის მიმართ, რაც, ბუნებრივია, ეროვნული ვალუტის მიმართ დამოკიდებულებაზეც აისახა. ამასთან დაერთო ლარის ფაქტობრივი გამყარება, რის გამოც მოსახლეობაში, ისევე, როგორც საფინანსო ინსტიტუტებში და საქმიან წრეებში, ლარის კურსის შემდგომი აწევის მოლოდინი გაჩნდა. ამ ფონზე, ბუნებრივია, გაცილებით ნაკლებია აშშ დოლარის ყიდვის მსურველი, რაც აისახება კიდეც შიდა სავალუტო ბაზრის დინამიკაზე.

ამდენად, ლარის გამყარება ქვეყანაში მიმდინარე ეკონომიკური პროცესებით არის განპირობებული და მათი ურთიერთქმედების სრულიად ლოგიკური შედეგია. ამ ფონზე, განსაკუთრებით არასერიოზულია ლარის კურსის ზრდის პროცესში ხელოვნურ ჩარევაზე საუბარი. შეუძლებელია, თვეების განმავლობაში კურსის გამყარება რაიმე სუბიექტური ფაქტორით იყოს განპირობებული. თუკი ეროვნული ბანკის როლზე ვისაუბრებთ, იგი ცდილობს, არ დაუშვას ლარის მეტისმეტი მერყეობა, მათ შორის გამყარების მიმართულებით. ამისათვის კი ბანკი სისტემატურად შეისყიდის ჭარბ აშშ დოლარებს თბილისის ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე და ნაწილობრივ ანეიტრალებს ბაზარზე წარმოქმნილ დისბალანსს.

**- ზოგიერთი იმასაც აღნიშნავს, რომ ლარის რეალური გამყარება მოსახლეობის კეთილდღეობის ზრდაში უნდა პოულობდეს ასახვას და თუ ეს ასე არ არის, მაშინ რაიმე შეგნებულად ინსპირირებულ პროცესთან გვაქვს საქმე?**

- მინდა განვმარტო, რომ ვალუტის გამყარება ან გაუფასურება თავისთავად სულაც არ ნიშნავს ეკონომიკური ვითარების რადიკალურ გაუმჯობესებას ან გაუარესებას. მოკლევადიან პერიოდში, სხვადასხვა გარემოებათა გათვალისწინებით, ეკონომიკურ აღმავლობას შეიძლება თან ახლდეს ნომინალური კურსის გამყარებაც და გაუფასურებაც. თავის მხრივ, კურსის ცვლილება ამა თუ იმ მიმართულებით ყოველთვის არ ასახავს ეკონომიკის სიჯანსაღის დონეს.

გარდა ამისა, გასაკვირი ნამდვილად არ უნდა იყოს, რომ მოსახლეობის კეთილდღეობა ერთი ხელის მოსმით, რამდენიმე თვეში, ვერ გაუმჯობესდება. თუმცა, არ შეიძლება იმის არდანახვა, რომ რეალურად, პოზიტიური კუთხით ბევრი რამ შეიცვალა: მკვეთრად გაუმჯობესდა ფისკალური სექტორის მუშაობა, სრულყოფილად ხდება ბიუჯეტის ხარჯების დაფინანსება, დაიწყო ძველი დავალიანებების დაფარვა. ეს პოზიტიური ტენდენციები, სავარაუდოდ, მომავალში კიდევ უფრო ინტენსიური გახდება.

**- ხომ არ აჯობებდა ეროვნული ბანკი უფრო აქტიურად ერეოდეს სავალუტო ბაზარზე მიმდინარე პროცესებში, რათა კურსის ასეთი ცვლილებები არ ხდებოდეს?**

- არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ჩვენ არ შეგვიძლია გაცვლითი კურსის ფიქსირება ერთსა და იმავე ნიშნულზე. პირველ რიგში ეს გამოიწვევს ფულადი მასის გაუმართლებელ ზრდას და ფასების სახიფათო დონემდე აწევას. მეორეც, ეს ეწინააღმდეგება მცურავი სავალუტო კურსის რეჟიმის პრინციპებს, რომელთა თანახმადაც საშუალო და გრძელვადიან პერიოდში გაცვლითი კურსი მთლიანად საბაზრო მექანიზმებმა უნდა ჩამოაყალიბოს. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ სავალუტო კურსი არის ერთი ვალუტის ფასი გამოსახული მეორე ვალუტაში და ნორმალურია, რომ ის იცვლებოდეს საბაზრო მექანიზმების გავლენით, მასზე მოთხოვნა-მიწოდების თანაფარდობის საფუძველზე. ასეთი პრინციპით ხდება კურსის ფორმირება სხვა გაცილებით დიდი ქვეყნების ვალუტებზე, როგორებიცაა აშშ დოლარი, ევრო, ბრიტანული გირვანქა სტერლინგი და სხვა.

შესაძლოა, ვინმეს სიმპათიები მკაცრად ფიქსირებული კურსისკენ იხრებოდეს, თუმცა მეცნიერულ წრეებში დღეს უკვე არავინ კამათობს იმაზე, რომ მცურავი სავალუტო კურსის რეჟიმები ქვეყნის ეკონომიკის სტაბილური განვითარებისათვის გაცილებით უკეთესია ფიქსირებული კურსის პოლიტიკასთან შედარებით. ვინც მსოფლიო ეკონომიკაში მიმდინარე პროცესებს ადევნებს თვალს, ახსოვს, რომ ფიქსირებული კურსის რეჟიმების კრახი გასული საუკუნის 90-იან წლებში მასობრივად ხდებოდა, რის შემდგომაც დაზარალებული ქვეყნების უმეტესობამ უფრო მოქნილი სავალუტო რეჟიმები შემოიღო. განსაკუთრებით გაუმართლებელია კურსის ფიქსირების პოლიტიკა ლიბერალური სავალუტო რეჟიმის მქონე ღია ეკონომიკის ქვეყნისათვის, დივერსიფიცირებული საგარეო სავაჭრო სტრუქტურით, რომელთა რიცხვსაც საქართველო განეკუთვნება. ასეთ ვითარებაში რაიმე ფორმით კურსის ფიქსირება ქვეყანას ფულად-საკრედიტო პოლიტიკის დამოუკიდებლობის დაკარგვით, ფულის მასის უკონტროლო ზრდითა და ინფლაციით, შედეგად კი საგარეო კონკურენტუნარიანობის დაკარგვით და კრიზისით ემუქრება.

ჩვენს შემთხვევაში ეროვნული ბანკი, ისევე როგორც აქამდე, ცდილობს არ დაუშვას კურსის მეტისმეტი მერყეობა მოკლევადიან პერიოდში. თუმცა, იგი ვერ და არ შეეწინააღმდეგება სავალუტო ბაზარზე დომინირებად ტენდენციებს. ანუ, თუ საბაზრო მექანიზმები ლარს გამყარებისკენ უბიძგებს, ეროვნული ბანკი ვერ შეცვლის კურსის მოძრაობის ვექტორს, მას შეუძლია, უფრო სტაბილური გახადოს ახალ საკურსო ნიშნულზე გადასვლის პროცესი.

ამასთან, ხაზი მინდა გავუსვა, რომ ეროვნული ბანკის მთავარ ამოცანას ქვეყანაში ფასების სტაბილურობის და ეროვნული ვალუტის მსყიდველობითი უნარის შენარჩუნება წარმოადგენს. სწორედ ამ პრინციპებიდან გამომდინარე, ვინაიდან კურსის ზრდა მოცემულ პირობებში დადებითად მოქმედებს ფასების დინამიკაზე და აკავებს ინფლაციას, ეროვნულმა ბანკმა დასაშვებად მიიჩნია ლარის არსებულ დონემდე გამყარება.

ამასთან, არ არსებობს რაიმე კონკრეტული საკურსო ნიშნული, რომლის შენარჩუნებასაც ეროვნული ბანკი შეეცდება. უსაფუძვლოა საუბარი იმაზე, რომ „რეალური" კურსი უნდა იყოს 2.5, 1.7, 1.5 ან კიდევ სხვა. მით უმეტეს, რომ ასეთი მოსაზრებები, როგორც წესი, საერთოდ არავითარ გაანგარიშებებს არ ეფუძნება. ერთი კურსი, შესაძლოა, ხელსაყრელი იყოს მოსახლეობის ერთი ნაწილისათვის, ხოლო მეორე დანარჩენებისათვის. რეალური კი ის კურსია, რომელიც თავისუფალ ბაზარზე ყალიბდება. ხშირად საუბრობენ, რომ ლარის გამყარებით იზარალეს იმ პირებმა, რომელთაც შემოსავალი უცხოურ ვალუტაში აქვთ, რაც, სამწუხაროდ, სიმართლეს შეესაბამება. თუმცა, მეორე მხრივ, მოგებული დარჩა ის, ვინც ლარებით იღებს ხელფასს ან პენსიას. ასეთთა შორის კი სწორედ მოსახლეობის ყველაზე ფართო ფენის წარმომადგენლები სჭარბობს. გარდა ამისა, ალბათ, უკვე დროა, მოსახლეობამ გამოიყენოს ეროვნული ვალუტა, როგორც გადახდის ერთადერთი საშუალება საქართველოს ტერიტორიაზე, მით უმეტეს, რომ ლარის სტაბილურობა უკვე წლების განმავლობაში ტრადიციად დამკვიდრდა.

**- თითქოს პარადოქსია, მაგრამ ფასები იზრდება მაშინ, როდესაც კურსი მყარდება. წესით, საწინააღმდეგო მოვლენის მომსწრენი უნდა ვიყოთ.**

- საქმე ისაა, რომ ლარის გამყარების გარეშე დღეს ფასების დონე გაცილებით მაღალი იქნებოდა. კურსის ზრდა აიაფებს იმპორტულ საქონელს, რომელიც საქართველოს სამომხმარებლო ბაზრის დიდ სეგმენტს მოიცავს. მაშინ ლოგიკურად ისმის კითხვა, რატომ გაიზარდა ფასები მთელ რიგ საქონელზე? ამის რამოდენიმე ობიექტური მიზეზი არსებობს. მაგალითად, ხილის გაძვირება არახელსაყრელი ბუნებრივ-კლიმატური პირობების გამო ცუდ მოსავალს უკავშირდება. საწვავის ფასები მაღალია საერთაშორისო ბაზარზე ნედლი ნავთობის გაძვირების გამო, თანაც, გაცილებით მეტად, 30-35 პროცენტით არის მომატებული, მაშინ, როდესაც შიდა ბაზარზე ბენზინის ფასი მხოლოდ 12 პროცენტითაა გაზრდილი.

გარდა ამისა, კონტრაბანდის შეზღუდვით და საგადასახადო ადმინისტრირების გაუმჯობესებით მთლიანად ქვეყანაში შეიქმნა ფასების აწევის ობიექტური წინაპირობები, ვინაიდან ფასში გამყიდველმა ჩართო გადასახადის ოდენობაც, რომელსაც აქამდე ის არ იხდიდა. შედეგად, კურსის გამყარების დადებითი ეფექტი ისეთი შესამჩნევი აღარ არის, თუმცა ამის გარეშე დღეს სერიოზული ინფლაცია გვექნებოდა სახეზე. ფაქტობრივად კი წლის დასაწყისთან შედარებით სამომხმარებლო ფასების ინდექსი თითქმის უცვლელია. სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემებით, პირველ შვიდ თვეში ეს უკანასკნელი 0.1 პროცენტით არის გაზრდილი. თუმცა, იმავდროულად, 2003 ივლისიდან დღემდე ინფლაცია 5.5 პროცენტს შეადგენს, ამდენად საქართველოში დეფლაციასთან ნამდვილად არ გვაქვს საქმე.

ზოგადად, საგადასახადო ადმინისტრირების გამკაცრების ფონზე ფასების ზრდა გარდაუვალი და სოციალურად მტკივნეული პროცესია, რომელიც საქართველოში ლარის გამყარებამ შეამსუბუქა. თუმცა, მას პარალელურად თან სდევს ბიუჯეტის შემოსავლების მატება, რაც სოციალურად დაუცველი ფენებისათვის შემოსავლების მატების წყარო უნდა გახდეს. იმავდროულად გასათვალისწინებელია, რომ ახალი საგადასახადო კოდექსი, რომელშიც გაცილებით დაბალი განაკვეთები იქნება ჩადებული, ამ გარდამავალ პროცესს კიდევ უფრო გააადვილებს. ჩვენი, როგორც ცენტრალური ბანკის, ამოცანაა, რომ ფასების აწევას გრძელვადიანი ხასიათი არ ჰქონდეს და არ გადაიზრდოს ინფლაციაში, რისთვისაც გატარდება ადეკვატური ფულად-საკრედიტო პოლიტიკა, რომელიც ფასების სტაბილურობაზე იქნება ორიენტირებული.

**- რა ინსტრუმენტები გააჩნია ეროვნულ ბანკს, რათა პროცესები სასურველი მიმართულებით წაიყვანოს?**

- ეროვნულ ბანკს ხელთ აქვს მონეტარული პოლიტიკის მთელი რიგი ინსტრუმენტები, რომელთა საშუალებითაც ის აწვდის ფულის მასას ეკონომიკას. უპირველეს ყოვლისა, ეს არის უცხოური ვალუტის შესყიდვები ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე, რომლის სანაცვლოდ მიმოქცევაში გადის შესაბამისი ოდენობით ეროვნული ვალუტა. დღეისათვის წლის დასაწყისიდან ნაყიდი ვალუტის მოცულობამ 110 მლნ აშშ დოლარს გადააჭარბა. ეს კი ნიშნავს, რომ მიმოქცევაში დაახლოებით 200 მლნ ლარის ეკვივალენტი თანხა გავიდა. პარალელურად, შესამჩნევად გაიზარდა ეროვნული ბანკის საერთაშორისო რეზერვები. მათმა მოცულობამ ისტორიულად მაღალ ნიშნულს - 300 მლნ აშშ დოლარს გადააჭარბა, რაც ქვეყნის ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესების მნიშვნელოვანი ინდიკატორია. შესაბამისად, აიწია რეზერვებით იმპორტის გადაფარვის კოეფიციენტმაც -- 1.5-დან 2.3 თვემდე.

იმავდროულად, ეროვნული ბანკი ცდილობს, ფულის მიწოდება განახორციელოს ღია ბაზრის ოპერაციების საშუალებით. კერძოდ, 1 ივლისიდან მან მოდიფიკაცია გაუკეთა რეპოს მექანიზმს. რეპოს საშუალებით კომერციულ ბანკებს შეუძლიათ სახაზინო ვალდებულებების გირაოს ქვეშ აიღონ მოკლევადიანი კრედიტები ეროვნული ბანკიდან და ამით დაიკმაყოფილონ მოთხოვნა ლარზე. ამ ინსტრუმენტის გამოყენების შემთხვევაში ბანკებს ნაკლები უცხოური ვალუტის გაყიდვა მოუწევთ სავალუტო ბაზარზე, რაც ხელს შეუწყობს კურსზე გამყარების მიმართულებით ზეწოლის შემსუბუქებას. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ რეპოზე დადგენილი მინიმალური საპროცენტო განაკვეთი მხოლოდ წლიური 8 პროცენტია, მოთხოვნა მასზე ბანკების მხრიდან არ არის. ამის მიზეზი კი საბანკო სისტემაში დიდი ოდენობით თავისუფალი ლიკვიდური სახსრების არსებობაა. ეროვნულ ბანკში საკორესპოდენტო ანგარიშებზე ბანკებს საერთო ჯამში 65-70 მლნ ლარი აქვთ გაჩერებული, მაშინ, როდესაც წლის დასაწყისში მათი დონე საშუალოდ 30-35 მლნ ლარს შეადგენდა. ბუნებრივია, ამ პირობებში ბანკებს საკმარისზე გაცილებით მეტი საკუთარი ლიკვიდური რესურსები აქვთ, რათა დამატებით მოიზიდონ ცენტრალური ბანკიდან.

ამდენად, ეროვნული ბანკი მზად არის, მიაწოდოს საბანკო სისტემას იმდენი ლიკვიდობა, რამდენზეც არსებობს მოთხოვნა, თუმცა, ჯერჯერობით ბანკები ამ მიზნით სავალუტო ოპერაციების გამოყენებას ამჯობინებენ, რაც მათი მხრიდან სავალუტო პოზიციის მართვით და სავალუტო რისკის მინიმიზაციის სურვილით აიხსნება.

მინდა აღვნიშნო ის ფაქტიც, რომ ეროვნულმა ბანკმა გასულ კვირაში ერთდღიან კრედიტებზე განაკვეთი 11-დან 9 პროცენტამდე შეამცირა, რათა წაახალისოს მთლიანობაში საპროცენტო განაკვეთების შემდგომი კლება. ამავე მიზნებისათვის ივნისის თვეში მან დაწია ლარით მოზიდული რესურსების მიმართ დაწესებული სარეზერვო მოთხოვნების განაკვეთი 13-დან 2 პროცენტამდე. ამით ბანკებს გამოუთავისუფლდათ დამატებით საკრედიტო რესურსები და შესაბამისად უფრო იაფი დაუჯდებათ ლარით ოპერაციების წარმოება, რაც ეკონომიკაში საპროცენტო განაკვეთების შემდგომი დაწევის სტიმულად უნდა იქცეს.

**- ზოგიერთი შეფასებით ლარის გამყარება ფულის მასის სიმცირითაა გამოწვეული, თქვენ რა კომენტარს გააკეთებდით ამასთან დაკავშირებით?**

- ეს მოსაზრება აბსოლუტურად მცდარია. მიზეზი ეს რომ ყოფილიყო, ლარი გასულ წელსაც და მანამდეც გამყარდებოდა. რაც მთავარია, წელს ფულის მასა კი არ შემცირებულა, როგორც ამას ზოგიერთი ექსპერტი ამტკიცებს, არამედ, პირიქით, წლის დასაწყისიდან 15 პროცენტით არის გაზრდილი, რაც ეკონომიკური ზრდის ტემპს მნიშვნელოვნად აღემატება. ასეთივე სიტუაცია იყო გასულ წლებშიც. მაგალითად, 2003 წელს სარეზერვო ფული 14 პროცენტით გაიზარდა, 2002 წელს – 18 პროცენტით.

ზოგადად, ეროვნული ბანკი ფულის მიწოდებას ახორციელებს ეკონომიკის მხრიდან მასზე მოთხოვნის შესაბამისად, ისე, რომ უზრუნველყოფილ იქნას ეკონომიკის არაინფლაციური ზრდა. რა თქმა უნდა, ფულის მასშტაბური ემისია ლარის კურსს დოლართან მიმართებაში დააქვეითებდა, თუმცა ამ შემთხვევაში ეს იქნებოდა არსებული ეკონომიკური რეალიების უხეში იგნორირება და მათ საპირისპიროდ გადადგმული წინდაუხედავი ნაბიჯი. ფულის მასა გაუმართლებლად გაიზრდებოდა და შედეგად უკონტროლო ინფლაციას მივიღებდით.

ფულის მასასა და ფასების დონეს შორის კავშირი განსაკუთრებით თვალსაჩინოა ჰიპერინფლაციის პირობებში. ასეთი მაგალითი გასული საუკუნის 90-იან წლებში ჩვენც გვქონდა, როდესაც ტარდებოდა ე. წ. ლიბერალური ფულად-საკრედიტო პოლიტიკა, რასაც შედეგად კუპონის კატასტროფული გაუფასურება და ჰიპერინფლაცია მოჰყვა. ყველას გვახსოვს ალბათ, რა დაუჯდა ეს ყველაფერი უბრალო მოქალაქეებს მათი დანაზოგების, მათ შორის ანაბრების გაუფასურების სახით. არ მგონია, საქართველოს მოსახლეობას იმ დროის დაბრუნება სურდეს.

რაც შეეხება ზოგადად ფულის მასის მოცულობას, ჩვენ არ ვუარყოფთ, რომ მონეტიზაციის დონე ჯერ კიდევ დაბალია. მაგრამ ეს ობიექტური მიზეზებით არის განპირობებული. პირველ რიგში, ეს არის მოსახლეობის მწირი შემოსავლები, რის გამოც დაბალია სამომხმარებლო ხარჯები და აქედან გამომდინარე ტრანზაქციული მოთხოვნა ფულზე. განუვითარებელია ფინანსური ბაზრებიც, რომლებიც განვითარებულ ქვეყნებში ფულის საკმაოდ დიდ მასას მოიხმარს. ასევე დაბალია მოსახლეობის დანაზოგების დონე, რაც მათ საინვესტიციო საქმიანობას ზღუდავს. აღსანიშნავია დოლარიზაციის მაღალი მასშტაბებიც, რის გამოც ქვეყანაში უცხოური ვალუტის დიდი მასა ბრუნავს. ფაქტობრივად, აშშ დოლარი ფულის ფუნქციებს საქართველოში ლარის პარალელურად ასრულებს და შესაბამისად ამცირებს მოთხოვნას ეროვნულ ვალუტაზე. საბოლოო ჯამში ქვეყანაში დაბალია ფულზე მოთხოვნა, რაც განაპირობებს კიდეც მის ადეკვატურ მიწოდებას. თუკი ეროვნული ბანკის მიერ ფულის მიწოდება მოთხოვნაზე მაღალი იქნება, ნომინალურ ფულად მასასთან ერთად გაიზრდება ფასებიც, ხოლო ფულის რეალური მიწოდება და აქედან გამომდინარე მონეტიზაციაც არ მოიმატებს.

როგორც გარდამავალი ქვეყნების გამოცდილება აჩვენებს, მონეტიზაცია თანდათანობით, ნელი ტემპებით, ისიც მხოლოდ დაბალი ინფლაციის პირობებში იზრდება. სწორედ ასეთ ვითარებასთან გვაქვს საქმე საქართველოში. თუ მონეტიზაციის კოეფიციენტი 1996 წელს 5.5 იყო, 2003 წლის ბოლოს ის 11.3 პროცენტია. 2004 წლის პირველ ნახევარში კი უკვე 11.9 პროცენტს შეადგენს. თუკი ყველაფერ ამას დავუმატებთ საქართველოში არსებულ ნაღდი აშშ დოლარის მასას, რომლის მოცულობის მხოლოდ ექსპერტული შეფასება შეგვიძლია, მონეტიზაციის რეალური კოეფიციენტი გაცილებით მაღალი, 17-18 პროცენტის ფარგლებში იქნება.

**- რა დადებითი და უარყოფითი შედეგები შეიძლება მოჰყვეს ლარის გამყარებას?**

- პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს ლარის პოზიციების განმტკიცების გავლენა ფასების დინამიკაზე. კიდევ ერთხელ მსურს, ხაზი გავუსვა იმ გარემოებას, რომ ეს არის ყველაზე მნიშვნელოვანი ეფექტი, რაც კურსის აწევის შედეგად მივიღეთ. კურსი უცვლელი რომ ყოფილიყო, ან კიდევ უარესი, დაწეულიყო, დღეს საკმაოდ მძიმე სურათის მომსწრენი ვიქნებოდით - ფასები გაცილებით მაღალი იქნებოდა. ამ საკითხს ეროვნული ბანკი უდიდეს ყურადღებას უთმობდა, ვინაიდან, როგორც აღვნიშნეთ, მისი მთავარი მანდატი ქვეყანაში ფასების სტაბილურობის შენარჩუნებაა. ამიტომ ეროვნულმა ბანკმა დაუშვა ლარის გამყარება დღეისათვის არსებულ ნიშნულამდე, რათა გაენეიტრალებინა ეკონომიკის ლეგალიზაციის შედეგად ფასებზე აწევის მიმართულებით მოქმედი ფაქტორების ზეგავლენა და არ დაეშვა ფულის მასის გადაჭარბებული ექსპანსია.

იმავდროულად, ეროვნული ბანკი ზრუნავს ქვეყნის რეალური სექტორის მდგომარეობაზეც. ამისათვის იგი, სხვა ცენტრალური ბანკების მსგავსად, აკვირდება ლარის რეალური კურსის დინამიკას. რეალური კურსი ნომინალურისაგან განსხვავდება იმით, რომ ის ასახავს არა ამა თუ იმ ვალუტის შეფარდებას მეორესთან, არამედ მის მსყიდველობით უნარს ქვეყნის ფარგლებს გარეთ. ის გამოითვლება ნომინალური კურსის გამრავლებით საქართველოში და მის სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებში ინფლაციის დონეთა შეფარდებაზე. ივლისის მდგომარეობით რეალური კურსი ახლოსაა 2003 წლის იანვრის დონესთან. ანუ ქართული პროდუქციის კონკურენტუნარიანობა ისეთივეა, როგორც წელიწადნახევრის წინ. თუმცა, არ მახსოვს მაშინ იმ პიროვნებების უკმაყოფილება, რომლებიც დღეს რეალური სექტორის დალუპვაზე საუბრობენ. სხვათა შორის, ეკონომიკური განვითარების სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის ოფიციალური მონაცემებით, მიმდინარე წლის პირველ ნახევარში მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდამ 9.4 პროცენტი შეადგინა. მათ შორის საქმიანი აქტივობის მატება დაფიქსირდა თითქმის ყველა დარგში. გამონაკლისს სოფლის მეურნეობა წარმოადგენდა, სადაც არახელსაყრელი ბუნებრივ-კლიმატური პირობების გამო პროდუქციის გამოშვება შემცირდა, რაც აისახა კიდეც ფასებზე. ასე რომ, სტაგნაციისაგან საქართველო ჯერჯერობით შორსაა.

დავუბრუნდეთ კურსის ზრდის შედეგებს. არსებულ რისკებთან ერთად, მნიშვნელოვანია მყარი ვალუტის უპირატესობების გათვითცნობიერებაც. გავიმეორებ, რომ, პირველ რიგში, ეს ნიშნავს სტაბილურ შემოსავლებს სოციალურად ნაკლებად დაცული ფენებისათვის, რომელთა შემოსავლების ძირითად წყაროს ბიუჯეტიდან მიღებული თანხები წარმოადგენს. მათთვის როგორც ლარის კურსის ვარდნა, ასევე უფრო მეტად ამით გამოწვეული ინფლაცია, მატერიალური მდგომარეობის მკვეთრ გაუარესებას ნიშნავს. ამით ისინი დაკარგავენ იმ ნამატსაც, რომელსაც გაზრდილი პენსიების და ხელფასების სახით იღებენ.

არ დაგვავიწყდეს, რომ მყარი ვალუტა ხელსაყრელია ქვეყნისათვის, რომელსაც საგარეო ვალების მძიმე ტვირთი აწევს. მართალია, ამით მცირდება უცხოეთიდან მიღებული ფინანსური დახმარებების ღირებულება ლარებში, მაგრამ საქართველოსათვის საგარეო ვალი გაცილებით აღემატება ამ თანხებს, რაც იმას ნიშნავს, რომ ჩვენი საგარეო ვალები კურსის ცვლილების პროპორციულად მცირდება, ანუ სახელმწიფო ბიუჯეტს ნაკლები თანხების გახარჯვა მოუწევს მათ დაფარვაზე.

მყარი და იმავდროულად სტაბილური ვალუტა მეტ ნდობას აღძრავს ინვესტორებში და ამცირებს სავალუტო რისკებს, რაც მთლიანობაში საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესებას უწყობს ხელს. კურსის ზრდა უკვე გახდა კიდეც ფულადი ბაზრის ინსტრუმენტებზე, მათ შორის სახაზინო ვალდებულებებზე საპროცენტო განაკვეთების კლების ერთ-ერთი ფაქტორი. მიუხედავად ამ ფასიანი ქაღალდების ვადიანობის ზრდისა, ერთ წლამდე მათი შემოსავლიანობა 15 პროცენტამდე შემცირდა. ასეთივე სიტუაციაა ბანკთაშორის საკრედიტო რესურსების ბაზარზე. ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, განაკვეთების შემცირებაზე აკეთებენ აქცენტს კომერციული ბანკებიც. თუმცა, ჯერჯერობით საერთო საკრედიტო აქტივობა დაბალია, ანუ ახალი კრედიტების გაცემა ინტენსიურად არ ხდება. სავარაუდოდ, ახალი საგადასახადო კოდექსის დამტკიცებით ბიზნესგარემო მიიღებს იმ მნიშვნელოვან ინფორმაციას, რომელზე დაყრდნობითაც დაგეგმავს საკუთარ საქმიანობას. შედეგად გაიზრდება მოთხოვნა კრედიტზე და ბანკებიც უკეთესად გათვლიან საკუთარ რისკებს.

ლარის მიმართ ნდობის მატებისა და მისი გამოყენების არეალის გაფართოების ფონზე, 86-დან 81 პროცენტამდე შემცირებულია დეპოზიტების დოლარიზაციის მაჩვენებელიც. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დანაზოგის ფუნქციას ლარი ჯერჯერობით მაინც ვერ ასრულებს. ვადიანი დეპოზიტები ისევ მთლიანად უცხოური ვალუტითაა წარმოდგენილი, ხოლო ლარებით დეპოზიტების ზრდა მხოლოდ მიმდინარე ანგარიშებს შეეხო.

ამდენად, სტრატეგიული თვალსაზრისით, მყარი ვალუტა ქვეყნისათვის სერიოზული უპირატესობის მომტანია. თუმცა, ეროვნული ბანკი არ ივიწყებს იმ რისკებსაც, რომლებიც კურსიც ცვლილებას ახლავს თან. ამიტომ ის მომავალშიც განაგრძობს ისეთი პოლიტიკის გატარებას, რომელიც მიმდინარე რეფორმების ხელშეწყობის კონტექსტში, ჩვენი ეკონომიკის ტრანსფორმაციის პროცესის, როგორც ფინანსური სისტემისათვის, ისე მოსახლეობის ფართო ფენებისათვის მაქსიმალურად სტაბილურად და უმტკივნეულოდ წარმართვას უზრუნველყოფს.



იური ლობოდინის ფოტო

*პოზიტიური კუთხით ბევრი რამ შეიცვალა: მკვეთრად გაუმჯობესდა ფისკალური სექტორის მუშაობა, სრულყოფილად ხდება ბიუჯეტის ხარჯების დაფინანსება, დაიწყო ძველი დავალიანებების დაფარვა. ეს პოზიტიური ტენდენციები, სავარაუდოდ, მომავალში კიდევ უფრო ინტენსიური გახდება.*

# რაზე საუბრობენ დიდი ბარიტონები

## ლადო ათანელი კვლავ თბილისშია

მადი სერებრიაკოვა

გუშინ გამოჩენილ ქართველ მომღერალს ლადო ათანელს შევხვდი და საუბარიც იმით დაიწყო, თუ რა მოხდა განსაკუთრებული "24 საათში" ბარიტონის შარშანდელი სტუმრობის შემდეგ. როგორც გაირკვა, ბევრი რამ - გარდა იმისა, რასაც დასავლური პრესით ვადევნებდით თვალყურს. ერთ-ერთი პირველი და, როგორც ჩანს, მომღერლისთვის მნიშვნელოვანი ახალი ამბავი ტრიესტში "ტოსკას" პრემიერა იყო. პრემიერები და "ტოსკას" სპექტაკლები ათანელს სულაც არ გაჰკვირვებია. მთავარი აქ ის იყო, რომ მას ლეგენდარული პიერო კაპუჩილი ესწრებოდა და სპექტაკლის შემდეგ ათანელი მას შეხვდა და ესაუბრა კიდეც. **"ქართველი ბარიტონის მიმართ არავითარი შენიშვნა არ მაქვს** - თქვა კაპუჩილიმ - **ის ნამდვილი იტალიური სკოლით მღერის."**

ეს, რა თქმა უნდა, მხოლოდ ლირიკაა იმასთან შედარებით, თუ რა მნიშვნელოვანი პროექტებით იყო დაკავებული ქართველი ბარიტონი ბოლო თვეების მანძილზე. "ტრუბადურის" პრემიერა ბასტილიის თეატრში, "ჯამბაზების" პრემიერა კოვენტ-გარდენში, "ნაბუქო" ჰამბურგში, "გოგონა დასავლეთიდან" (ასევე პრემიერა) დოიჩე ოპერაში, საქველმოქმედო კონცერტების სერია ბუდაპეშტში - ეს მხოლოდ მცირე ჩამონათვალია იმ პროექტებისა, რაც მომღერალმა ბოლო დროს განახორციელა. მის პარტნიორებად კი ისეთი ცნობილი პიროვნებები გვევლინებიან, როგორიც პლასიდო დომინგო, ფრანკო ძეფირელი, დიმიტრი ხვოროსტოვსკი, ანჯელა გეორგიუ, რობერტო ალანია და სხვები არიან.

**"კაპუჩილის შემდეგ ასეთი ხმა არ მომისმენია"** - აღნიშნა ათანელის მოსმენის შემდეგ პლასიდო დომინგომ, რომელიც ბოლო წლების მანძილზე ძალიან ხშირად იწვევს მას საკუთარ პროექტებში. ქართველ ბარიტონს მართლაც ხშირად ადარებენ კაპუჩილისა თუ ბრუზონის. ამ თემებზე თავად ბარიტონთან ვისაუბრეთ:

**- დამწყები მომღერლისთვის ძალიან საპატიოა, როცა დიდ ვარსკვლავს ადარებენ, მაგრამ თქვენ უკვე საკმაოდ დიდ წარმატებას მიაღწიეთ დასავლეთში. უხერხულობას ხომ არ გრძნობთ, როდესაც კვლავ სხვა მომღერლებს გადარებენ?**

**ლადო ათანელი:** ამაში ცუდს ვერაფერს ვხედავ. ეს არ ნიშნავს, რომ მე ვინმეს ვბაძავ. უბრალოდ, ამბობენ, რომ ვაგრძელებ ამ დიდი მომღერლების გზას. ეს კი პირიქით, კომპლიმენტია.

**- თქვენ თავად ვინ მიგაჩნიათ სამაგალითოდ ბარიტონებს შორის?**

- კაპუჩილი, რენატო ბრუზონი და ჯუზეპე ტადეი. კაპუჩილი ფანტასტიკურია თავისი სიმსუბუქით, სილამაზით, პოზიციით, ბგერის ემისიით. ბრუზონი გენიალურია ფრაზირებით, მარგალიტებივით ჩასმულია ყოველი ნოტი. ტადეი კი სამაგალითოა ტემბრით, ნამდვილი ვაჟკაცური, საუკეთესო მნიშვნელობით - ცხოველური ტემპერამენტით, დიდი გულით. მე კი არ მინდა დავემსგავსო რომელიმე მათგანს, არამედ ვცდილობ ავიღო, ვისწავლო საუკეთესო მათგან. წლების მანძილზე კი ჩემი საკუთარი სტილი ყალიბდება.

**- ამ ბოლო დროს საქართველოში სულ უფრო ხშირად ჩამოდიან უცხოეთში მოღვაწე ქართველი მუსიკოსები, ზოგიერთები აქ დამკვიდრებაზე ხალისით საუბრობენ. თქვენ თუ გაქვთ გეგმები საქართველოსთან დაკავშირებით?**

- გეგმები ბევრია, მაგრამ მათ საქართველოს მხარდაჭერა და ინიციატივაც სჭირდება. მომავალ წელს 10 წელი სრულდება რაც მსოფლიოს სცენებზე ვმღერი. ეს თარიღი მინდა თბილისში აღვნიშნო სოლოკონცერტით, ან რაიმე სპექტაკლით.

**- რა სპექტაკლს ისურვებდით თბილისში რომ შეგესრულებინათ?**

- "ნაბუქო", "სიმონ ბოკანეგრა", "აიდა", "მაკბეტი" - რა თქმა უნდა, თუ ნორმალური დადგმა იქნება.

**- თავის დროზე "მაკბეტის" თბილისური პრემიერა სწორედ თქვენთვის მზადდებოდა. საბოლოოდ, მხოლოდ საკონცერტო ვერსია შეასრულეთ ირმა ბერძენიშვილთან და თბილისის სიმფონიურ ორკესტრთან ერთად. დღემდე, ამის მიზეზად თქვენს მოუცლელობას ასახელებდნენ...**

- მე მართლაც ვაპირებდი პრემიერის შესრულებას, მაგრამ საოპერო თეატრის მაშინდელმა ხელმძღვანელობამ არ გაითვალისწინა ჩემი თხოვნა და ხედვა ამ სპექტაკლისა. მე პატივს ვცემ რეჟისორ მელივას და თეატრის მაშინდელ ხელმძღვანელობას, თავის დროზე მათ ბევრი გააკეთეს ჩემთვის, მაგრამ ამ საკითხში ჩვენი შეხედულებები არ დაემთხვა. მე არ მომწონს ეს დადგმა და, მგონი, სწორედ ამ სპექტაკლით გაიფუჭა საკუთარი საქმე თეატრის მაშინდელმა ხელმძღვანელობამ. თუ ჩვენს თეატრში "მაკბეტი" კარგად დაიდგმება, მე დიდი სიამოვნებით ვიმღერებ აქ.

**- დასავლეთში რამდენად ხშირად გაქვთ პრეტენზია სადადგმო მხარესთან?**

- რამდენჯერმე მომიწია ისეთ დადგმაში მონაწილეობის მიღება, როგორიც არ მომწონს. ახლა კი ყოველთვის წინასწარ ვეცნობი დადგმის კონცეპციას და მხოლოდ ამის შემდეგ ვაწერ კონტრაქტს ხელს.

**- რას ეძახით ცუდ დადგმას - თანამედროვე საკმაოდ ვულგარულ რეჟისურას?**

- რა თქმა უნდა, ვულგარულმა, სექსუალური სცენებით სავსე დადგმებმა წალეკა თეატრები. ეს იმის ბრალია, რომ ოპერაში დრამიდან მოსული უნიჭო რეჟისორები დამკვიდრდნენ ჰომოსექსუალისტური კლანის მეშვეობით. ისინი ვერ უწევენ კონკურენციას ძველ, დიდ რეჟისორებს, რომლებმაც კლასიკურ სტილში განახორციელეს სპექტაკლები. ამიტომაც ცდილობენ ყურადღება ვულგარული სცენებით მიიქციონ.

**- რატომ მოიპოვეს მათ ასეთი პოპულარობა, მსმენელი კმაყოფილია ასეთი დადგმებით?**

- ერთმა რეჟისორმა მითხრა ადრე, რომ ამ დადგმებით მათ ახალგაზრდობა მოიზიდეს თეატრში. ახალგაზრდა, რომელიც თეატრში შიშველი ქალებისა და კაცების სანახავად მოდის, სჯობს, ბორდელში წავიდეს. ეს საშინელებაა, როცა თეატრში მოსულ ადამიანს, ხშირად ბავშვებს, აიძულებენ მთელი სპექტაკლი, უკაცრავად და, სასქესო ორგანოებს აყურებინონ. "ტრავიატა" ერთ-ერთმა რეჟისორმა ისე დადგა, რომ ვიოლეტა ლესბოსელად გამოიყვანა, რომელიც სპექტაკლის ბოლოს კი არ კვდება, არამედ ანინასთან ერთად გაიქცევა. ასეთი რამ ვერდის არ დაუწერია და ეს, უბრალოდ, ამ მუსიკის შეურაცხყოფაა.

**- დირიჟორებთან თუ გამოთქვამთ საკუთარ სურვილებს და რამდენად ითვალისწინებენ ისინი თქვენს ხედვას?**

- გააჩნია დირიჟორს. კარგი დირიჟორები ყოველთვის ითვალისწინებენ მომღერლის სურვილებს, ნიუანსებს, კომპრომისებზე მივდივართ. ზოგჯერ არიან ნაკლებად ცნობილი დირიჟორები, რომლებიც თავის დამკვიდრებას ცდილობენ და საკუთარ აზრს ახვევენ ყველას თავზე. ასეთ დროს, ბოლომდე პრინციპული ვარ ხოლმე. ბოლოს და ბოლოს, მე მხოლოდ იმას ვითხოვ, რაც ნოტებში წერია.

**- რამდენად იცნობთ სიტუაციას თბილისის ოპერაში? ხომ არ ყოფილა რაიმე შემოთავაზება ახალი ხელმძღვანელობის მხრიდან?**

- ჯერჯერობით მათთან კონტაქტი არ მქონია. ვიცნობ ზაზა აზმაიფარაშვილს და ვიცი, რომ კარგი მუსიკოსი და ორგანიზატორია. ისიც ვიცი, რომ არავითარ კომპრომისზე არ წავა მუსიკის მხრივ. ეს მთავარია და იმედი მაქვს ოპერაში ბევრად გაუმჯობესდება მდგომარეობა.

**- ძალიან ძნელი იქნება რაიმეს შეცვლა თუნდაც იმ მიზეზით, რომ ყველა პერსპექტიული ახალგაზრდა დასავლეთისკენ ისწრაფვის..**

- ეს გასაგებია. როცა მომღერალს არც ხელფასი აქვს, არც ცხოვრების პირობები და არც სამღერი, რადგან არ იდგმება სპექტაკლები, ბუნებრივია, იგი ცდილობს წავიდეს დასავლეთში და დარწმუნდეს და სხვასაც აჩვენოს საკუთარი შესაძლებლობები. მომღერალი სცენაზე უნდა გაიზარდოს. ამისთვის თეატრმა უნდა შექმნას შესაბამისი რეპერტუარი. რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი ფინანსებამდე დადის, მაგრამ, რას ვიზამთ.

**- რას გეგმავთ უახლოეს მომავალში?**

- "ანდრე შენიე" ვენის შტაატსოპერაში, "აიდა" ლოს ანჯელესში, "სიმონ ბოკანეგრა" (როლის დებიუტი) სან-დიეგოში, "სიცილიური მწუხრი" ვაშინგტონში, "ტრავიატა" ბერლინში...

**- ქართველმა მომღერლებმა საკმაოდ მოიკიდეს ფეხი ევროპაში, მაგრამ ამერიკაში შედარებით იშვიათად გამოდიან, თქვენ ამ მხრივ გამონაკლისი ხართ, რასთან არის ეს დაკავშირებული?**

- ამერიკა დიდი ქვეყანაა, დიდ ფინანსებს ფლობს. საკუთარი მომღერლებიც ბევრი ჰყავთ. ამერიკაში იწვევენ მხოლოდ საუკეთესო მომღერლებს ევროპიდან.

**- დასავლეთში როგორ ახერხებენ პატარა თეატრები არსებობას?**

- ნაწილობრივ სახელმწიფო დოტაციაზე არიან, რაც მთავარია, ჰყავთ სპონსორები. საქართველოშიც შეიძლება უცხოელი ინვესტორების მოზიდვა, გაცვლითი სპექტაკლების გაკეთება, მაგრამ ამისთვის კარგი პროდუქცია, ხარისხიანი სპექტაკლები უნდა შესთავაზო. თბილისის ოპერა ვერ იარსებებს თუ ახალ, კარგ სპექტაკლებს არ შექმნის. ახალმა ხელმძღვანელობამ ეს, ალაბათ, კარგად იცის და იმედია, მალე შედეგიც იქნება.







*ლადო ათანელი ვერდის ოპერაში "ნაბუკო" და ცხოვრებაში.*

# ამბივალენტური კრებულის მოკრძალებული ხიბლი

თათა ცოფურაშვილი

მოთხრობა მოთხრობაა. პროზაული ნაწარმოების ერთ-ერთი ფორმა, რომელიც სწორედ თხრობისთვისაა მოწოდებული, კერძოდ კი საჯარო თხრობისთვის. მისი მთავარი მახასიათებელი კი ისაა, რომ მოთხრობაში გამოგონილი სჭარბობს რეალურს.

ამისგან გასნხვავებით, დღიური უფრო პირადულია, ინტიმური და იგი უშუალოდ რეალური ფაქტების აღწერასთანაა კავშირში. მოკლედ, ერთიც და მეორეც თხრობაა, მხოლოდ ერთი მთლად მეზღაპრესი თუ არა, უდავოდ გამომგონებლის მაინც; მეორე კი ჟამთა და კერძოდ, საკუთარი ცხოვრების ჟამთა აღმწერლის.

მაშ ასე, მოთხრობა და დღიური - ორი მთხრობელობითი პოზიციაა. მაგრამ როგორი ან რანაირი იქნებოდა მათი სინთეზი? შეიძლება ითქვას, რომ ასეთი ექსპერიმენტია დავით ქართველიშვილის წიგნი "დღიურები მირანდასთვის", რომელიც ლამის უკვე ერთი წელია, რაც დღის სინათლეს მოევლინა. ეს არ არის დავით ქართველიშვილის პირველი წიგნი. ასე რომ ყოფილიყო, ალბათ არც შევაჩერებდით მასზე ყურადღებას. არა იმიტომ, რომ პირველი წიგნი განსახილველად არ ღირს, არამედ რადგან ეს თავად დავითის პოზიციაა: მის პირველ წიგნს ხომ წინ უძღვის ფართო ახსნა-განმარტება იმის შესახებ, რომ იგი მხოლოდ და მხოლოდ ავტორის საკუთრებაა და არა მკითხველისა.

დასაწყისისთვის უნდა ითქვას, რომ შეიძლება მცირე სინდისის ქენჯნაც დაგეწყოთ მოთხრობათა ამ კრებულის გადაშლისთანავე - დღიური ხომ პირადული, ზედმეტად პირადულიცაა. და თუ ის მხოლოდ და მხოლოდ მირანდასთვისაა განკუთვნილი წასაკითხად, მაშინ მაღაზიაში ამ წიგნის შეძენისას გაჩენილ თქვენს ცნობისმოყვარეობას, არ არის გამორიცხული, ერთგვარი დანაშაულის გრძნობაც მიემატოს. მოკლედ, იხდით წიგნის საფასურს 7 ლარს და წიგნთან ერთად სხვის დღიურებში ქექვის თანამდევ სინდისის, ქენჯნასაც ყიდულობთ (ალბათ ასეთი მრავალმხრივი შენაძენისთვის დააწესეს ავტორმა და გამომცემელმა არც თუ დიდი ფორმატის კრებულისთვის ეს შთამბეჭდავი თანხა). ასე და ამგვარად, ამ ამბივალენტური სათაურითა და ამბივალენტური მოტივაციით ავტორი მკითხველში ამბივალენტურ გრძნობასაც იწვევს და ამით არც თუ ურიგო ფსიქოლოგიურ ალღოსაც ამჟღავნებს. თუმცა, ავტორის ფსიქოლოგიურ ალღოში დარწმუნებული მკითხველი მცირედი იმედგაცრუებისა თუ არა, რბილად რომ ვთქვათ, რიგი მოულოდნელობათათვის მაინც უნდა შეემზადოს.

ფსიქოლოგიის სიკოჭლის გამოხატულებად მოგეჩვენებათ "სენტიმენტალური მოთხრობა ძველებურ ყაიდაზე", სადაც შვილგარდაცვლილი მშობლები სასაფლაოზე ბალახის გამკრეჭ მაწანწალა ბავშვს იშვილებენ. თუმცა, განსხვავებით სხვა თანამედროვე ქართველი სენტიმენტალისტებისგან დავით ქართველიშვილი თვითკრიტიკულია, სხვებს ასწრებს და მთელი ამ ისტორიის ამსახველ მოთხრობას სენტიმენტალურს არქმევს სახელად.

იგივე შეიძლება ითქვას კრებულში ყველაზე დიდი მოცულობის მქონე მირანდა ფალავანდიშვილისადმი მიძღვნილ მოთხრობაზეც, სადაც მთავარ მომქმედ პერსონაჟებად დიდი ფანტაზიის დახარჯვის გარეშე თავად ავტორი და მირანდა გვევლინებიან. მაგრამ ეს ხომ დღიურებია! დღიურებს კი მხოლოდ აღწერა და არა გამომგონებლობა აკისრიათ. "აქ კარგია გულუბრყვილო პროზა" მოგვითხრობს თუ საეკლესიო წირვა-ლოცვაზე გაგრძელებული პირველი პაემანისას საკმევლის სურნელით გაბრუებული ავტორის პროტოტიპის (ისიც წერს, მის ნაწერებს კი სულ ვილაცისას ადრიან) ცნობიერების ნაკადში როგორ ილვიძებს მოგონებები, რომელთა აპოთეოზია უფროსი მეგობრის ბატონი გიორგის მიერ მთხრობელის თვალწინ მატარებლის ლიანდაგებზე განხორციელებული თვითმკვლელობა და ბატონი გიორგის რელსებზე გადაჭრილი ფეხების გამო მთხრობელის პოლიციაში მოხვედრა.

თქვენ იტყოდით, ეს ხომ უკვე კიჩურიაო. მაგრამ სათაურიც ხომ გულუბრყვილო პროზაა. გულუბრყვილობას კი ყველაფერი ეპატიება (აი, ავტორისეული ფსიქოლოგიური ალღოს მორიგი გამოძახილი). მოკლედ, დავით ქართველიშვილი თავისი პროტოტიპებისა და თავისი მოთხრობებისადმიც ირონიულია. ირონია გარკვეულ დისტანციას ქმნის ავტორსა და ნაწარმოებს შორის. თუმცა, ამ ეტაპზე ეს დისტანციურობა ძირითადად მხოლოდ ავტორის მიერ მოთხრობებისთვის შერჩეულ სათაურებში ვლინდება. თვითირონია და, მით უმეტეს, საკუთარ ნაწერზე ირონია კი ნამდვილად უცხო ხილია ჩვენს თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში.

მოთხრობაში "შეჯამება" შეიძლება ითქვას, რომ მწერალი ერთდროულად სამ ჰიპოსტაზში წარმოგვიდგენს საკუთარ თავს. სამი მოქმედი პირიდან ყველა დავითია - ავადმყოფის საზიარებლად მოსული მამაოც, მისთვის გზის მაჩვენებელი ბავშვიც და თავად ავადმყოფიც. მოკლედ, ამ დამთხვევებით თუ საკუთარი სახელის გზით პერსონაჟებთან იდენტიფიკაციებით, კერძოდ კი მღვდელთან - სულთა განმწმედთან, ბავშვთან - სიმართლის მთქმელთან თუ გზის მაჩვენებელ სიწმინდესთან და განსაკურნებელთან, ავტორი ერთ თავსატეხს გვთავაზობს: არის ეს გადაკვრითი მინიშნება მის სულიერ მისიონერობაზე თუ უკვე ცნობილი პიროვნების გაორების ნაცვლად საკრალური გასამების შემოთავაზება?

ასე და ამგვარად, დავითი წერს და სხვადასხვა სიტუაციებში წარმოგვიდგენს საკუთარ თავს, ხშირ შემთხვევაში, მისი უსახელო პერსონაჟის, უბრალოდ, ბიჭის სახით. იგი არა მხოლოდ წერს, არამედ საკუთარი თავის, როგორც ინტელექტუალის მარკირებასაც კი ახდენს: "აქ კარგია გულუბრყვილო პროზაში" ძველი ბიჭი გოგა, არც მეტი არც ნაკლები, დეკარტეს პერიფრაზირებს და მისეულ "ვაზროვნებ, ესე იგი ვარსებობ"-ს შემდეგნაირი ვარიაციით იმეორებს: "ვისვრი, ესე იგი ვარსებობ"; ქალებზე მსჯელობისას კი ავტორი კირკეგორის ცნებებს არ იშურებს და ასკვნის: "ქალები ან-ან" არიან". თუმცა, როგორც "ბიჭს", ისე ავტორს ავიწყდება, რომ "ან-ან", როგორც არჩევანის თანამდევი მენტალური მდგომარეობა, კირკეგორისთვის არა მარტო ქალების, არამედ ზოგადად ადამიანის ექსისტენციალური არსის გამომხატველია. ზემოთ ხსენებულ "შეჯამებაში" კი ავადმყოფის მთელი მსჯელობაა წარმოდგენილი ახალი დროების დედაშვილობის, ანუ თაობათა ახლებური მიმართების აუცილებლობის შესახებ და ამ საკითხისადმი მიძღვნილი შესაძლო ესსე "პოსტმოდერნულ **ესქატოიქალოგიაზე**". სიტყვა **ესქატოლოგიის** ანუ მოძღვრების სამყაროს დასასრულის შესახებ ასეთი სახეცვლილება ან დამკაბადონებლის ფანტაზიის შედეგია (ასეთი ფანტაზიის შედეგები - გამოტოვებული თანხმოვნები თუ ხმოვნები - უხვადაა კრებულში), ან მწერლისეული ვარიაციაა თემაზე - ძველი სიტყვები ახალი ჟღერადობით. თუმცა, ეს მხოლოდ უცხო სიტყვათა ლექსიკონში ამოკითხული ტერმინებისადმი არ ითქმის. დავით ქართველიშვილი ახლებურად აჟღერებს მრავალტანჯულ ქართულ სიტყვებს: "რამეს **ეპირდებოდნენ"** ნაცვლად "რამეს **ჰპირდებოდნენ**", "**უყოფაქცეობის** დროს" ნაცვლად "**ცუდი ყოფაქცევის** დროს", "სიგარეტს **დაფერფლავს**", ნაცვლად "სიგარეტს **დააფერფლებს**", "**უთვალავვარსკვლავა** ღამე" ნაცვლად "**უთვალავვარსკვლავიანი** ღამისა", "ქუჩაში მიდიოდნენ **ღამიან**" ნაცვლად "ქუჩაში მიდიოდნენ **ღამით**", "**თვალებჩახუჭული**" ნაცვლად "**თვალებდახუჭულისა**", "**იძულები** ხდები" ნაცვლად "**იძლებული** ხდებისა".... მოკლედ, ვინ დათვალოს ზღვაში ქვიშა და ამ კრებულში ავტორისა თუ რედაქტორის წყალობით მოხვედრილი ძველი სიტყვების ახლებური მარტვილობანი.

თუმცა, ინტელექტუალობა არ არის ერთადერთი მარკირების ნიშანი, რომლითაც ავტორი გვაცნობს თავს. იგი საკუთარი თავის მარკირებას ინტელექტუალებს მეგობრადაც ახდენს. პრინციპში, ამას ეძღვნება სწორედ "ორმთავარკაციანი მოთხრობა", რომელიც შოთა იათაშვილისა და ავტორის ვოიაჟებზე მოგვითხრობს. თუმცა, სიტყვა "მოგვითხრობს" მთლად კორექტული არ იქნებოდა ამ კონტექსტში, რადგან როგორც ავტორი დასაწყისში აცხადებს, ეს არის შინაარსს მოკლებული ნაწერი და შინაარსის მაძიებელთ იმთავითვე შეუძლიათ სხვა გასართობ რამეს მოჰკიდონ ხელიო. ამასთან შოთა იათაშვილი არ არის ერთადერთი, ვინც ამ მოთხრობაში ფიგურირებს: გურამ დოჩანაშვილით დაწყებული ბესო ხვედელიძით, ლაშა ბუღაძითა თუ მალხაზ ხარბედიათი დამთავრებული აქ ბევრს შეხვდებით. მოკლედ, მარკერი უდავოდ შთამბეჭდავია, მაგრამ ავტორის ენისთვის დიდი ხეირი არ მოუტანია.

ზოგადად, დავით ქართველიშვილის წერის მანერას რაც შეეხება, იგი ძველი საბერძნეთის ლაკონიკის ოლქის მოსახლეობასაც კი შეშურდებოდა. თუ თავის დროზე ჰემინგუეიმ საგაზეთო რეპორტაჟული წერის მანერით გაითქვა სახელი, დავით ქართველიშვილის ხელწერას უფრო SMS-ური ეთქმის. ყველა ეპოქას თავისი ნოვაცია აქვს და ყველა ეპოქის ნაწერსაც თავისი ახალი დაღი. თუმცა, ამ ლაკონიზმს შიგადაშიგ მეცხრამეტე საუკუნის აღსაწერად გამიზნული არათუ მეცხრამეტე, არამედ შუა საუკუნეების ქართული ენაცვლება ("ეპილოგიანი მოთხრობა", "ორმთავარკაციანი მოთხრობის" დასაწყისი) და, შეიძლება ითქვას, რომ ეს სინთეზური ექსპერიმენტი, ისევე როგორც მოთხრობა-დღიურისა, მიღწეულია.

თუმცა, დავით ქართველიშვილის ნაწერს აქვს ისიც, რასაც ვერ დავუკარგავთ. კერძოდ, კი ლიტერატურული ფორმით აზროვნების მცდელობა, რაც უდავოდ დიდი ეგზოტიკაა ჩვენი პროზის ფურცლებზე და მას ისიც ესმის, რომ "გაწყალდა ლიტერატურა სნობი ქალაქელების მთაგორიანი ნაწარმოებებით".

მთავარი სწორი პლატფორმა და სათქმელია, დანარჩენი კი - პრაქტიკისა და დროის საქმე. დასაწყისისთვის კი აღნიშნულ კრებულში ერთიც სახეზეა და მეორეც.




*მოთხრობა და დღიური - ორი მთხრობელობითი პოზიციაა. მაგრამ როგორი ან რანაირი იქნებოდა მათი სინთეზი? შეიძლება ითქვას, რომ ასეთი ექსპერიმენტია დავით ქართველიშვილის წიგნი "დღიურები მირანდასთვის".*

# როგორ ვიყავი ბანკირებთან

მელორ სტურუა
საქ. კორ. აშშ






(მარცხნივ) ფულების საქაჩი ნავთობმანქანა. (მარჯვნივ) არმან ჰამერი.

"იზვესტიაში" მენავთობეთა ხელფასების შესახებ სტატია წავიკითხე და მოგონებები შემომაწვა. სტატიაში ნათქვამი იყო, რომ 2003 წელს ნავთობკომპანიების ხელმძღვანელთა შემოსავლები 20 პროცენტით გაიზარდა და სხვა სფეროების ტოპ-მენეჯერთა შემოსავალს მნიშვნელოვანწილად გაასწრო. ნავთობით ჯიბეგასქელებულთა სიის სათავეში აღმოჩნდა კომპანია Occidental-ის ხელმძღვანელი რეი ირაპი, რომელმაც 38,9 მილიონი დოლარი იშოვნა, რაც, ცხადია, შთამბეჭდავი თანხაა.

სხვა ნავთობკომპანიებისგან განსხვავებით, რომელთა ხელმძღვანელობაც დონჟუანთა ქალებივით და ხელთათმანებივით იცვლება ხოლმე, Occidental-ს მთელი თავისი ისტორიის განმავლობაში მხოლოდ ორი შეფი ჰყავდა: ფირმის დამაარსებელი, ლეგენდარული არმან ჰამერი და მისი მემკვიდრე, დღევანდელი მეთაური რეი ირანი. ეს ორი კაცი, თუ არ ვცდები, ორმოცი წლის წინათ გავიცანი და პირველის "შვილობილიც" კი გავხდი იმის მერე, რაც მისი მემუარების, "რომანოვების საგანძურის" საბჭოთა კავშირში, რუსულ ენაზე გამოცემას შევუწყე ხელი. საქმე ისაა, რომ ჰამერს აკვიატებული იდეა ჰქონდა, უნდოდა, რომ პირველი ამერიკელი მაგნატი გამხდარიყო, რომლის ავტობიოგრაფიაც გამარჯვებული სოციალიზმის დახლებზე გაიყიდებოდა. მაგრამ ეს უაზრობა ჰამერმაც კი ვერ განახორციელა, რადგან მის წიგნში ხშირ-ხშირად იყვნენ ნახსენები ტროცკი, ზინოვიევი და სხვა "ჯაშუშები", "ხალხის მტრები" და "იმპერიალიზმის სისხლიანი ძაღლებიც" კი.

ერთხელ ჰამერმა დაიჩივლა, რომ მისი წიგნი რამდენიმე წელი პოლიტიკურ მეცნიერებათა აკადემიაში გაუნძრევლად იდო. დოქტორი დაინტერესდა, ნუთუ ამ სიზიფეს შრომას ბოლო ვერ მოეღებაო. წიგნი ერთხელაც გადავფურცლე და ვუთხარი, რომ მოეღება, თუ განუსაზღვრელ სარედაქტორო უფლებებს მიბოძებს. დოქტორი სიხარულით დამთანხმდა, დაახლოებით ასე მითხრა: მიდი, რაც გინდა, ის უქენი, გინდა დაჭერი, გინდა დაკუწე, ოღონდაც გამოქვეყნდესო. ალექსანდროვ-აგენტოვის, ბრეჟნევის საგარეო-პოლიტიკური მრჩევლის მეშვეობით თავად გენმდივანზე გავედი. იმან მომისმინა, თავისი უზენაესი თანხმობა განაცხადა, და მუშაობა გაჩაღდა. პირველ რიგში, "ხალხის მტრები" ამოვძირკვე, მერე თხრობა ბრეჟნევის "განვითარებული სოციალიზმის ხანამდე" მივიყვანე და ბოლოს მის სულიერ მამას შევასხი ხოტბა. პოლიტიკურ მეცნიერებათა აკადემიამ წიგნი უმალვე გამოსცა.

ჰამერთან ერთად ლოს ანჯელესის შემოგარენში, ბრენტვუდში, მის ვილაში ვმუშაობდი. "ოქსიდან" (Occidental-ის მოფერებითი სახელია) დაბრუნებული ჰამერი, ჩვეულებრივ, აუზში ცურავდა ხოლმე, მე კი აუზის პირას ვიჯექი და დოქტრის მოგონებებს ვისმენდი. გვიან ღამით მის მძღოლს, უზარმაზარ, შავკანიან მამაკაცს, რომელიც იმავდროულად მცველი და კამერდინერიც იყო, ბევერლი-ჰილზში, ჩემს სასტუმროში მივყავდი ხოლმე. ერთხელ გადავწყვიტე, მდუმარე გოლიათი ამელაპარაკებინა.

- აი, თქვენი ბოსი მილიარდერია, მეზობლად მდგომი ჰოლივუდის ვარსკვლავების ვილები კი მის ვილაზე ბევრად დიდია.

გოლიათს არ ეამა.

- დოქტორს თვალებში ნაცრის შეყრა არ სჩვევია, - მითხრა მან წყენით. - თუ მოუნდა, ყველა ამ მაიმუნის ვილებს იყიდის. მას კედლებზე ისეთი ნახატები უკიდია, თითოეულის ფასად კინოვარსკვლავების რამდენიმე ვილას შეიძენდა.

მდუმარე გოლიათი მართალი იყო...

ჰამერს ორი ვნება ჰქონდა: დიდი პოლიტიკა და ხელოვნების ნიმუშების კოლექციონირება. მას მეფეებთან, პრეზიდენტებთან და გენერალურ მდივნებთან ჰქონდა საქმე, მან "თავისი სახელობის" გიგანტური სახვითი ხელოვნების გალერეა შექმნა, Occidental-ის "შავი სამუშაო" კი თავის მარჯვენა ხელს, რეი ირანის გადააბარა, რომელიც მისთვის (ცხადია, თვისთვისაც) ნავთობს და დოლარებს ექაჩებოდა. დროთა განმავლობაში ისინი სიამის ტყუპებად იქცნენ, გარეგნულადაც კი, თუმცა ჰამერი ებრაელი იყო, ირანი კი, მგონი, ლივანელი (სემიტები, რა!). ჰამერს მემკვიდრემ არ გაუმართლა, და მისი გარდაცვალების შემდეგ "ოქსის" ირანი ჩაუდგა სათავეში.

ახლა კი მოგონებებიდან დოლარებზე გადავიდეთ. ჩემ მიერ წაკითხულ სტატიას ერთი ნაკლი აქვს. შავი ოქროს მფლობელებს უბრალოდ ოქროს მფლობელები სჯობნიან, ბანკირები. თუნდაც ნავთობის ჩემპიონის, რეი ირანისა და ბანკების ჩემპიონის, სენფორდ ვეილის ორთაბრძოლა წარმოვიდგინოთ. ეს უკანასკნელი სადღეისოდ მსოფლიოს უდიდესი საბანკო კონსორციუმის, Citigroup-ის მეთაურია. 2003 წელს ირანიმ 32,9 მილიონი დოლარი "წაიღო"... და ვეილიმ? მოდი, დავითვალოთ.

2003 წლის მხოლოდ ცხრა თვის განმავლობაში Citigroup-ის მეთაურმა, რომელსაც 71 წელი შეუსრულდა, ხელფასის სახით 30 მილიონი დოლარი მიიღო, ანუ, დღეში დაახლოებით 111 ათასი დოლარი! მაგრამ ეს ყველაფერი როდია. ვეილიმ თავისი ბანკის აქციების 2,5 მილიონი ოფცია ჩაიდო ჯიბეში, რომელთა ღირებულებაც 13,9 მილიონ დოლარს შეადგენდა. განვაგრძოთ. გასული წლის ოქტომბერში ვეილიმ Citigroup-ის აქციები (5,57 მილიონი) ყველაზე მაღალი კურსით, 262,4 მილიონ დოლარად გაყიდა. მან ამას "მინდობილობით" კიდევ 23 მილიონი დოლარის ოფციები მიუმატა და სამომავლოდ Citigroup-ის კიდევ 19,6 მილიონი აქცია შეინარჩუნა. ახლა კი შევაჯამოთ. გასული წლის ცხრა თვის განმავლობაში სენფორდ ვეილიმ 329,3 მილიონი დოლარი "წაიღო", Citigroup-ის "სათადარიგო" 19,6 მილიონი აქცია რომ არ ჩავთვალოთ. ცხადია, ამის გამო ჩემი ძველი ნაცნობი როი ირანი უსახლკარო არ ხდება, მაგრამ მაინც...

2003 წლის 10 ოქტომბერს ვეილიმ ბანკის ტოპმენეჯერობაზე უარი თქვა და "მხოლოდ" Citigroup-ის დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარის წოდება დაიტოვა. მისი შემოსავალი დაუმსახურებელი არ ყოფილა. კომპანიის ხელმძღვანელობის წლებში მან კომპანიის შემოსავალი 20 პროცენტით გაზარდა. ბანკის წარმომადგენელმა ბრძანა, რომ "მისტერ ვეილი ჩვენი კომპანიისთვის ფასდაუდებელ ღირებულებას წარმოადგენს". აბა, რა იქნება! ყოველი დოლარისთვის, რომელიც 1986 წელს შემდგომ Citigroup-ად ქცეულ Commercial Credit-ში დააბანდეს, მეანაბრეებმა 2003 წელს 29,28 დოლარი მიიღეს. ლამის 300 პროცენტი მოგება!

Citigroup-ის ტოპ-მენეჯერის თანამდებობაზე ვეილი ჩარლზ პრინცმა შეცვალა (პრინც ჩარლზში არ აგერიოთ!). 2003 წელს მან სავსებით უფლისწულური 25 მილიონი დოლარი მიიღო, ბანკის პრეზიდენტმა რობერტ ვილემსტედმა კი - 28,3 მილიონი. გარდა ამისა, კლინტონის ადმინისტრაციის ყოფილმა ფინანსთა მინისტრმა, კიდევ ერთმა რობერტმა, ოღონდ რუბინმა, რომელიც Citigroup-ის აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ბრძანდება, 2003 წელს 17 მილიონი დოლარი "წაიღო" (2002 წელს - 18,4 მილიონი). მაშასადამე, Citigroup-ის ოთხმა მუშკეტერმა 2003 წელს ერთად აღებული 403,8 მილიონი დოლარი "წაიღო"!

ვერც ერთი ნავთობკომპანიის ვერც ერთი ხელმძღვანელი ოთხეული ამ მსოფლიო რეკორდთან ახლოსაც ვერ მივა. მას ერთად აღებული ოთხი ნავთობის გიგანტიც კი ვერ შესწვდება! ირანი (Occidental) - 32,9 მილიონი, ლი რეიმონდი (Exxson Mobil) - 27,8 მილიონი, ჯიმ მულვა (Conoco Phillips) - 12,0 მილიონი, დეივ ო`რეილი (Chevron Texaco) - 10,8 მილიონი დოლარი. ერთად ისინი "მხოლოდ" 83,5 მილიონ დოლარს "ქაჩავენ".

გამონაკლისი არც Citigroup-ის მუშკეტერები არიან. ვეილის შემდგომ პოზიციაზე მყოფმა ჩარლზ კაულიმ, MBNA Corporation-ის (საკრედიტო ბარათები - მ.ს.) ხელმძღვანელმა, 2003 წელს 45 მილიონი დოლარი "წაიღო", ხოლო Merrill Lynch-ის მეთაურმა, სტენლი ო`ნილმა - 28 მილიონი. (შედარებისთვის: ნავთობის N2-მა - 27,8 მილიონი, N3-მა - 12 მილიონი დოლარი).

რას ჩავაცივდით ამ ნავთობს! როცა ცნობილ განგსტერს, ბილი სატონს ჰკითხეს, თუ რატომ ძარცვავდა ბანკებს, მან გულწრფელად უპასუხა: "იმიტომ, რომ ბანკებში ფულია". ეს ფრაზა ამერიკაში აფორიზმად იქცა.

და აი, როგორც იქნა, ჩემი ნოსტალგიურ-ფინანსური ნარკვევის სათაურსაც მივადექი - "როგორ ვიყავი ბანკირებთან". წელს, მაისში, ქალაქ მოსკოვის მერის, იური ლუჟკოვის პროტექციით, Citigroup-ის შტაბ-ბინაში ვიყავი. გრძნობის დაკარგვამდე გაკრიალებულ მაგიდას ჩემ პირისპირ უსხდნენ დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე, Citigroup-ის ტოპ-მენეჯერი და პრეზიდენტი, რომელთაც გასულ წელს ერთად 336,8 მილიონი დოლარი "წაიღეს"! შეხვედრა დიდხანს, 30 წუთი გრძელდებოდა. მთელი ამ დროის განმავლობაში ვცდილობდი, დამეთვალა, რამდენი დაწერა "მრიცხველმა". მაგრამ ამდენი ვერ შევძელი, რადგან იმავდროულად კითხვების დასმა და პასუხების ჩაწერა მიწევდა. ჩემგან იულიუს კეისარი არ გამოვიდა, რომელსაც ერთდროულად რამდენიმე საქმის კეთება შეეძლო.

მაგრამ მოცალეობის ჟამს არითმოგრაფით დავიანგარიშე. 2003 წლის კურსით, ჩემმა თანამოსაუბრეებმა ნახევარ საათში 22.078 დოლარი გააკეთეს, ანუ წუთში - 736 დოლარი.

რას ჩავაცივდით ამ ნავთობს! ასეთ ნაყოფიერებამდე იმას ბევრი უკლია.

# სტეპფორდელი ცოლები თბილისის ქუჩებშიც დადიან

## სად იბადება მოდის ახალი ტენდენციები

მადი სერებრიაკოვა

ქართველები თითქმის ყველაფერში მაქსიმალისტები არიან. მოდის სტერეოტიპებში - განსაკუთრებით. იყო დრო და მომენტი, როცა მთელი საქართველო ზამთარ-ზაფხულ ერთიანად შავებში ჩაცმული დადიოდა. წელს ყველაფერი რადიკალურად შეიცვალა. ახლა სანთლით რომ ეძებო სადა და ერთი ფერის ტანსაცმელს ვერსად ნახავ. ვიტრინები წალეკა ზიზილ-პიპილოებით მორთულმა, მყვირალა და ოკრობოკრო, გაურკვეველი დანიშნულების ტანისამოსმა.

რამდენიმე ხნის წინათ, საქართველოში გაბატონებული შავი ტანსაცმლის ტენდენციაზე მოდათმცოდნეებს ვესაუბრებოდი. გაჩნდა აზრი, რომ ქალები, რომლებიც შავი ტანსაცმლისკენ ისწრაფვიან, თვითგამორკვევის კრიზისს განიცდიან: მათ არ სურთ, ეშინიათ იყონ გამორჩეულები და თვალში მოსახვედრები, ამიტომაც "იმალებიან" შავი ფერის მიღმა. ფერთა თეორიის მიხედვით, შავი ფერი წიაღის ფერად ითვლება, იგი წარმოშობს ყველა სხვა ფერს. წიაღის ფერით იმოსება ის, ვისაც არ სურს წიაღიდან გამოსვლა და დღის შუქისთვის თვალის გასწორება, არ შესწევს საკუთარი ფერის მოძიების ძალა ათასფერ სამყაროში. ეს სევდიანი "განაჩენი" მაშინ ძალზედ დამაჯერებლად ჟღერდა რიგი ობიექტური და სუბიექტური მიზეზების გამო. ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობა, ქართველი ქალების დიდ უმრავლესობას არ აძლევდა (და დღესაც არ აძლევს) საკუთარ იმიჯზე სერიოზულად ზრუნვის გასაქანს. შავ ფერს კი **ყველა-ფერს** შეუხამებ, ყველას მაგივრობას გასწევს და ყველა ნაკლსა და ხარვეზს უფრო ადვილად მიჩქმალავს.

ეს, რა თქმა უნდა, სტერეოტიპია. მაგრამ თუ მასში ჭეშმარიტების მარცვალი იმალება, რას უნდა მივაწეროთ წლევანდელი ფერთა აფეთქება? ჭრელა-ჭრულა კოსტიუმების სტილი ქართველმა ახალგაზრდობამ (და არა მხოლოდ) ერთხმად აიტაცა და მგონი ცოტა ზედმეტიც მოუვიდათ. დავიჯერო ასე უცებ დაძლიეს ქართველმა ქალებმა თვითგამორკვევის კრიზისი?! თუ ეს, უბრალოდ, მაქსიმალიზმის კიდევ ერთი გამოვლინებაა. ფერადი ქსოვილების, ასიმეტრიული სილუეტების მოდა წელს ხომ მთელ მსოფლიოში მართლაც აქტუალურია.

ერთი ცნობილი დიზაინერი ცინიკურად აღნიშნავს: "პროვინციაში შავ ფერს მხოლოდ მღვდლები, ქვრივები და მეკუბოვეები ატარებენ." სამაგიეროდ, მეგაპოლისებში შავი - საქმიანი ქალების უნიფორმაა. შავი ტანსაცმლის პრობლემა მხოლოდ საქართველოში არ დგას. სწორედ ამ ჯოჯოხეთურ ტენდენციას ებრძოდა დიზაინერი ენ როტი, რომელიც საკმაოდ გახმაურებული ფილმის "სტეპფორდელი ცოლების" მხატვრად მუშაობდა.

ფილმის სიუჟეტი, ალბათ, ბევრისთვის ნაცნობია. ცნობილი ტელეწამყვანი ჯოანა (მას ნიკოლ კიდმანი ასახიერებს) გახმაურებულ სკანდალში ეხვევა და სამსახურს კარგავს. იგი იძულებულია ქმარშვილთან ერთად პროვინციულ ქალაქ სტეპფორდში გადავიდეს საცხოვრებლად. სტეპფორდის პასტორალური ყოფა ჯოანასთვის საკმაოდ უჩვეულოა: "შეძლებული ქმრების" "წესიერი ცოლები" აქ ძირითადად მაღაზიებში სიარულით, სახლისა და ეზოების მორთვით და ტკბილეულის გამოცხობით არიან დაკავებული, ვნებიანად უყვართ საკუთარი ქმრები და ყოველთვის იღიმებიან. ჯოანას მოუწევს ადგილობრივ წეს-წყობილებისადმი დამორჩილება. თუმცა, ბრძოლა ხანგრძლივი და დაუნდობელი იქნება.

რეჟისორმა და მხატვარმა პროვინციული და მეგაპოლისური სტრატეგიების ილუსტრირების ძირითად ვიზუალურ ფორმას სწორედ ფილმის კოსტიუმების მხატვრობის საშუალებით მიაგნო. მოსალოდნელი, თუ უკვე შემდგარი რევოლუცია მოდის სამყაროში სწორედ "სტეპფორდელ ცოლებში" გაფორმდა საუკეთესოდ. ერთ მხარეს - ქერა, მოვლილი, ჭრელ-ჭრელ ფუშფუშა კაბებში მორთული სტეპფორდელი ცოლები - მარტივი აზრებით, უზრუნველი ღიმილით. მეორე მხარეს კი - კარიერისა და საზოგადოებრივი მდგომარეობისთვის მებრძოლი, თანამედროვე ნევროტული ამაზონები, მკაცრ შავ უნიფორმებში.



მოდის ახალი ტენდენციები თბილისშიც შეიმჩნევა.

სტეპფორდელი ცოლების გარდერობი თითქოს სპეციალურად არის შექმნილი იმ მამაკაცებისათვის, რომლებსაც უკვე ყელში ამოუვიდათ ფემინიზმი და კარიერისთვის ბრძოლაში ქალებთან კონკურენციაც სულაც არ ეპიტნავებათ. სტეპფორდელი ცოლების საყვარელი, სექსუალური, ელეგანტური კაბების კოპლებსა და ყვავილებზე თვითდამკვიდრებისთვის მებრძოლი მამაკაცების თვალი ისვენებს და ყოველდღიური პრობლემები ავიწყდება.

გაზეთ The Enquirer-თან ინტერვიუში ენ როტი ამბობს: "მე ყოველთვის კინოს სამყაროში ვცხოვრობდი და არა მოდის. ძალიან გამიკვირდა, როცა აღმოჩნდა, რომ რეტრო-კოსტიუმები, რომლებიც მე ფილმისთვის მოვამზადე, მოულოდნელად თანამედროვე მოდის ტენდენციების ამსახველი გახდა - პასტელის ტონები, პრინტები, კუბოკრული კაპრი... ის რაც 50-იან წლებში იყო მოდური, დღეს დონა კარანის ბოლო კოლექციებშია წარმოდგენილი."

სხვათა შორის, ფილმისთვის კოსტიუმები უფრო ადრე შეიქმნა, ვიდრე წამყვანი დიზაინერები იტალიური შპალერის გავლენით შექმნილ, ჭრელ, ხალისიან და ჭყეტელა საგაზაფხულო-საზაფხულო კოლექციებს წარმოადგენდნენ. ფილმის ვარსკვლავებს - ნიკოლ კიდმანს, გლენ ქლოუზს აშკარად მოეწონათ კოსტიუმები. თუმცა, რომელი ქალი იტყვის უარს თუ კორსეტებისა და ორიგინალური თარგების მეშვეობით მის წელს 8-10 სანტიმენტრით უფრო წვრილს, ფეხებსაც უფრო გრძელს გამოაჩენენ, მკერდს კი მაცდუნებლად წამოუწევენ.

ენ როტი მაქსიმალურად ცდილობდა არ დაეშვა ფილმში ცნობილი ბრენდები. "გუჩი"-თა და "დოლჩე და გაბანა"-თი მხოლოდ თამამი ჰომოსექსუალები იწონებენ თავს. ფილმის საყვარელ კოსტიუმებს შორის მსახიობებიცა და დიზაინერიც ნიკოლ კიდმანის ორ კაბას ხორცისფერი აბრეშუმის (60 მეტრი აბრეშუმი დაიხარჯა) და შიფონის ყვავილებით მოჩითულ კაბებს ასახელებენ.

როგორც ჩანს, შავი ტანსაცმლის პრობლემა არც ამერიკელებისთვის არის უცხო. "კალიფორნიელები და კონექტიკუტელები ხშირად მეკითხებიან, რატომ აცვიათ ნიუ იორკელ ქალებს სულ შავები? და იცით, ეს სულაც არ ჟღერს როგორც კომპლიმენტი..." ენ როტი დიდი სიამოვნებით ადევნებდა თვალს, თუ როგორ იცვლებოდნენ უკეთესობისკენ გმირი ქალები მისი კოსტიუმების წყალობით. და ეს მიუხედავად იმისა, რომ ფილმის ავტორები გულდასმით ამტკიცებდნენ, რომ ფილმში წარმოჩენილი კოხტა ქერა ქალები უსათუოდ "რობოტი-დედაკაცები" არიან, და სუფთა ადამიანური მათ არაფერი სცხიათ. შედეგი სრულიად საპირისპირო გამოვიდა. "სტეპფორდელი ცოლების" სტილი დღეს წამყვანი მოდის სახლებში ყვავის და არცთუ სასაცილო კარიკატურის სახით თბილისის ფალსიფიცირებულ ბუტიკებსა თუ ბაზრობებსაც აჭრელებს.

50-იან წლებში, როდესაც კრისტიან დიორმა ამგვარ სილუეტებს ჩაუყარა საფუძველი, ამბობდნენ: "ომი დამთავრდა, ყველას მადლობა, ახლა კი მოდით კვლავ ელეგანტურები გავხდეთ." საქართველოში ომი, როგორც პირდაპირი, ისე გადატანითი მნიშვნელობით, ჯერ არ დამთავრებულა. არც სქესთა შორის ჭიდილი მისულა იმ ზღვრამდე, როცა ფარ-ხმალის დაყრასა და წუთ-შესვენებას არაფერი სჯობია. ასეა თუ ისე, ქართველმა ქალებმა ნათელი ფერებისთვის მაინც მოიცალეს. მათაც მადლობა, ძალიან დროულია!

ათენი-2004

| 16 აგვისტო | | |
|---|---|---|
| **ტყვიით სროლა** | | |
| სასტენდო სროლა | | ქალები |
| ოქრო | სუზანა ბალოგ | ავსტრალია |
| ვერცხლი | მარია კინტანალი | ესპანეთი |
| ბრინჯაო | ლი ბო ნა | კორეა |
| პნევმატური შაშხანა 10მ. | | ვაჟები |
| ოქრო | ჩჟუ ციინანი | ჩინეთი |
| ვერცხლი | ლი ცზიე | ჩინეთი |
| ბრინჯაო | იოჟეფ გონჩი | სლოვაკეთი |
| **ძიუდო** | | |
| 73კგ. წონითი კატეგორია | | ვაჟები |
| ოქრო | ლი ვონ-ჰი | კორეა |
| ვერცხლი | ვიტალი მაკაროვი | რუსეთი |
| ბრინჯაო | ლეანდრო გილეირო | ბრაზილია |
| | ჯეიმს პედრო | აშშ |
| 57კგ. წონითი კატეგორია | | ქალები |
| ოქრო | ივონ ბონისი | გერმანია |
| ვერცხლი | კი სენ-ჰიო | კორეა |
| ბრინჯაო | დებორა გრავენშტეინი | ჰოლანდია |
| | იურისლეიდი ლუპეტი | კუბა |
| **ძალოსნობა** | | |
| 58კგ. წონითი კატეგორია | | ქალები |
| ოქრო | ჩენ იანცინი | ჩინეთი |
| ვერცხლი | რი სონგ-ჰი | კორეა |
| ბრინჯაო | ვანდი კამეაიმ | ტაილანდი |
| 62კგ. წონითი კატეგორია | | ვაჟები |
| ოქრო | ში ჟიონგი | ჩინეთი |
| ვერცხლი | ლე მაოშენი | ჩინეთი |
| ბრინჯაო | ლეონიდას საბანისი | საბერძნეთი |
| **ცურვა** | | |
| თავისუფალი სტილი. 200მ. | | ვაჟები |
| ოქრო | იან თორპი | ავსტრალია |
| ვერცხლი | პიტერ ვან დენ ჰოოხენბანდი | ჰოლანდია |
| ბრინჯაო | მაიკლ ფელპსი | აშშ |
| გულაღმა. 100მ. | | ქალები |
| ოქრო | ნატალი კაფლინი | აშშ |
| ვერცხლი | კირსტი კოვენტრი | ზიმბაბვე |
| ბრინჯაო | ლაურა მანადუ | საფრანგეთი |
| გულაღმა. 100მ. | | ვაჟები |
| ოქრო | აარონ პეირსოლი | აშშ |
| ვერცხლი | მარკუს როგანი | ავსტრია |
| ბრინჯაო | ტომომი მორიტა | იაპონია |
| ბრასი. 100მ. | | ქალები |
| ოქრო | ლუო სიუეჯუან | ჩინეთი |
| ვერცხლი | ბრუკ ჰენსონი | ავსტრალია |
| ბრინჯაო | ლეიზელ ჯონსი | ავსტრალია |
| **წყალში ხტომა** | | |
| სინქრონული ხტომები. 10მ. კოშკურა | | ქალები |
| ოქრო | ლაო ლიში - ლი ტინგ | ჩინეთი |
| ვერცხლი | ნატალია გონჩაროვა - იულია კოლტუნოვა | რუსეთი |
| ბრინჯაო | ბლის ჰარტლი - ემილი ჰეიმანსი | კანადა |
| სინქრონული ხტომები. 3მ. ტრამპლინი | | ვაჟები |
| ოქრო | ნიკოლაოს სირანიდისი - თომას ბიმისი | საბერძნეთი |
| ვერცხლი | ანდრეას ველსი - ტობიას შელენბერგი | გერმანია |
| ბრინჯაო | რობერტ ნიუბერი - სტივენ ბარნეტი | ავსტრალია |
| **ფარიკაობა** | | |
| პირადი პირველობა. დაშნა | | ვაჟები |
| ოქრო | ბრის გუიარი | საფრანგეთი |
| ვერცხლი | სალვატორე სანზო | იტალია |
| ბრინჯაო | ანდრეა კასარა | იტალია |
| **სპორტული ტანვარჯიში** | | |
| გუნდური | | ვაჟები |
| ოქრო | რუმინეთი | |
| ვერცხლი | იაპონია | |
| ბრინჯაო | აშშ | |

## TV-სპორტი

**სამშაბათი. 17 აგვისტო**

**НТВ+ФУТБОЛ**
07:30 ოლიმპიადის დღიური
08:30 რუსეთის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
09:30 ოლიმპიური თამაშები ათენში. ხელბურთი. ვაჟები. ეგვიპტე - გერმანია
10:45 ოლიმპიური თამაშები ათენში. ცხენოსნობა. სამჭიდი. კროსი. პირდაპირი ტრანსლაცია
14:00 ოლიმპიური თამაშები ათენში. ჩოგბურთი. პირველი წრე
15:15 ოლიმპიური პრესცენტრი
15:30 ოლიმპიური თამაშები ათენში. სასტენდო სროლა. ვაჟები. ფინალი. პირდაპირი ტრანსლაცია
16:15 ოლიმპიური თამაშები ათენში. პლაჟის ფრენბურთი. ქალები
17:10 ოლიმპიური თამაშები ათენში. კალათბურთი. ვაჟები. ლიტვა - პუერტო რიკო
18:40 ოლიმპიური პრესცენტრი
18:55 ოლიმპიური თამაშები ათენში. ფეხბურთი. ქალები. შვედეთი - ნიგერია. პირდაპირი ტრანსლაცია
21:00 ოლიმპიური პრესცენტრი
21:15 ოლიმპიადის დღიური
21:55 ოლიმპიური თამაშები ათენში. სპორტული ტანვარჯიში. ქალები. გუნდური პირველობა. ფინალი. პირდაპირი ტრანსლაცია
00:15 ოლიმპიური თამაშები ათენში. ფრენბურთი. ვაჟები. საბერძნეთი - პოლონეთი
01:45 ოლიმპიადის დღიური
02:15 გერმანიის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა

**НТВ+СПОРТ**
08:30 “ოლიმპიური ოდისეა”
09:30 ოლიმპიური თამაშები ათენში. დღის ანონსი
09:40 “ოლიმპის შვილები”
09:45 ოლიმპიური პრესცენტრი
10:00 გადაძახილი
11:15 ოლიმპიური თამაშები ათენში. კალათბურთი. ქალები. რუსეთი - ავსტრალია
12:45 გადაძახილი
13:10 ოლიმპიური თამაშები ათენში. ტყვიით სროლა. ვაჟები. მცირე კალიბრიანი პისტოლეტი, 50მ. ფინალი. პირდაპირი ტრანსლაცია
13:55 ოლიმპიური პრესცენტრი
14:10 ოლიმპიური თამაშები ათენში. მაგიდის ჩოგბურთი. ქალები. ერთეულთა თანრიგი. მე-3 წრე
14:55 ოლიმპიური თამაშები ათენში. ფრენბურთი. ვაჟები. ავსტრალია - რუსეთი. პირდაპირი ტრანსლაცია
16:30 ოლიმპიური პრესცენტრი
16:45 ოლიმპიური თამაშები ათენში. ჩოგბურთი. მეორე წრე
18:25 ოლიმპიური პრესცენტრი
18:40 ოლიმპიური თამაშები ათენში. წყალბურთი. ვაჟები. რუსეთი - სერბეთი და მონტენეგრო. პირდაპირი ტრანსლაცია
19:45 ოლიმპიური თამაშები ათენში. კრივი. 51კგ. 54კგ. წინასწარი შეხვედრები
20:25 ოლიმპიური თამაშები ათენში. ცურვა. ნახევრაფინალები და ფინალები. პირდაპირი ტრანსლაცია
22:00 “ოლიმპიური დღე”. უმთავრეს ასპარეზობათა ფრაგმენტები
23:50 “მითი და რეალობა”
00:00 “თემა”
00:30 “ოლიმპიური ოდისეა”
02:00 ოლიმპიური თამაშები ათენში. ჩოგბურთი. მეორე წრე
03:30 ოლიმპიური თამაშები ათენში. ფრენბურთი. ვაჟები. ბრაზილია - იტალია
05:00 ოლიმპიური თამაშები ათენში. ფეხბურთი. ვაჟები. არგენტინა - ავსტრალია

**EUROSPORT**
06:00 ძიუდო. ოლიმპიური თამაშები ათენში
07:00 ცურვა. ოლიმპიური თამაშები ათენში
08:00 ოლიმპიური თამაშები. ახალი ამბები
08:30 ოლიმპიური თამაშები. მიზანი - ათენი
08:45 ოლიმპიური თამაშები. ახალი ამბები
09:15 ოლიმპიური თამაშები. მიზანი - ათენი
09:30 აკადემიური ნიჩბოსნობა. ოლიმპიური თამაშები ათენში
11:15 ცურვა. ოლიმპიური თამაშები ათენში. პირდაპირი ტრანსლაცია
13:15 ბაიდარი და კანოე. ოლიმპიური თამაშები ათენში. პირდაპირი ტრანსლაცია
14:45 ოლიმპიადის სიახლეები
15:00 კრივი. ოლიმპიური თამაშები ათენში. პირდაპირი ტრანსლაცია
17:30 ძიუდო. ოლიმპიური თამაშები ათენში. პირდაპირი ტრანსლაცია
19:00 ოლიმპიადის სიახლენი
19:15 აკადემიური ნიჩბოსნობა. ოლიმპიური თამაშები ათენში
19:45 ცურვა. ოლიმპიური თამაშები ათენში
20:30 ცურვა. ოლიმპიური თამაშები ათენში. პირდაპირი ტრანსლაცია
22:00 სპორტული ტანვარჯიში. ოლიმპიური თამაშები ათენში. პირდაპირი ტრანსლაცია
00:15 კალათბურთი. ოლიმპიური თამაშები ათენში. პირდაპირი ტრანსლაცია
01:00 “ოლიმპიკ ექსტრა”. ტელეჟურნალი
02:00 ოლიმპიური თამაშები. მიზანი - ათენი
02:15 კრივი. ოლიმპიური თამაშები ათენში
03:15 ფრენბურთი. ოლიმპიური თამაშები ათენში
04:00 ცურვა. ოლიმპიური თამაშები ათენში
05:00 სპორტული ტანვარჯიში. ოლიმპიური თამაშები ათენში

# ქისრული და მისი ჭანი

A1 გვერდიდან



*ქევხიშვილმა (მარჯვნივ) ტაკამაცუს პირწმინდად მოუგო.*

ხეზე ასვლის ტექნოლოგიაც შევინარჩუნეთ. იაპონელებმა არც ეს იციან. შევინარჩუნეთ და ქიზიყელმა ბიჭმა ეს ჩვენი ნაქები იაპონელი ისეთი კისრულით წამოიღო, ალბათ, კახელები სპარსელებთან ომში რომ იყენებდნენ. იაპონელს კი იქნებ სიზმარშიც არ უნახავს. ელვის სისწრაფით მოიგდო ქევხიშვილმა ზურგზე მაშაჰირო ტაკამაცუ, ერთი მოძრაობა და, ტატამზე გაადენინა ბრაგვანი. არადა, პარიზის ტურნირის ფინალი ქევხიშვილს სწორედ ტაკამაცუმ მოუგო.

ყველანაირი ლოგიკით, იპონი უნდა დაფიქსირებულიყო. ტაკამაცუ ზურგზე გაიშხლართა, მაგრამ მსაჯმა იაპონელს, ალბათ, ავტორიტეტის გამო, კიდევ მისცა შანსი და ქევხიშვილის დავთარში მხოლოდ ვაზარი დააფიქსირა. ესეც არაფერია, ქართველი ისეთი შემართული ჩანდა, რომ თავიდანაც რომ დაეწყოთ, ისევ მოიგდებდა ზურგზე.

ქევხიშვილმა დინჯად განაგრძო ბრძოლა. იაპონელი, თითქოს შეურაცხყვესო, თვითგადარჩენის ინსტინქტით ამოქმედდა. ყველა საშუალებით ეძებდა ქევხიშვილამდე მისასვლელ გზას, მაგრამ სიღნაღელი შეუდარებელი იყო. კიდევ ერთხელ შეუვარდა ტაკამაცუს ფეხში, ჰაერში ასწია დაუცხრომელი მეტოქე და ტატამზე ერთხელაც გააკრა. მსაჯმა ამჯერად იუკო გაიმეტა. ეს, ფაქტობრივად, გამარჯვება იყო. ქევხიშვილს სუფთად არ უნდა წაეგო და, ყველა სხვა შემთხვევაში, გამარჯვება მას რჩებოდა. მსაჯმა, ყოველი შემთხვევისთვის, ქართველი კიდევ ერთხელ გააფრთხილა, მაგრამ ტაკამაცუსთვის ამას შველა არ მოუგვრია. დავით ქევხიშვილი მეორე წრეში გავიდა.

ყველასთვის, მათ შორის ხაზარელისთვისაც, მოულოდნელი იყო დავითის ესოდენ შთამბეჭდავი ჭიდაობა. ალბათ, გახსოვთ, გუშინ მოგწერეთ, - ქევხიშვილს მეტოქის ვინაობას ჯერ არ ვუმჟღავნებთ, საჭიდაო დარბაზში გაიგებსო, - შოთა ხაზარელი რომ ამბობდა. ჰოდა, გაიგო და ანგარიშიც გაუსწორა. გიკვირდეთ, იაპონელებო! ქართველი თქვენს ფალავანზე ძლიერია.

მეორე ეტაპზე ქევხიშვილს ერთი რთული გამოცანა ელოდა. მას მეტოქედ მსოფლიო ჩემპიონი, რუსი ვიტალი მაკაროვი ერგო. პირველ წრეში მაკაროვმა ბერძენი ლავრენტი ალექსანიდისი ისე დაამარცხა, ბერძნებმა თანამემამულის მხარდაჭერა ვერც კი მოასწრეს. რუსმა ბერძენი შუასამით ჰაერში აიტაცა და, რაღაც უსწრაფესი ტრიალით, გააკრა ტატამზე. მაკაროვთან შეხვედრაში ისე გამოვიდა, რომ ქევხიშვილს შანსი არ ჰქონია. უზარმაზარი ენერგია შეალია ტაკამაცუსთან ბრძოლას და დაღლილი ჩანდა. ამას გარდა, სიმართლე რომ ითქვას, მსოფლიო ჩემპიონი ერთი თავით მაღლა იდგა ჩვენებურზე - არა დავითის სისუსტის გამო, არამედ იმიტომ, რომ კლასით მაღლა დგას.

ახლა დავით ქევხიშვილი სანუგეშო ტურნირში ცდის ბედს და შეეცდება, საქართველოს ნაკრებისთვის ბრინჯაოს მედალი მოიგოს. ვიდრე ეს ტურნირი დაიწყებოდეს, ორიოდე სიტყვა მსაჯობაზეც ვთქვათ. რაც დრო გადის, მსაჯები სულ უფრო მეტს სცოდავენ - გუშინ დავით მარგოშვილს აბსურდული იპონი დაუფიქსირეს, დღეს კი სუფთა გამარჯვება ხელიდან გამოჰგლიჯეს დავით ქევხიშვილს; მაროკოელ მკონდოს კი უზბეკ აკბაროვთან შეხვედრაში იპონი გაუუქმეს და ამით მაყურებელთა საერთო აღშფოთება გამოიწვიეს.

ამასობაში მაკაროვმა თავისი მორიგი მსხვერპლი გაისტუმრა სამშობლოში, მონღოლი სულდბოარიც ჰაერში აბურთავა და ნახევარფინალში გავიდა, რითიც დავით ქევხიშვილს ბრინჯაოს მედლისთვის ბრძოლის პერსპექტივა შეუნარჩუნა.

ოქროს მედლებისთვის მებრძოლთა კოჰორტას კი მაკაროვი, ფრანგი დანიელ ფერნანდესი, კორეელი ლი ვონ ჰი და ვიქტორ ბივოლი შემორჩნენ. მაკაროვი ფერნანდესს ხვდება და ვონ ჰი ბივოლს.

ტატამზე ორი ქართველი გამოჩნდა - დავით ქევხიშვილი და საბერძნეთის სახელით მოასპარეზე თემურ გივიაშვილი, ლავრენტი ალექსანიდისად წოდებული. მოგეხსენებათ, ქართველებს ყველაზე მეტად ქართველებთან ბრძოლა უჭირთ და ამ პაექრობაშიც ნახევარი დრო ისე მიილია, მეტოქეებმა ერთმანეთს ვერაფერი მოუხერხეს. ბოლოს ისევ ქევხიშვილმა ივაჟკაცა, გაბერძნებულს ხელი მძლავრად ჩასჭიდა, შუა სარმა გამოჰკრა და ტატამზე გაშხლართა. ქევხიშვილი მაკაროვისგან ძლეულ მონღოლს გადაეყარა.

ეს მონღოლი სულდბაიარი დიდი ხვითო ვინმე გამოდგა. ქევხიშვილის მსგავსად, ისიც ხელით ჭიდაობას ამჯობინებს. უფრო სწორად, ცდილობს, მეტოქეს ფეხებში შეუვარდეს და ისე მოიპოვოს უპირატესობა. ქევხიშვილის თავისებურებაც ეს არის. ფეხებს, თითქმის, არ იყენებს და, ამის გამო, წააგო მაკაროვთან ბრძოლა. რუსმა ფეხები იმდენად კარგად გამოიყენა, რომ ქევხიშვილი ახლოსაც არ მიუშვა, თვითონ კი რამდენჯერმე ჰაერში აატრიალა და მოიგო.

მოკლედ, ერთმანეთს ორი ერთი სტილისა და, შეიძლება ითქვას, თანაბარი ძალის მეტოქე გადაეყარა და, სასიამოვნოა, რომ ამ თანაბარ ბრძოლაში მაინც ქართველმა მოძებნა სუსტი წერტილი, სულდბაიარი ჰაერში აიტაცა და მძლავრად დასცა ტატამზე. ქევხიშვილმა დაამარცხა მონღოლი და ბრინჯაოს მედლამდე ერთადერთი ბრძოლა დარჩა.

გული დაგწყდება, როცა მსაჯის გაფრთხილების გამო წააგებ და ტურნირიდან, რომელსაც ოთხი წელი ელოდები, ამ გაფრთხილებით ემშვიდობები. დავით ქევხიშვილი ბრინჯაოსკენ მიმავალ გზაზე ბრაზილიელ ლეანდრო გუილეიროს გადაეყარა და კოკათი დამარცხდა, რომელიც ფალავანს გაფრთხილებისთვის ეძლევა. დავითს, თითქოს, მცდელობა არ დაუკლია, მაგრამ თანაბარძალოვან მეტოქეს ვერაფერი მოუხერხა და ასე უმედლოდ დაემშვიდობა ოლიმპიადას.

"ძნელია, ასე კარგად დაწყებული ტურნირის ასე დაბოლოება. ტაკამაცუს დამარცხების შემდეგ სულ სხვა იმედებით განვიმსჭვალე. ოღონდ ეგ არის, შეცდომებს გადაჰყვა ჩემი იმედები", - თქვა დავით ქევხიშვილმა. საბოლოო ჯამში, ქართველი ფალავანი მე-7 ადგილს დასჯერდა.

ამასობაში ნახევარფინალური შეხვედრების დროც დადგა. ვიტალი მაკაროვმა, მიუხედავად იმისა, რომ, ფრანგი დანიელ ფერნანდესის სახით, სერიოზული მეტოქე ჰყავდა, მაინც მოახერხა და ვადამდე მოათავა მასთან საქმე. რუსმა ორი ვაზარი აგემა ფერნანდესს და მისი საჩემპიონო ამბიციები საბოლოოდ ჩაკლა. მეორე ნახევარფინალში, ასევე ვადამდე, იმარჯვა კორეელმა დი ვონ ჰიმ. მან მოლდოველი ვიქტორ ბივოლი გააკრა ტატამზე და ოქროს მედლისთვის მაკაროვთან მოუხდა ბრძოლა. მესამე ადგილი კი ბრაზილიელმა ლეანდრო გუილეირომ და ამერიკელმა ჯეიმს პედრომ მოიპოვეს.

ფინალში, რომელსაც მთელი დარბაზი ელოდა, საერთო აღიარებით, ორი უძლიერესი ფალავანი გავიდა - ლი ვონ ჰი და ვიტალი მაკაროვი. კორეელი რის კორეელია, სიურპრიზი რომ არ მოემზადებინა მეტოქისთვის და მანაც იმავე იარაღით დაჯაბნა მაკაროვი, რითაც რუსი სხვებს ჯაბნიდა. ლი ვონ ჰი ორჯერ ჩაუწვა მეტოქეს, ფეხებით ჰაერშიააყირავა და სოლიდური უპირატესობა მიიღო - ორი იუკო გამოიმუშავა. ბოლოს კი ბრძოლის დასრულებას 10 წამი აკლდა, როცა შუა სარმაც გამოსდო მაკაროვს და იპონით საბოლოოდ გაიფორმა ჩემპიონობა.

კორეის ნაკრებისთვის ეს უკვე ძიუდოში მოპოვებული მეორე ოქროა. "დიდად მოხარული ვარ. ოლიმპიური ჩემპიონი - ეს უკვე დიდი საქმეა. მე აქ მოსაგებად ჩამოვედი და ბედნიერი ვარ, რომ საკუთარი თავის წინაშე მისია შევასრულე", - ბრძოლის შემდეგ თქვა ლი ვონ ჰიმ.

დღეს საქართველოს ღირსებას მამრიკიშვილი დაიცავს.

# "ძალოსნობაში უძლიერესი იმარჯვებს"

## ინტერვიუ გიორგი ასანიძის მწვრთნელთან

კახა ფაჩუაშვილი
*ათენიდან*

*ათენის ოლიმპიური თამაშები თანდათან ხურდება და ქართველებს სულ უფრო გვიღვივდება იმედი, რომ 12-წლიანი პაუზის შემდეგ ბოლოს და ბოლოს მოვიპოვებთ ასე ნანატრ ოქროს. ამ ოცნების განხორციელების ერთ-ერთი შანსი ძალოსან გიორგი ასანიძეს აქვს. გიორგი მსოფლიო ჩემპიონია და ოლიმპიური თამაშებისთვის პოლონეთში ემზადებოდა ვანო გრიქუროვთან. ვანო გრიქუროვი, მოგეხსენებათ, კახი კახიაშვილის აღმზრდელია და, ბუნებრივია, თანამედროვე ძალოსნობის ავან-ჩავანი მასზე უკეთ არავის გაეგება. ძალოსნობის ნაკრების მწვრთნელს ოლიმპიურ სოფელში შევხვდით.*

**- ბატონო ვანო, ათენში ოლიმპიური ოქროსათვის ჩამობრძანდით?**

- რატომაც არა.

**- ფიქრობთ, საამისოდ საკმარისი შანსები გვაქვს?**

- შანსი ყოველთვის არსებობს, მით უმეტეს, როდესაც გუნდში მსოფლიო ჩემპიონი გიორგი ასანიძე გყავს. თუმცა, ძალოსნობა სპორტის სპეციფიკური სახეობაა და აქ დასკვნების წინასწარ გაკეთება მიზანშეუწონელია.

**- რას გულისხმობთ?**

- რას და, გიორგი ასანიძის წონაში რვა თანაბარი ძალის სპორტსმენი ასპარეზობს. ნებისმიერ მათგანს შეუძლია ჩემპიონი გახდეს; ანუ, შეიძლება ისე მოხდეს, რომ გიორგიმ ოლიმპიადა მოიგოს, ან სულაც მერვე ადგილზე გავიდეს.

**- ესე იგი, შანსი სხვას არავის აქვს? არ შეიძლება, რომ ახალი სახე გამოჩნდეს?**

- ძალოსნობა ფეხბურთი არ არის. აქ გამორიცხულია, შემთხვევითმა პიროვნებამ მოულოდნელი შედეგი აჩვენოს. ძალოსნობაში მხოლოდ უძლიერესი იმარჯვებს.

**- მაშინ უნდა ჩავთვალოთ, რომ ბერძენი პიროს დიმასი მეოთხედ მოიგებს ოლიმპიურ თამაშებს.**

- დიმასი ძალიან ძლიერია, მაგრამ ასაკი ხელს არ უწყობს. რა თქმა უნდა, ბერძნები შეეცდებიან, რომ მას მეოთხედ მოაგებინონ ოლიმპიადა - დარბაზის ატმოსფეროს ვგულისხობ. იქ ყველაფერი ბერძნული იქნება. თუმცა, მეორე მხრივ, უნდა ითქვას, რომ დიმასის დონეს რამდენიმე სხვა ათლეტიც პასუხობს. ასე რომ, კონკურენცია დიდი იქნება.

**- ამ კონკურენციის პირობებში, ასანიძის წილს როგორ აფასებთ?**

- ასანიძე რომ დიდი სპორტსმენია, ეს მსოფლიო ჩემპიონატზეც დამტკიცდა. ამჟამად ის ფიზიკურადაც და ფსიქოლოგიურადაც შესანიშნავ ფორმაშია. ოღონდ ეგ არის, გამოცდილება არ აქვს. ვგულისხმობ იმას, რომ მან ახლახან მოიშუშა ტრავმა და ამის შემდეგ შეჯიბრებში მონაწილეობა არ მიუღია. მას რომ, თუნდაც, უმნიშვნელო ტურნირში ერთი-ორი წონა დაეძლია, ახლა სულ სხვა განწყობით იქნებოდა. თუმცა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ გიორგი უმაღლესი მიზნისთვის არ იბრძოლებს.

**- თუ არ ვცდები, კახიაშვილის არ იყოს, დიმასიც არ არის ბერძენი.**

- პიროს დიმასი წარმოშობით ალბანელია, მაგრამ, რაც მოუგია, ყველაფერი საბერძნეთის დროშის ქვეშ. ამიტომაც, მისი წარმოშობა ბერძნებს არც ახსოვთ. ოლიმპიადის გამო, დიმასმა რამდენიმე ტურნირი გამოტოვა. ის ძალიან სერიოზულად ემზადება. საერთოდ, ბერძნები ქვეყნის იმიჯის ასამაღლებლად ყველა ღონეს ხმარობენ. მათ არ აინტერესებთ სპორტსმენის წარმოშობა. მთავარია, ამ სპორტსმენმა სახელი და დიდება მოუტანოს მათ ქვეყანას. ხომ ნახეთ, კახი კახიაშვილს ოლიმპიურ სტადიონზე ოლიმპიური ჩირაღდანი დააჭერინეს ხელში. ეს იმას ნიშნავს, რომ კახის ბერძნები თავისიანად მიიჩნევენ. საინტერესო დეტალს გეტყვით: მსოფლიო ჩემპიონატზე ბერძნებმა ექვსი მედალი მოიგეს და მედალოსნებიდან არც ერთი არ იყო ბერძენი - სულ სხვადასხვა ქვეყნიდან გადაყვანილი სპორტსმენები გახლდნენ.

**- გიორგი ასანიძის გარდა, იმავე 85კგ. წონით კატეგორიაში კიდევ ერთი სპორტსმენი დაიცავს საქართველოს ღირსებას - ცხინვალელი არსენ კასაბიევი. გჯერათ, რომ მას რაიმე წარმატების მიღწევა ძალუძს?**

- არსენ კასაბიევი ჯერ ძალიან ახალგაზრდაა და ათენში უფრო გამოცდილების მისაღებად ჩამოვიყვანეთ. მაგრამ, უნდა ვაღიარო, რომ ის უაღრესად დიდი პოტენციალის მქონე ათლეტია. პირდაპირ გეტყვით, მას დიდი მომავალი აქვს.

**- რა გაძლევთ ამის თქმის საფუძველს?**

- ის, რომ არსენმა თავისი ასაკის სპორტსმენებს შორის ევროპის რეკორდი დაამყარა, საკმარისი არგუმენტი არ არის?

**- რამდენადაც ვიცი, ოლიმპიადაზე, საქართველოს სახელით ასპარეზობის გამო, კასაბიევს ცხინვალის ხელისუფლების მხრიდან პრობლემები შეექმნა.**

- კოკოითის ცენტრისადმი დამოკიდებულების შესახებ კარგად მოგეხსენებათ. ამდენად, გასაგებია, რომ მისი რეჟიმის წარმომადგენლებს კასაბიევის ოლიმპიადაზე გამგზავრება არ გაახარებდათ.

**- იმასაც ამბობენ, რომ ცხინვალის ხელისუფლება მის ოჯახს ავიწროებს.**

- ასეთი ინფორმაცია მე არ მაქვს. ჭორი იქნება.

*ქართველი ძალოსნები 21 აგვისტოდან ჩაებმებიან ტურნირში.*

# "საუკუნის გაცურვა"

ბიგა გურასაშვილი



*ძველმა მეტოქეებმა ჰუგენბანდმა და ტორპმა არავინ გაიკარეს.*

ამერიკელებმა ისტერიულად აიჩემეს და მერე თავადაც სჯეროდათ, რომ მათი თანამემამულე მაიკლ ფელპსი ავსტრალიელ იან ტორპს ათენის ოლიმპიურ წყალში გასაქანს არ მისცემდა. ფელპსი ათენის საწყლოსნო ცენტრს თავადაც ამბიციით ეწვია - რვაგზის ოლიმპიური ოქროს მედლის დაუფლება სურდა. არადა, ერთ ოლიმპიადაზე რვაჯერ ვინმე გამხადრიყოს ჩემპიონი, ოლიმპიზმის საუკონოვან ისტორიას არ ახსოვს. ერთადერთხელ იყო, რომ ამერიკელმავე - მარკ სპიცმა, მიუნხენში ოლიმპიური წყალი შვიდგზის ჩემპიონმა დატოვა.

19 წლის ამერიკელის ოცნებას ცივი წყალი ჯერ კიდევ კვირას გადაესხა, როდესაც 4X100 “თავისუფალში” ამერიკელთა კვარტეტი, ყველასთვის მოულოდნელად, თან მსოფლიოს რეკორდით, სამხრეთაფრიკელებისგან იყო ძლეული. მათზე წინ ჰოლანდიელებიც კი გავიდნენ. კვირას განცდილი მარცხის შემდეგ (იანკებისთვის ცურვში მესამეობა მარცხის ტოლფასია) ამერიკელებმა თავი ინუგეშეს, - არა უშავს, რვა თუ არა, შვიდ “ოქროს” მაინც აიღებსო, - და ამგვარ განწყობას გუშინ საღამომდე ინარჩუნებდნენ, მაგრამ...

როდესაც ყველა მაიკლ ფელპსისა და იან ტორპის დუელის მოლოდინში იფშვნეტდა თითებს, რატომღაც, ერთი-ორს თუ გაახსენდა, რომ 200 მეტრზე თავისუფალი სტლით ცურვაში ტიტულის შესანარჩუნებლად “მფრინავ ჰოლანდიელ” პიტერ ვან დენ ჰუგენბანდსაც უნდა ეასპარეზა, რომელსაც, სხვათა შორის, საკვალიფიკაციო ეტაპზეც ამერიკელზე და ავსტრალიელზეც უკეთესი შედეგი აღმოაჩნდა.

ნაკლებად ამახვილებდნენ ყურადღებას იმაზეც, რომ აღნიშნულ დისციპლინაში ფინალური გაცურვა ერთგვარი რევანში უნდა ყოფილიყო ავსტრალიელისთვის, რადგან სიდნეიში დაკავებული მეორე ადგილი, რომელიც ბოლო ოთხი წლის განმავლობაში ტორპისთვის პირველი მარცხი გახლდათ, სწორედ რომ, ჰოლანდიელის დამსახურებაა.

ერთი სიტყვით, გუშინდელი გაცურვას, ნებისმიერ შემთხვევაში, იან ტორპთან მივყავდით - დუელი ფელპსთან და რევანში ჰუგენბანდთან. ამიტომაც იყო, აღნიშნული დაპირისპირება “საუკუნის გაცურვად” რომ შერაცხეს.

დაპირისპირება ამერიკელთათვის არასახარბიელოდ დაიწყო. დუელი ფელპსა და ტორპს შორის რომ არ იქნებოდა, თავიდანვე ნათელი გახდა. 150 მეტრის მანძილზე წამყვანი პოზიცია “მფრინავ ჰოლანდიელს” ეკავა. მას წამის მეასედებით ჩამორჩებოდა ავსტრალიელი, ხოლო ზღვარი ტორპსა და ფელპს შორის ბევრად თვალშისაცემი იყო. 150 მეტრიდან მოყოლებული ტორპმა ბევრად ძლიერად აამოქმედა ხელ-ფეხი და, შეიძლება ითქვას, ტრადიციულ მეტოქესთან უპირატესობა იგდო ხელთ; აუზის კიდესთან კი ნახევარი კორპუსით დაწინაურებული მიცურდა. ავსტრალიელმა ათენში მისთვის საფირმო დისციპლინაში სტატუს კვო აღიდგინა და წინა დღით 400 მეტრზე დაუფლებულ ოლიმპიურ “ოქროს” მეორეც მიუმატა. შედეგად კი, ავსტრალიელი მოცურავე ხუთგზის ოლიმპიურ ჩემპიონად მოგვევლინა.

რაც შეეხება მაიკლ ფელპსს, დავსძენთ, რომ მას ათენის ოლიმპიურ თამაშებამდე 200 მეტრზე არც ერთ მნიშვნელოვან ასპარეზობაზე არ მოუსინჯავს ძალები; საერთოდ, აღნიშნულ დისციპლინა არასდროს ხიბლავდა, მაგრამ საკუთარ პროგრამაში მაინც ჩართო, რადგან სურვილი ჰქონდა, მარკ სპიცის რეკორდული მაჩვენებელი გაემეორებინა, თუ გაეუმჯობესებინა.

გარდა ამისა, პირობა მისცეს: შვიდი ოქრო ჩამოგვიტანე და, საჩუქრად, ერთი მილიონი დოლარი გარანტირებული გაქვსო.

200 მეტრზე თავისუფალი სტილის ფინალურმა გაცურვამ იმხელა აჟიოტაჟი გამოიწვია, რომ დანარჩენი ფინალები აშკარად დაჩრდილა. ამიტომაც, ჩვენც მხოლოდ მასზე გავამახვილეთ ყურადღება.

ათენი-2004

# ათენში პარტიზანებს ებრძვიან

გიგა გურასაშვილი

*არ გეგონოთ, თითქოს, ათენის ოლიმპიურ სარბიელზე მხოლოდ სპორტსმენები უპირისპირდებოდნენ ერთმანეთს. მათი საზრუნავია მეტოქეს აჯობონ; სხვათა საზრუნავი, მართალია, ოლიმპიელებისგან ბევრად განსხვავდება, მაგრამ პრინციპი ერთია - მოწინააღმდეგე, გნებავთ მეტოქე, სარბიელიდან გააძევონ, ოღონდ - სხვა მეთოდებით. საქმე ფინანსურ ინტერესებს ეხება - ანუ, რა ხდება ათენში!*

თითოეულ მათგანს გამორჩეული, განსაკუთრებული ადგილის დაკავება სურს, რათა პოტენციურ სამიზნეს - მომხმარებელს, თვალში მოხვდეს და მასზე ერთგვარი ფსიქოლოგიური ზეგავლენა მოახდინოს. ალბათ, მიხვდებოდით, რომ იმ ფირმებს, კომპანიებს თუ კონცერნებს ვგულისხმობთ, რომლებსაც სკუთარი პროდუქციის საქვეყნოდ გამომზეურება-რეკლამირება უნდათ. ბუნებრივია, საკუთარი ინეტრესების დასაცავად ბიზნესმენები ყველაფერზე წავლენ; რეკლამა კი ძვირად ფასობს.

ამ მიზნებით შეპყრობილებს ჰყავთ საკუთარი აღმასრულებლებიც, რომლებიც ჯერ ორგანიზატორთა სახით გვევლინებიან და შემდგომ იმ კარისკაცების, რომლებიც ოლიმპიურ ობიექტებზე შესასვლელ კარებში ფხიზელი თვალით თითოეულ დეტალს აკვირდებიან; აკვირდებიან, რა გაცვიათ - უფრო სწორად, ტანისამოსზე რომელი ფირმის წარწერა თუ ლოგოა განთავსებული; იმასაც აკვირდებიან, რას ჭამთ, რას სვამთ. მტრისას, თუ რომელიმე გულშემატკივარს ხელში "პეპსი კოლა" აღმოაჩნდა ან ამავე წარწერიან მაისურაში აღმოჩნდა გამოწყობილი... ასეთებს კარის დარაჯი თუ კონტროლიორი ურჩევს, მაისურა გაიხადონ და სხვა "უწყინარი" სამოსი ჩაიცვან; ან, თუ სათადარიგო მაისურა არ აქვთ, გამოიჩინონ გამჭრიახობა და მაისურა უკუღმა გადაიცვან. მოკლედ, "პეპსისა" და სხვა არალეგიტიმურ სასმელებთან გამოთხოვება მოგიწევთ. სხვათა შორის, ამ მხრივ, მაყურებელთა ბედს იზიარებენ სპორტსმენებიც. ალბათ, ტელევიიზიით შეამჩნევდით კიდეც ზოგიერთი სპორტსმენი, ეკიპირებაზე საგანგებოდ მიწეპებული ნაირ-ნაირი ნახატის მეშვეობით, როგორ მალავს იმ ფირმისა თუ კომპანიის ლოგოს, რომელიც ოფიციალური სპონსორთაგანი არაა. ამასთან დაკავშირებით ესპანელი კალათბურთელები კურიოზულ, უფრო კი, უხერხულ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. საქმე ისაა, რომ ოლიმპიური თამაშების დაწყებამდე დარბაზში სავარჯიშოდ შესული ესპანეთის ნაკრებს მაისურების გახდა უბრძანეს - მიხვდებოდით რატომაც. ესპანელებსაც სხვა რა გზა ჰქონდათ, გაიხადეს მაისურები და, ვიდრე ნაკრების მესვეურები მაღაზიებში ულოგოო მაისურებს დაეძებდნენ, დახლოებით, 20 წუთის განმავლობაში ივარჯიშეს შიშვლებმა. ისე, საინტერესოა, ამ შემთხვევაში ქალები რას იზამდნენ.

ახლა ისევ ჩვენს კარისკაცებს თუ კონტროლიორებს დავუბრუნდეთ, რომლებიც თვალებს აქეთ-იქით აცეცებენ და საეჭვო საგნების აღმოჩენას ცდილობენ. პირველი შთაბეჭდილებით, მათი შემხედვარე კაცი იფიქრებდა, - ალბათ, ეს ყველაფერი უსაფრთხოების მიზნით კეთდებაო. გარკვეულწილად, მათი ქმედება, მართლაც, უსაფრთხოებას ემსახურება, ოღონდ - 11 უმთავრესი ოლიმპიური ბრენდის დასაცავად; მაგალითად, "კოკა-კოლა", "კოდაკი", "ადიდასი"...

თითოეულმა ამ კომპანიამ, დაახლოებით, 60 მილიონი დოლარი გადაიხადა, რათა ოლიმპიური თამაშების ოფიციალური სპონსორის სტატუსი დაესაკუთრებინა და, როგორ გგონიათ, იმას დაუშვებენ, რომ ვინმე ყელში ძვალივით გაეჩხიროს?!

ოლიმპიადების სამარკეტინგო ისტორიას არაერთი სკანდალი ახსოვს. ამ მხრივ, გამორჩეული გახლდათ ატლანტის ოლიმპიური თამაშები, როდესაც "ნაიკმა" ოლიმპიური ობიექტების გასწვრივ სარეკლამო ფარების დიდი ნაწილი იყიდა და ოლიმპიადის ოფიციალური სპონსორის - "ადიდასის" განრისხება გამოიწვია.

ექსპერტები შიშობენ, რომ ამგვარი ტაქტიკა ზიანს აყენებს იმ კონტრაქტებს, რომელთა მეშვეობითაც სპორტი ფინანსდება. ამიტომაცაა, რომ XXVIII ათენის ოლიმპიური თამაშების მასპინძლები და ოლიმპიზმის მახვშები ნაირგვარ ზომას მიმართავენ, რათა სარეკლამო "პარტიზანობას" ბოლო მოუღონ. ათენელებმა ქალაქი ათასობით არაოლიმპიური სარეკლამო დაფისგან გაწმინდეს, მათი ადგილი ოფიციალური სპონსორებით ჩაანაცვლეს და ამ საქმეს 750 ათასი დოლარიც დაახარჯეს.

ახლა, ათენის ცენტრში, ლამის, ყველა შენობა "ადიდასის" საბურველშია გახვეული.

ერთი სიტყვით, ცნობილი ლოგოტიპებით დამშვენებული კეპები, ჩანთები და მაისურები, რომლებიც სპონსორები არ არიან, "შავ სიაშია" შეტანილი. ჩვენს კარის დარაჯებსაც სწორედ ეს "შავი სია" უკავიათ ხელში და მისით ხელმძღვანელობენ.

**რა არის აკრძალული ათენის ოლიმპიურ თამაშებზე:**

*კონკურენტი სპონსორების ლოგოტიპებით დამშვენებული ქოლგები, ალმები, მაისურები, კეპები, ხელჩანთები;*
*საინფორმაციო ელექტრო მოწყობილობები, რომლებსაც ტრანსლაციის ოფიციალური უფლება არ აქვთ;*
*იმ ქვეყანების დროშები, რომლებიც თამაშებზე არ მონაწილეობენ; ანუ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის მიერ არაღიარებული ქვეყანების დროშები;*
*ერთ კვადრატულ მეტრზე მეტი ფართობის ტრანსპარანტები;*
*ოლიმპიადის სიმბოლიკით დამშვენებული პირატული საქონელი;*
*სამედიცინო მიზეზებით, შეზღუდულია ობიექტებზე საკვების საჭირო რაოდენობაზე მეტის შეტანა;*
*პოლიტიკური დემონსტრაციები;*
*ბილეთებით სპეკულაცია;*
*სპორტულ ობიექტებზე გადამღები ჯგუფის შეუთანხმებელი გამოჩენა;*
*პარტიზანული მარკეტინგი.*

# ოლიმპიელმა კაცი იმსხვერპლა

23 წლის დანიელი აფროსანი, რომელიც კვირას ღამით ათენში 30 წლის იამაიკელ ტურისტს მანქანით დაეჯახა, გუშინ პოლიციამ უდანაშაულოდ ცნო.

ყველაფერი კი ასე მოხდა: დანიის ნაკრების წევრი ნიკლას ჰოლმი და მისივე მწვრთნელი კლაუს ოლესენი დანიისა და საფრანგეთის ხელბურთელთა მატჩზე დასასწრებად მიდიოდნენ, და უცაბედად...

პოლიციამ გაარკვია, რომ იამაიკელი ტურისტი დანიელთა მანქანის წინ მოულოდნელად გაჩნდა და, სამწუხაროდ, მოხდა ისე, რომ ინციდენტის თავიდან აცილება შეუძლებელი გახდა. იამაიკელისთვის ავარია სასიკვდილო აღმოჩნდა.

უჩვეულოა, მაგრამ, სხვა მონაცემებით, ის დაღუპული ტურისტი 45 წლის ინგლისელი ეროლ სტრაჩანია. საბერძნეთის საინფორმაციო საშუალებების ცნობით, ავარია მოხდა ათენის პოსეიდონოს იმ გზატკეცილზე, რომელიც ოლიმპიადაზე აკრედიტებული ტრანსპორტისთვისაა გამოყოფილი.

ნოკოლას ჰოლმი, რომელსაც დამდეგ შაბათს უნდა ეასპარეზა, ახლა შოკშია. ავარიის შემდეგ დანიელ სპორტსმენს უმალ ჩააკითხეს მშობლებმა, ახლობლებმა და ექიმმა- ფსიქოლოგმა.

აღსანიშნავია, რომ საბერძნეთის პოლიციამ დანიელ ოლიმპიელს ყველა ბრალდება მოუხსნა და ასპარეზობის ნებაც დართო, თუმცა, გამოვა თუ არა ნიკოლას ჰოლმი ასპარეზობებზე, მისივე გადასაწყვეტია.

საგულისხმოა, რომ ეს უკვე მეორე ავტოსატრანსპორტო შემთხვევაა, რომელშიც ათენის თამაშების მონაწილე ფიგურირებს. რომელია პირველი, რთული მისახვედრი არ უნდა იყოს. გეხსომებათ - ზუსტად თამაშების გახსნის წინ საბერძნეთის ორი საუკეთესო მორბენალი - კოსტას კენდერისი და მისი გულისსწორი კატერინა ტანოუ, მოტოციკლით ავარიაში მოყვნენ. საინტერესოა, რომ ბერძენ ოლიმპიელთა ავარია მათი საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის სადისციპლინო კომიტეტში გამოძახებას დაემთხვა; იქ კი იმისთვის იბარებდნენ, რომ მანამდე დოპინგ-ტესტზე გმოცხადებას თავი აარიდეს.

არადა, კოსტას კენდერისისთვის - 200 მეტრზე სიდნეის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონისთვის, თურმე, გახსნის საზეიმო ცერემონიალზე ოლიმპიური ცეცხლის დანთების პატივი ჰქონიათ შემონახული... ამ ავარიამ ბერძენთა ერთ-ერთ იმედს ათენის ოლიმპიური თამაშების ისტორიში მნიშვნელოვანი ადგილის დაკავების შანსი ხელიდან გააშვებინა.

ბერძენი გამომძიებლები ეჭვობენ, რომ ავარია ხელოვნურად იქნა შექმნილი, რათა, ამგვარი ხერხით, თავი აერიდებინათ დოპინგ-ტესტირებისთვის. ჩვეულებისამბერ, დოპინგ შემოწმებებზე გამოუცხადებლობა სოკ-ის მოხელეებში ეჭვს იწვევს.

სხვათა შორის, ბერძენ მძლეოსნებთან დაკავშირებით სოკ-ის პრეზიდენტმა ჟაკ როგმა ეჭვი გამოთქვა: მათივე მოწყობილი იქნებოდა ეგ ავარია. ეტყობა, მთლად წმინდა სისხლის არ უნდა იყვნენ; ანუ, აკრძალული პრეპარატები ექნებოდათ მიღებულიო.

ფეხბურთი

# ჟირესი "ლოკომოტივმა" აღაშფოთა

მიხეილ აბაიშვილი

დღეს საქართველოს ეროვნული და ახალგაზრდული ნაკრები გუნდები თბილისი-კიშინიოვის ჩარტერული რეისით მოლდოვაში გაფრინდებიან, სადაც ხვალ მასპინძელთა ეროვნულ ნაკრებ გუნდებთან ამხანაგურ შეხვედრებს გამართავენ. ეს თამაშები მსოფლიო ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპის წინ გენერალურ რეპეტიციად შეიძლება მივიჩნიოთ, რადგან მოლდოველებთან მატჩის შემდეგ ჩვენს ორივე ნაკრებ გუნდს უახლოესი თამაში უკვე შესარჩევ ციკლში, თურქებთან ელის.

გუშინ საქართველოს ეროვნული ნაკრების თავკაცმა, ფრანგმა ალენ ჟირესმა სასტუმრო "ბატესტაში"(სადაც დისლოცირებულია ეროვნული ნაკრები) გამგზავრებისწინა პრესკონფერენცია გამართა, რომლის ძირითადი თემაც წინასწარ დეკლარირებულ შემადგენლობაში მომხდარი ცვლილებები გახლდათ. სხვადასხვა მიზეზით, ჟირესის მიერ შერჩეული შემადგენლობიდან ნაკრებს რამდენიმე ფეხბურთელი დააკლდება - ასათიანი, გოგუა, ამისულაშვილი, კვირკველია. მათ ნაცვლად, ფრანგმა დინამოელი ჭიჭვეიშვილი და საფეხბურთო კლუბ "თბილისის" ორი წარმომადგენელი დაამატა - ქემოკლიძე და აფციაური.

"თამაშამდე სერიოზული საკადრო პრობლემები შეგვექმნა - ზოგიერთი ფეხბურთელი გამოგვაკლდა. სამწუხაროდ, ამ ფეხბურთელების შეკრებაზე გამოუცხადებლობის მიზეზი მხოლოდ ტრავმები არ ყოფილა. კლუბები ყველა საშუალებას მიმართავენ იმისათვის, რომ ნაკრებში ჩვენი ფეხბურთელების გამოშვებას ხელი შეუშალონ. ამის კარგი მაგალითია მოსკოვის "ლოკომოტივი", რომელშიც მალხაზ ასათიანი თამაშობს. ჩვენი ინფორმაციით, მას ტრავმა არ აწუხებს, მაგრამ კლუბმა გვამცნო, რომ მალხაზს ფეხის კოჭთან დაკავშირებული პრობლემები აქვს და თბილისში ვერ ჩამოვა. რა თქმა უნდა, ჩვენ ამ პასუხით არ დავკმაყოფილდით და, მერაბ ჟორდანიასთან შეთანხმებით, ფიფა-ს კანონის ამოქმედება ვცადეთ, რომლის მიხედვითაც, კლუბი, რომელიც ნაკრებში ფეხბურთელის გამოძახებას ზღუდავს, სერიოზულად ისჯება. თუმცა, ბოლო მომენტში რადიკალური გადაწყვეტილების მიღებისგან თავი შევიკავეთ, რადგან ამით, შეიძლებოდა, ასათიანის საკლუბო კარიერისთვის სერიოზული ზიანი მიგვეყენებინა, რაც დამღუპველად იმოქმედებდა მის სპორტულ ფორმაზე", -



იური ლობოდინის ფოტო

*ჟირესს ასათიანი არ მისცეს.*

აღნიშნა ჟირესმა, რომელსაც უკმაყოფილების დამალვა არც უცდია. ჟირესისთვის ეს ერთგვარი მოულოდნელობაა, თუმცა, შეგახსენებთ, რომ მოსკოვის "ლოკომოტივი" წინა წლებშიც ხელს უშლიდა ქართველ ფეხბურთელებს. სწორედ კლუბის ასეთი პოზიციის გამო, ვერ შედგა ქართველი ფორვარდის ზაზა ჯანაშიას სანაკრებო კარიერა.

ჟირესი არ აპირებს, შეეგუოს კლუბების ასეთ დამოკიდებულებას.

"თუ ოფიციალური შესარჩევი თამაშების წინ მსგავსი სიტუაცია განმეორდება, ფიფა-ს შესაბამის კოდექსს ავამუშავებთ და, ამ კოდექსის შესაბამისად, ურჩი კლუბის სრული სიმკაცრით დასჯას მოვითხოვთ", - კატეგორიულად განაცხადა მან.

რაც შეეხება მოლდოვასთან შეხვედას, ჟირესმა კონსპირაციულად განაცხადა: "მოლდოვას ნაკრებთან მატჩს თურქეთთან მატჩისწინა გენერალურ რეპეტიციად არ განვიხილავ. ჯერ ერთი, მოლდოვა არ არის იმ დონის გუნდი, კონკრეტულად, თურქეთის ნაკრების წინააღმდეგ მომზადების პროცესში სპარინგ-პარტნიორად რომ გამოგვადგეს. ამას გარდა, არც მიმაჩნია გამართლებულად, რომ მოლდოვასთან ზუსტად იმ შემადგენლობით და იმ ტაქტიკით ვითამაშოთ, როგორც ამას თურქების წინააღმდეგ ვაპირებთ. რაღაც-რაღაცები უნდა დავმალოთ, რათა მეტოქემ ჩვენს შესახებ არ შეიტყოს იმაზე მეტი, ვიდრე გვსურს, რომ გავამჟღავნოთ. ამიტომ, მოლდოვასთან თამაშით უფრო ზოგადი ამოცანების გადაწყვეტას ვგეგმავ - შემადგენლობის შეთამაშება, გარკვეული ტაქტიკური ჩანაფიქრების მოსინჯვა და ასე შემდეგ".

პრესკონფერენციის შემდეგ ფრანგმა სპეციალისტმა და მისმა ქართველმა თანაშემწემ გია გურულმა ნაკრები დიღომში, "დინამოს" საწვრთნელ ბაზაზე წაიყვანეს და წვრთნის პროცესი იქ ჩაატარეს.

# თბილისის ..."კორინთიანსი"

მიხეილ აბაიშვილი

შეიძლება, ამ სათაურმა ფეხბურთის ქართველი გულშემატკივარი დააბნიოს, ამიტომ სასწრაფოდ აგიხსნით, რა ხდება: თბილისის "დინამოსთან" საქმიანი თანამშრომლობის სურვილი გამოთქვა ბრაზილიის ერთ-ერთმა ყველაზე ცნობილმა კლუბმა სან პაულუს "კორინთიანსმა"; თანაც, ეს სურვილი მხოლოდ დეკლარირების დონეზე არ დარჩა და გუშინ საქართველოს დედაქალაქში ამ კლუბის წარმომადგენლობითი დელეგაცია ჩამოვიდა მისი პრეზიდენტის, ალბერტო დუალიბის ხელმძღვანელობით. აღსანიშნავია, რომ ბრაზილიელებთან წინასწარი მოლაპარაკების პროცესში პირადად იყო ჩართული "დინამოს" პრეზიდენტი, ბიზნესმენი ბადრი პატარკაციშვილი. სწორედ პატარკაციშვილის უშუალო მონაწილეობით, შეადგინეს ორ კლუბს შორის ურთიერთობების მემორანდუმი, რომელსაც ხელი "დინამოს" საწვრთნელ ბაზაზე მოეწერა.

წარმომადგენლობითი დელეგაცია დიღომში მდებარე "დინამოს" საწვრთნელ ბაზას გუშინ, დღის 3 საათისთვის ეწვია. "კორინთიანსის" დირექტორატის წევრებმა, პრეზიდენტმა და ვიცეპრეზიდენტმა საწვრთნელი ბაზის სავარჯიშო მოედნები, სატრენაჟორო დარბაზი და ბაზის ინფრასტრუქტურა დაათვალიერეს. მათ მასპინძლობას უწევდნენ პირადად ბადრი პატარკაციშვილი და "დინამოს" სპორტული დირექტორი კახა ჭუმბურიძე. სტუმრებმა დიდი ყურადღებით დაათვალიერეს ბაზა, დაინტერესდნენ საწვრთნელი მოედნების მდგომარეობით, გამოიკითხეს, თუ რამდენი ფარმ-კლუბი და ბავშვთა გუნდი ჰყავს "დინამოს", რა და რა სპორტული მიღწევებით დაიკვეხნის და ასე შემდეგ.

ბაზის დათვალიერების შემდეგ დელეგაციამ საპრესკონფერენციო დარბაზში გადაინაცვლა, სადაც ჟურნალისტებისათვის მცირე საინფორმაციო ბრიფინგი მოეწყო.

"ქართველებისთვის ფეხბურთი რიგითი სპორტის სახეობა არ არის და გაცილებით მეტს ნიშნავს. ამიტომაც, ქართული ფეხბურთის განვითარებას და წინსვლას პრიორიტეტულ საქმედ მივიჩნევთ. "დინამოში" განხორციელებული საკადრო თუ სხვა ხასიათის ცვლილებები შემთხვევით არ მომხდარა. ჩვენ, კარგა ხანია, დავიწყეთ მუშაობა, რომ ჩამოგვეყალიბებინა ქართული ფეხბურთისა და თბილისის "დინამოს" განვითარების სტრატეგიული კურსი. სწორედ ამიტომ, გადავწყვიტეთ, დავკავშირებოდით მთელს მსოფლიოში სახელგანთქმულ და ისეთ პოპულარულ კლუბს, როგორიცაა "კორინთიანსი". ამ კლუბის წარდგენაზე ლაპარაკიც




იური ლობოდინის ფოტო

*ბადრი პატარკაციშვილი და ალბერტო დუალიბიმი*

ზედმეტია. მასთან თანამშრომლობა, რაც, წინასწარი შეთანხმებით, შეუზღუდავი ხასიათის იქნება, დიდ სარგებელს მოუტანს ქართულ ფეხბურთს და, კონკრეტულად, თბილისის "დინამოს". ჩვენ სერიოზულ თანამშრომლობას ვაპირებთ. არ არის გამორიცხული, "კორინთიანსის" დირექტორატმა "დინამოში" წილობრივ ითანამშრომლოს და ასეთი ურთიერთობა ორმხრივი იქნება; ანუ - ჩვენც შევიძენთ "კორინთიანსის" აქციათა გარკვეულ რაოდენობას, - განაცხადა ბადრი პატარკაციშვილმა, რითაც ხაზი გაუსვა, თუ რამდენად მასშტაბური იქნება ეს ურთიერთობები, - ამ მემორანდუმის შედეგად, პერსპექტიულ, ნორჩ ფეხბურთელებს გავგზავნით ბრაზილიაში, "კორინთიანსის" საფეხბურთო სკოლაში მოსამზადებლად. თბილისში მოვიწვევთ ფეხბურთის ბრაზილიელ სპეციალისტებს, მოვხდენთ გუნდების გაცვლებს და ამ პროცესს ექნება მუდმივი ხასიათი".

ამ ყველაფერზე საკუთარი აზრი გამოთქვა ბრაზილიური დელეგაციის ხელმძღვანელმა და "კორინთიანსის" პრეზიდენტმა ალბერტო დუალიბიმიმაც: "სან პაულუს "კორინთიანსი" მსოფლიოში ერთ-ერთი უძლიერესი და პოპულარული კლუბია. ჩვენ ვართ ფიფა-ს საკლუბო მსოფლიო ჩემპიონები. მხოლოდ ბრაზილიაში "კორინთიასს" 30 მილიონი ტორსიდორესი ჰყავს. მათ რიგებშია ბრაზილიის პრეზიდენტიც; თანაც, "კორინთიანსი" მხოლოდ საფეხბურთო კლუბი არ არის; სპორტსკოლები გახსნილი გვაქვს 48 ოლიმპიურ სპორტულ სახეობაშიც.

საქართველოში იმისთვის ჩამოვედით, რომ თბილისის "დინამოსთან" პარტნიორული ურთიერთობები დავამყაროთ. ჩვენთვის კარგად არის ცნობილი, რომ საქართველოშიც ზუსტად ისევე უყვართ ფეხბურთი, როგორც ბრაზილიაში. ყველაზე მნიშვნელოვანი, რის გაკეთებასაც თბილისში ვაპირებთ, საფეხბურთო სპორტსკოლის გახსნაა. ამიტომ, ნუ გაგიკვირდებათ, თუ არცთუ დიდი ხნის შემდეგ ჯერ საქართველოში, შემდეგ კი ევროპაში გამოჩნდება ახალი საფეხბურთო კლუბი - თბილისის "კორინთიანსი",

ბრიფინგის შემდეგ მხარეებმა ხელი მოაწერეს მემორანდუმს, რომლის ტექსტიც მედიისთვის ჯერჯერობით ცნობილი არ გახლავთ.

ბრაზილიელები გამგზავრების წინ დინამოელებსაც შეხვდნენ, თანამემამულე სეზარ რომეროს გაესაუბრნენ და ბაზა დატოვეს.

როგორც ორივე მხარემ აღნიშნა, ამ ახალი თანამშრომლობის რეალურ შედეგებს "დინამოს" გულშემატკივარი უახლოეს მომავლაში თავად დაინახავს.

# შეავსეთ ანკეტა და გამოგზავნეთ

[illegible]

[illegible]

ანკეტა გამოგზავნეთ ფოსტით ან მოიტანეთ მისამართზე:

ბლანკი უფასოა.

სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2", ტელეთამაში "ხალხის პირისპირ", ვაჟა-ფშაველას 45, 300077 თბილისი

[illegible]

სახელი და გვარი

ოჯახური მდგომარეობა:
დაქორწინებული, დაუქორწინებელი, გაყრილი, ქვრივი

მისამართი:

შვილები:

საკონტაქტო ტელეფონის ნომრები:

განათლება:
საშუალო, უმაღლესი, ტექნიკური

დამხმარე კატეგორია:

პროფესია:

ასაკი:

სამუშაო ადგილი

თქვენი ინტერესები და ჰობი:

შეხვედრიხართ თუ არა, პირადად, ცნობილ ადამიანს? ვის, სად და როდის?

გიყვართ თუ არა მოგზაურობა?

თქვენი აზრით, რომელ ზღაპრულ პერსონაჟს ჰგავხართ ყველაზე მეტად და რატომ?

არჩევანი რომ გქონდეთ, სად წახვიდოდით სამოგზაუროდ და რატომ?

ფილმი რომ გადაეღოთ თქვენზე, რომელი ცნობილი მსახიობი შეასრულებდა თქვენს როლს?

გაქვთ თუ არა მიზანი, რომლის მიღწევაზეც ოცნებობთ?

ყველაზე უხერხული სიტუაცია თქვენს ცხოვრებაში:

მიგიღწევიათ ან გაგიკეთებიათ თუ არა ისეთი რამ, რითაც ამაყობთ?

რომელი სატელევიზიო გადაცემები მოგწონთ და რატომ?

გაქვთ ან გქონიათ თუ არა რაიმე მეტსახელი? კონკრეტულად რა?

რომელია თქვენი საყვარელი მწერალი და საყვარელი ლიტერატურული ნაწარმოები?

გაქვთ თუ არა უჩვეულო ნიჭი?

ყველაზე ცუდი სამუშაო თქვენს ცხოვრებაში:

უჩვეულო ან საინტერესო რამ თუ გადხდენიათ თავს? კერძოდ რა?

როგორი მუსიკა გიტაცებთ და თავად გაქვთ თუ არა მუსიკალური ნიჭი?

არჩევანი რომ გქონდეთ, რომელ ცნობილ ადამიანთან ისურვებდით შეხვედრას, სად წახვიდოდით მასთან ერთად და რატომ?

რა ჟანრის ფილმები მოგწონთ და რომელია თქვენი საყვარელი ფილმები?

რომ შეგეძლოთ მხოლოდ ერთი რამის შეცვლა საკუთარ გარეგნობასა ან ხასიათში, რას შეცვლიდით და რატომ?

გამოსულხართ თუ არა ტელევიზიით?

რომ შეგეძლოთ მხოლოდ ერთი ნატვრის ასრულება, რას ინატრებდით და რატომ?

რატომ გინდათ, მიიღოთ მონაწილეობა ჩვენს თამაშში?

ხალხის პირისპირ

გთხოვთ, დააკრათ ნებისმიერი ზომის ფოტოსურათი, რომელზეც მხოლოდ თქვენ ხართ გადაღებული. მისი სახე გარკვევით უნდა ჩანდეს. გთხოვთ, ფოტოსურათს უკან მიაწეროთ თქვენი სახელი და გვარი. ფოტოსურათი გადაღებული უნდა იყოს ბოლო ხუთი წლის განმავლობაში.

როგორ გაატარებდით თქვენს იდეალურ დასვენების დღეს?

დღეს რომ მოგცენ 2000 ლარი, რას გააკეთებდით?

„ხალხის პირისპირ" - ეს არის ტელევიქტორინა, რომლისთვისაც თქვენ, მაყურებლები შეადგენთ კითხვებს და მოიგებთ ფულს, თუ თქვენი შეკითხვა ჩაჭრის სტუდიაში მოწვეულ კონკურსანტს.

ხალხის პირისპირ

შეავსეთ ბლანკი, ამოჭერით და გამოგზავნეთ. შეკითხვების მიღება უფასოა. (გთხოვთ, გაეცნოთ ქვემოთ მოყვანილ წესებს.)

შეკითხვები არ მიიღება გაზეთის ქსეროასლით

| შეკითხვის ტექსტი: | პასუხის ტექსტი: |
|---|---|
| 1 | |
| 2 | |
| 3 | |
| 4 | |
| 5 | |

სახელი და გვარი:
ბინის მისამართი:
სამსახურის ტელეფონის ნომერი:
ბინის ტელეფონის ნომერი:
მობილური ტელეფონის ნომერი:

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

თუ კითხულობთ ჩვენს წესებს, გთხოვთ, ხელი მოაწეროთ ბლანკს და მიუთითოთ შევსების თარიღი.

ხელმოწერის გარეშე კითხვა არ მიიღება.

# გუდარეხის მონასტერი შველას ითხოვს

კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროში არსებული კულტურული მემკვიდრეობისა და ძეგლთა დაცვის დეპარტამენტის თავმჯდომარე კახა ტრაპაიძე და ექსპერტთა ჯგუფი თეთრიწყაროს რაიონის სოფელ გუდარეხში გაემგზავრნენ. მათი მიზანია, გუდარეხის მონასტერში ჩასატარებელი გადაუდებელი სარეაბილიტაციო სამუშაოების გეგმის ჩამოყალიბება.

დაზიანებულია მე-13 საუკუნის 70-იანი წლებით დათარიღებული გუდარეხის მონასტრისა და მისი სამრეკლოს სახურავი. გამაგრებით სამუშაოებს საჭიროებს მონასტრის გუმბათი.

კახა ტრაპაიძის განცხადებით, რამდენიმე დღის განმავლობაში ადგილზე იმუშავებს სპეციალისტთა ჯგუფი, ხოლო თბილისში დაბრუნების შემდეგ სარეაბილიტაციო ღონისძიებებთან დაკავშირებით გამოცხადდება კონკურსი.

კონკურსანტები წარმოადგენენ პროექტებს გუდარეხის ტაძრის აღსადგენად, ხოლო კონკურსში გამარჯვებულ პროექტს კულტურის სამინისტრო დააფინანსებს. *მედია-ნიუსი*



*გუდარეხის მონასტრის აღდგენით სამუშაოებს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო დააფინანსებს.*

## სკანვორდი



## ნეკროლოგი

აუნაზღაურებელი დანაკლისი განიცადა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ და შეიარაღებულმა ძალებმა.

მოულოდნელად გარდაიცვალა ვიცე-ადმირალი გიგლა აკაკის ძე ირემაძე.

იგი დაიბადა 1960 წლის 19 აპრილს ოზურგეთის რაიონის სოფელ ლიხურაში.

1976 წელს დაამთავრა ქ. თბილისის 68-ე საშუალო სკოლა.

1980-1982 წლებში მსახურობდა საბჭოთა არმიის რიგებში.

1983 წელს საბჭოთა კავშირის თავდაცვის მინისტრის ბრძანებით მიენიჭა პირველადი სამხედრო წოდება "ლეიტენანტი".

1984 წელს დაამთავრა სტავროპოლის პოლიტექნიკური ინსტიტუტი.

1991 წლიდან მსახურობდა საქართველოს შეიარაღებულ ძალებში და აქტიურად მონაწილეობდა 1992-1993 წლებში აფხაზეთის რეგიონში წარმოებულ საბრძოლო ოპერაციებში. იმავე წელს საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული გვარდიის სარდლის ბრძანებით მიენიჭა სამხედრო წოდება "უფროსი კაპიტანი".

1992-1993 წლებში მსახურობდა ეროვნული გვარდიის ქაიხოსრო ჩოლოყაშვილის სახელობის ბრიგადის დაზვერვის ბატალიონის შტაბის უფროსად, შემდეგ ამავე ბრიგადის შტაბის უფროსად.

1993 წელს საქართველოს თავდაცვის მინისტრის ბრძანებით მიენიჭა სამხედრო წოდება "ვიცე-პოლკოვნიკი".

1995-1997 წლებში მსახურობდა თავდაცვის სამინისტროს სახმელეთო ჯარების დაზვერვის უფროსად.

1997-1998 წლებში ხელმძღვანელობდა მე-3 მოტომსროლელ ბატალიონს, ხოლო შემდგომ სადესანტო-მოიერიშე ბრიგადას და მიენიჭა სამხედრო წოდება "პოლკოვნიკი".

მომდევნო წლებში მსახურობდა საქართველოს სამხედრო-საზღვაო ძალების საზღვაო ქვეითი ჯარების მეთაურად; სამხედრო-საზღვაო ძალების სარდლის მოადგილედ სანაპირო დაცვის დარგში.

შეიარაღებული ძალების აღმშენებლობაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისა და თავდადებული სამსახურისთვის 2001 წლის დეკემბერში საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით მიენიჭა უმაღლესი სამხედრო წოდება "გენერალ-მაიორი" და 2002 წელს დაინიშნა საზღვაო თავდაცვის ძალების უფროსად. იმავე წლის 12 ოქტომბრის საქართველოს პრეზიდენტის № 431 ბრძანებულების თანახმად მიენიჭა უმაღლესი სამხედრო წოდება "ვიცე-ადმირალი".

2003 წლის 20 მარტიდან დღემდე მსახურობდა საზღვაო თავდაცვის ძალების სარდლად.

სხვადასხვა წლებში მიღებული ჰქონდა უმაღლესი სამხედრო განათლება:

საქართველოს გაერთიანებული სამხედრო აკადემიის საზღვაო ფაკულტეტი.

უკრაინის შეიარაღებული ძალების ეროვნული სამხედრო აკადემია, სადაც ამთავრებდა მუშაობას სადისერტაციო თემაზე "სამხედრო ხელოვნების" დარგში.

2003 წლის 25 აგვისტოს ჩაირიცხა საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის თავდაცვის აკადემიაში.

2004 წელს მინიჭებული ჰქონდა საბერძნეთის ეროვნული სამხედრო-საზღვაო აკადემიის საპატიო დოქტორის წოდება.

სამშობლომ და ხელმძღვანელობამ ღირსეულად დააფასა ვიცე-ადმირალ გიგლა ირემაძის დამსახურება სამშობლოს წინაშე, იგი დაჯილდოებული იყო "ვახტანგ გორგასლის II და III ხარისხის ორდენებით", "ღირსების" ორდენით, მედლით "საბრძოლო დამსახურებისათვის", მედლით "მხედრული მამაცობისათვის" და საქართველოს სანაპირო დაცვის შექმნის ხუთი წლისთავთან დაკავშირებული სამახსოვრო მედლით.

ვიცე-ადმირალმა გიგლა ირემაძემ უდიდესი წვლილი შეიტანა საქართველოს შეიარაღებული ძალების, კერძოდ კი საზღვაო თავდაცვის ძალების აღმშენებლობის საქმეში. მნიშვნელოვანია მისი დამსახურება შავი ზღვის აუზის ქვეყნის სამხედრო ურთიერთთანამშრომლობის განვითარებაში.

იგი სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე ხელმძღვანელობდა საქართველოში მიმდინარე შავი ზღვის აუზის ქვეყნების საზღვაო ოპერატიული შენაერთების სწავლება "BLACKSEAFOR-2004"-ს.

უდიდესია ის ტკივილი და მწუხარება, რაც მისმა გარდაცვალებამ მიაყენა ახლობლების გულებს. ეს იყო ადამიანი, პიროვნება, მეგობარი, ოჯახის მამა. მისი მთელი ცხოვრება თვალსაჩინო მაგალითია იმისა, თუ როგორ უნდა ემსახურო საყვარელ საქმეს, მშობლიურ ქვეყანასა და საზოგადოებას.

სულიერად მდიდარი, კეთილშობილი და ყურადღებიანი ხელქვეითებისადმი, ადამიანებთან ურთიერთობებში უბრალო და კეთილსინდისიერი ადამიანის გ. ირემაძის ხსოვნა დიდხანს დარჩება მისი მეგობრებისა და თანამებრძოლების გულებში.

*საქართველოს თავდაცვის სამინისტრო*



საქართველოს თავდაცვის სამინისტრო და შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ მოულოდნელად გარდაიცვალა საზღვაო თავდაცვის ძალების სარდალი,

ვიცე-ადმირალი
**გიგლა (ზურაბ) ირემაძე**

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

გამოსვენება 19 აგვისტოს, საქართველოს პროფკავშირების კულტურის ცენტრიდან 14 სთ-ზე.

მისამართი: ვაჟა-ფშაველას 43 (მეტრო "გოცირიძე").

დაკრძალვა საბურთალოს სასაფლაოს საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

## TV პროგრამა

17 აგვისტო

### რუსთავი - 2

**07.30** დილა მშვიდობისა **08.00** "ტელელიპუცები" **09.40** სერიალი "შურისძიება" **11.00** სერიალი "უკვდავი" **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 01.45** კურიერი **12.20** "დისკავერი" **13.20** მხ. ფილმი "დომინოს პრინციპი" **15.25** სერიალი "სასწრაფო" **16.30** სერიალი "ალფი" **17.05** სერიალი "მაშველები" **18.20** "ტელელიპუცები" **18.55** "დისკავერი" **19.45** სერიალი "შურისძიება" **22.00** ღამის შოუ დ. გოგიჩაიშვილთან ერთად **23.00** სერიალი "სოპრანოს კლანი". **00.00** მხ. ფილმი "მეზობლები". მთ. რ-ში: ტერეზა რასელი, ჯეიმს რუსო (18).

### პირველი არხი

**07.55** მოამბე **08.10** "ღამის მოამბე" გამეორება **09.00, 12.00, 15.00, 20.00, 23.00** მოამბე **09.10** მულტსერიალი "დაკარგული სამყარო" **09.40** "იმღერე რამე" **10.10** სერიალი "მორიგი მსხვერპლი" **11.00** სერიალი "ფსიქფაქტორი" **12.15** ტელესერიალი "სოლედადი" **13.00** სერიალი "ფორსაიტების საგა" **14.00** მოამბე ოსურ ენაზე **14.05** ლერერის შოუ **15.20** სერიალი "ზაფხულის საიდუმლო" **16.00** მოამბე ინგლისურ ენაზე **16.10** სერიალის გაგრძელება **16.30** დოკ. ფილმი **17.05** მულტსერიალი "დაკარგული სამყარო" **17.30** სერიალი "ჩემი ყველაზე ლამაზი არდადეგები" **18.00** ვესტნიკი **18.20** სერიალი "სენ-ტროპე" **19.00** "იმღერე რამე" **19.40** ბასტი-ბუბუ **21.05** სერიალი "სოლედადი" **22.00** "ქიმერიონი" **00.00** ვიდეოფილმი "საქართველო მე-20 საუკუნე" **00.20** მუს. არჩევნები **00.55** მხ. ფილმი "ოთხთა სიყვარული" (18)

### 202

**10.00** დებატები 202-ზე (განმ). **11.30** მულტფილმი **12.00** მხ. ფილმი "ერთი შანსი ორზე" (12) **14.00** მუსიკა **15.00** მხ. ფილმი "ევოლუცია" (ჯულიანა მური) (12) **17.00** საბ. ფილმი **19.00** სერიალი "მუსკულები" (გან.) **20.00** მხ. ფილმი "საავადმყოფო, ახალგაზრდობა და სიყვარული" (შონ იანგი) (15) **22.00** სერიალი "მუსკულები" **22.20** ნიკა ქავთარაძის ანეკდოტები **22.30** შიშველი სიმართლე **22.40** ი. საღინაძის "კენო" **23.00** დებატები **00.00** მხ. ფილმი "ვარსკლავური დესანტი-2" (18)

### მზე

**09.00** "ფარული კამერა" **09.30** "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" **10.00** სერიალი "ველური მთვარე" **11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **11.10, 20.50** მინისერიალი "შტრაუსების დინასტია" **12.10, 21.45** დეტ. სერიალი "ქვეყნის კიდეზე" **13.10** მხ. ფილმი "მომაკვდინებელი იარაღი 2" (გ) (მ. გიბსონი) **15.10** სერიალი "მარია ემილია" **16.00, 17.00, 18.00, 20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **16.10** სერიალი "დინოტოპია" **17.10** მულტსერიალი "რედვოლი" **17.35** მულტსერიალი "მეხანძრე ძაღლები" **18.10** დოკ. სერიალი "ექსტრემალური ამბები" **19.00** სერიალი "ველური მთვარე" **22.45** "ტელეპროცესი. ნოე ჟორდანია" **00.00** მხ. ფილმი "უცოდველთა ზარები" (18) (ჩაკ ნორისი)

### მეორე არხი

**19.00** მულტფილმი "პაპირუსის თავგადასავალი" **19.30** სერიალი "ეშმაკუნა"(გ) **21.00** "შეხვედრები ფიქრის გორაზე" -ა. კორსანტია **22.00** მხ. ფილმი "უსაფრთხოების ზომები" (18)

### იმედი

**07.00, 13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00, 02.05** ქრონიკა **07.15** ოლიმპიური თამაშები - დღის მიმოხილვა **08.45, 02.30** ტვ-მარკეტი **09.45** ოლიმპიური თამაშები: მშვილდოსნობა 1+16 (ქალები), ნიჩბოსნობა, ძიუდო (ფინალები) **13.10** მშვილდოსნობა (გაგრძელება), ძიუდო (გაგრძელება) **15.10** ძიუდო (გაგრძელება), კალათბურთი (კაცები) ლიტვა -პუერტო რიკო. **17.10** კალათბურთი (გაგრძელება), ძიუდო (ფინალები). **19.20** სერიალი "კლონი" **20.05** ოლიმპიური თამაშები: ცურვა, ფარიკაობა (ფინალები), ჰოკეი (კაცები), ფეხბურთი (კაცები) **22.20** ფეხბურთი (გაგრძელება), კალათბურთი (კაცები) აშშ - საბერძნეთი. **01.00** ოლიმპიური თამაშები - დღის მიმოხილვა **03.45** იმედის მელოდიები

### იბერია

**18.00** მხ. ფილმი "თეთრი შობა" (გ) **20.20** დოკ. ფილმი **21.10** კონცერტი **22.20** მხ. ფილმი "სამურაი" (18)

### ОРТ

**06.00** Телеканал "Доброе утро". **09.00, 12.00, 15.00, 18.00** Новости. **09.20, 21.30** Сериал **"УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ". 10.30, 19.00** Сериал **"КЛОН". 11.30** Дневник XXVIII летних Олимпийских игр. **12.10** Юрий Шлыков в лирической комедии **"МИЛЕНЬКИЙ ТЫ МОЙ...". 13.40** Док. фильм "Василий Лановой. Воспоминание о настоящем". **14.10** Сериал **"ЖЕНЩИНЫ В ЛЮБВИ". 15.20** Детективный сериал **"СЛЕДСТВИЕ ВЕДУТ ЗНАТОКИ: ПУД ЗОЛОТА"**.Заключительная серия. **16.30** Криминальная Россия. "Палачи". **2**-я серия **17.00** "Слабое звено" с Марией Киселевой. **18.20** "Властелины колец". Дневник Олимпиады. **20.00** Сериал **"ЧЕРНЫЙ ВОРОН". 21.00** Время. **22.40** На XXVIII летних Олимпийских играх. **00.00** Спецрасследование. "Билетная мафия". **00.50** На XXVIII летних Олимпийских играх. **02.00** Детективный сериал **"24 ЧАСА". 02.50** Дастин Хоффман в приключенческой комедии **"ИШТАР". 04.40** Сериал **"ДОКТОР КУИНСИ". 05.30** Сериал "Все путешествия команды Кусто". "О чем плачет Дунай".

### НТВ

**06.00** Утро на НТВ. **08.50** Сериал **"ДЕНЬ РОЖДЕНИЯ БУРЖУЯ-2". 10.00** Сегодня утром. **10.25** "Их нравы" с Дмитрием Захаровым. **11.20** Ток-шоу "Страна советов". **12.00, 15.00, 17.00, 19.00** "Сегодня" **12.30** Дмитрий Щербина в детективе **"ТРИ ДНЯ ВНЕ ЗАКОНА" 14.30** Время есть. **14.35** Протокол. **15.35** Ток-шоу "Принцип домино". **17.30** Сериал **"МУР ЕСТЬ МУР". 18.35** Протокол. **19.40** Сериал **"РОДИНА ЖДЕТ". 20.50** Сериал **"Я ВСЕ РЕШУ САМА". 22.00** "Страна и мир" **22.45** Мэрил Стрип в детективе **"ДИКАЯ РЕКА". 01.00** Сериал **"РОДИНА ЖДЕТ"**.

# უოტსი თავს კარგად გრძნობს



ჩარლი უოტსი ასრულებს რადიოთერაპიით თვენახევრიან სამკურნალო კურსს, რომელსაც ლონდონში, სახლთან ახლოს მდებარე საავადმყოფოში გადის. მკურნალობა "როლინგსტოუნზის" დასარტყმელ საკრავებზე შემსრულებელმა ივნისში, დიაგნოზის დასმისთანავე დაიწყო.

63 წლის უოტსმა ჯერ კიდევ 60-იან წლებში თქვა სიგარეტზე უარი. თუმცა, მოგვიანებით მუსიკოსი მაინც ვერ ასცდა გართულებებს.

როგორც ჯგუფის ოფიციალური წარმომადგენელი იუწყება, უოტსი მალე სრულიად გამოჯანმრთელდება. ამჟამად კი სულაც არაა ცუდ ფორმაში და სამკურნალოდ ფეხითაც კი დადის. ვარაუდობენ, რომ წლის ბოლოსთვის მეგობრებს სამუშაო რეჟიმშიც შეუერთდება.

რაც შეეხება ლეგენდარულ "სტოუნზებს" - როგორც ცნობილია, ჯგუფს დაწყებული აქვს ტურნე, დასვენებას კი კონცერტების შუალედში ახერხებს.

# ტრიო ბუშის წინააღმდეგ

სამი ამერიკელი პოპ-ქალბატონი ჯორჯ ბუშის წინააღმდეგ გაერთიანდა. მერი ჯეი ბლაიჯმა, მისი ელიოტმა და ივმა ჩაწერეს ერთობლივი სიმღერა, რომელიც ბუშის ანტიჰიმნად მიიჩნევა. ქალბატონები თანამემამულეებს მოუწოდებენ, არჩევნებზე ხმა ბუშის წინააღმდეგ მისცენ.

"ჰიმნად" პოპ-ვარსკვლავებმა 60-იანი წლების ჰიტი, ჯგუფ Blue Notes-ის სიმღერა Wake Up Everybody შეარჩიეს. სხვათა შორის, ეს სიმღერა არაერთხელ გამოიყენეს წინასაარჩევნო კამპანიის დროს დემოკრატიული პარტიის წევრებმა.

ეს კომპოზიცია შევიდა ალბომში, რომლის გამოცემის ინიციატივაც ამერიკის დემოკრატიული მოძრაობის - "ამერიკა ერთიანდება" წევრებს ეკუთვნით. თვითონ ამ მოძრაობას როგორც ცნობილია, ჯორჯ სოროსი აფინანსებს.

ალბომის გაყიდვიდან შემოსული თანხა საქველმოქმედო მიზნებს უნდა მოხმარდეს. ჩანაწერში ასევე შესულია: იოკო ონოს, მერვინ გეის, ლინდა რონშტადისა და სხვათა შესრულებული სიმღერები. სწორედ ასეთი იქნება მუსიკოსთა შემადგენლობა, რომელიც წინასაარჩევნოდ შეერთებული შტატების 28 ქალაქს კონცერტებით მოივლის.

თქვენი რეკლამა ჩვენს გაზეთში
20-24-04
20-00-24

საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრი „მზიური“ გთავაზობთ:

კომპიუტერის შემსწავლელ კურსს თემებით:

- კლავიატურაზე ბეჭდვის ათთითიანი მეთოდი,
- საქმიანი დოკუმენტაციის წარმოება – MS Word,
- აღრიცხვა,საბუღალტრო-ეკონომიკური ამოცანები – MS Excel.
- ლოკალური ქსელი,ინტერნეტი,ელ-ფოსტა,
- ოპერაციული სისტემა Windows.

ცენტრში მოქმედებს სხვა კურსებიც.

მისამართი: ღ.ჭონაძის N70 ტელ:29-48-61

ვებ-გვერდი: WWW.mziuri.ge




GERMAN EMBASSY

## გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საელჩო თბილისში

### გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საელჩოს ახალი ტელეფნის ნომრები

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საელჩოს თბილისში შეეცვალა ტელეფონის ნომრები. ახალი ტელეფონის ნომრებია:
91-03-32; 91-12-63.

საელჩოსთან დაკავშირება შესაძლებელია ორშაბათიდან ხუთშაბათის ჩათვლით 8.30-დან 17.00 სთ.-მდე. პარასკევობით კი 8.30-დან 15.30 სთ.-მდე. საელჩოს ფაქსის ახალი ნომერია 91-15-21. ელექტრონული ფოსტის მისამართებია: Regl@tifl.diplo.de და deut.bot.tbilissi@access.sanet.ge.

სავიზო განყოფილებასთან დაკავშირება, რომელიც მდებარეობს დავით აღმაშენებლის გამზირზე N166-ში, ორშაბათიდან ხუთშაბათის ჩათვლით შესაძლებელია 9.30-დან 10.30 სთ-მდე, ხოლო პარასკევობით 14.00-დან 15.00 სთ-მდე. სავიზო განყოფილების ტელეფონის ნომრებია: 91-14-58 და 95-09-36. ფაქსის ნომერია: 91-16-51. სავიზო განყოფილებაში განაცხადის შემოტანა კვლავინდებურად შესაძლებელია ორშაბათიდან ხუთშაბათის ჩათვლით 9.00-დან 13.00 სთ-მდე, ხოლო პასპორტების გატანა იმავე დღეებში 14.00-დან 16.00 სთ-მდე.










# წამალი "სალხინო"

## ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.